„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განათლების უფლებები

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი

2010 წ. მარტი* №24 * ფასი 1 ლარი



„ქრისტიან-დემოკრატების“ ორგუჯირეებული პერიოდის ანალიზი

საიაკაშვილის პარანოიდული ეიფორია, რომელმაც შესძრა საქართველო

ვინ წარმოადგენდა რუსეთის იმპერიულ ძალებს და მის აგენტურას საქართველოში 1990-იან წლებში

გვ.3

გვ.5

გვ.6

ვაი, რამდენი ორჯონიკიძეები და მახარაძეები გვყოლია!

ლეილა ცომაია

ჩვენი პუბლიკაციების დაკვირვებული მკითხველი, უთუოდ შენიშნავდა, რომ ჩვენ არასოდეს ვავლებთ ვრცელ პარალელებს ისტორიულ წარსულთან, არასოდეს მივმართავთ ანალოგიებს თანამედროვე გმირებსა თუ მოღალატეებთან, რამეთუ მიგვაჩნია, რომ ისტორია, მეტ-ნაკლებად ყველამ იცის. ამადაც, უმჯობესად მივიჩნევთ დავზოგოთ მკითხველის დრო და გაზეთის ფურცელიც.

გმირობა და მოღალატეობა, როგორც სიკეთე და ბოროტება, ამქვეყნიურობის დასაბამიერი თანაარსია და ყოველი ადამიანიც, საკუთარი ნება-სურვილით ირჩევს თვითკმარი ზნეობისა თუ მორალის შესაბამის გზას. მოღალატის, როგორც ანტიგმირის მიმართ კი მკაცრი და შეუწყნარებელია, ღვთივგანბრძნობილი გენიოსი შოთა რუსთაველიც: „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“-ო, ასეთია მისი ვერდიქტი.

საკაშვილის მიერ, ჯერ საჯაროდ დატუქსული, ხოლო შემდგომ მოხსნილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ისე უტყვად გაეცალა სახელისუფლო ასპარეზს, მავანმა მცდარად იფიქრა, რომ მისი კარიერის მზე ჩაესვენა და ვეღარასოდეს აღზევდებოდა. კარიერისტული ჟინით შეპყრობილი ნოღაიდელი კი, თურმე, ფიზიკურ და პოლიტიკურ ძალებს ერთდროულად

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

იკრებდა და სულ, რაღაც ორ წელიწადში, აწ უკვე ჩრდილოეთიდან „გამოანათა“.

ნოღაიდელმა, რომელსაც ათი წლის განმავლობაში ჰქონდა ყველა სახელისუფლო ბერკეტი, რეალურად ეშენებინა სახელმწიფო, განევითარებინა ეკონომიკა, აემაღლებინა ხალხის სოციალური ცხოვრების დონე, – შევარდნაძის ფინანსთა მინისტრობის დროს გატარებული „სეკვესტრის“ პოლიტიკით მოახრჩო ჯანდაცვა, განათლება, სოფლის-მეურნეობა, მრეწველობა, კულტურა და სპორტი. ჯერ თვეობით, ხოლო შემდგომ, წლობით „გაყინა“ ისედაც სეკვესტრირებული ხელფასები და პენსიები და უმუშევართა დონეს გაუთანაბრა მომუშავეთა ნაწილიც. შედეგად (მისი ფინანსთა, ეკონომიკისა და პრემიერ–მინისტრობის დროს), მოხდა მასების სასოწარკვეთილებამდე მიყვანა, კატასტროფულ მაჩვენებელს მიაღწია ქვეყნის გარეთ თუ შიგნით მიგრაციამ (დაიცალა სოფლები), იმატა თვითმკვლელობებმა და მკვლელობებმაც თვით ოჯახის წევრებს შორის, დაინგრა მრავალი ოჯახი, დაეცა ხალხის ზნეობა და მორალი…..

ხალხის უკიდურესად გაღატაკებისა და სოციალური გენოციდის ხარჯზე, უპოვარი და უბინაო ნოღაიდელი, თავისი პრეზიდენტების (შევარდნაძის, სააკაშვილის) მსგავსად, უმდიდრეს ადამიანად იქცა.

კორუმპირებულ ნოღაიდელს, რომელიც ყოვლად სუსტი და უსახური ფინანსტთა, ეკონომიკისა და პრემიერ–მინისტრი იყო, ამჯერად პრეზიდენტობის ამბიცია გასჩენია და ხელაღებით მიიწევს დასახული „დიადი“ მიზნისაკენ. ყოფნის სინდისი და თავხედობა, ქვეყნის „განვითარებისა და ბედნიერი მომავლის“ ლიდერ–შემოქმედად დაუსახოს ხალხს თავი.

სწორედ ამგვარი ცრუ და ფარისევლური „სლოგანით“ აქვს მას დაპყრობილ–აკლებული ძვირადღირებული სატელევიზიო ეთერები. საადრევო საარჩევნო კამპანიაში, ნოღაიდელი აშკარად ლიდერობს, სატელევიზიო რეკლამებში უშურველად ხარჯავს პუტინის რუბლებს (სიძუნწით ცნობილმა ნოღაიდელმა, საკუთარი მილიონებიდან, ვეჭვობ, რომ მცირედიც გაიღოს).

გარდა ფინანსური უზრუნველყოფისა, აშკარაა, რომ ნოღაიდელს, პუტინისაგან პოლიტიკური მხარდაჭერაც აქვს მიღებული. ამადაც, გაგულადებული იმუქრება: „თუ გაბედავთ და არჩევნებს გააყალბებთ, ხელებს დაგამტვრევთო“.

ყოვლად რეამინირებული (ფიზიკურად, პოლიტიკურად) ნოღაიდელი თავად რისი „დამტვრევიცაა“ ყველამ ვიცით, მაგრამ რუსეთს რომ „ძალიც შესწევს ქადილისა“, ამაში ეჭვი თვით ევროკავშირსა და ნატოსაც აღარ ეპარებათ. ანუ, ნოღაიდელის პირით რუსეთი ღაღადებს.

შევარდნაძის მიერ გამოზრდილ „ნაცმოძრაობის“ ხროვას, არჩევნების გაყალბების, სახელმწიფოს ნგრევისა და საკუთარი ხალხის გენოციდის მეტი არაფერი უსწავლია. მათ შორის, ხროვის კანონით „დაგლეჯილ“ ნოღაიდელს, ბურჯანაძეს, ოქრუაშვილსა და სხვებს, რომლებიც შევარდნაძე–საკაშვილის რეჟიმის ბურჯებს წარმოადგენდნენ და სულაც არ ადარდებდათ ქვეყნისა და ერის ბედი, არამედ მხოლოდ ქონებას იხვეჭდნენ. და რა „დამსახურებებისათვის“ უნდა აირჩიონ კვლავ ესენი ხალხმა? რისი იმედით უნდა დაატრიალონ საკაშვილისეული ხროვის ავადსახსენებელი ეშმაკის ბორბალი („კარუსელი“)?

დაუჯერებელია, რომ ჩვენი ხალხი ისეთი ბრიყვი ან გულუბრყვილო იყოს, რომ მათი დაპირებების სჯეროდეს და არ უწყოდნენ, რომ მათი „ოპოზიციონერობა“ ნასულდგმულებია კვლავ ხელისუფლების რბილ სავარძლებში მოკალათებისა და მეტი სიმდიდრის მოხვეჭის მერკანტილური სურვილებით, რისთვისაც ფარულად და აშკარადაც იყენებენ თავიანთ აგენტურულ კავშირებს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან (რუსეთთან).

იმის გამო, რომ არა გვაქვს „ლუსტრაციის კანონი“, შეუძლებელია მათი სამართლებრივი დადანაშაულება ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში, რისი იმედითაც სრულიად შეუფერხებლად მოქმედებს ზემოხსენებულ ქვაბავაზაკთა ხროვა.

მართალია ორი ათეული წლის შემდგომ, პოსტსაბჭოურ საქართველოშიც შემორჩენილია მონური მენტალობის, განჯგონებულთა მასა („რუსეთუმეთა“ პლეადა), მაგრამ, არა იმ რაოდენობის, რომ ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეტრიალება შეძლოს.

იმპერიალისტური რუსეთის ქართველი ემისრების სრული გაუვნებელყოფის მიზნით, საკმარისია ვიმოქმედოთ გურამიშვილისეული შეგონების მიხედვით:

„ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ,
გაფრთხილდი, ნუ მოსტყუვდები,
გასწყერ, გასჭერ და დახივე,
მტყუვანთ ტყუილის გუდები“.

რომ შემდგომ, სიმწრისეული სინანულით აღარ დაგვცდეს:

„ისე, ვით ცხვარი მივენდე, უპიროს, მოღალატესა“.

„ზვიადისტების“ გამაოგნებელი თვითლუსტრირება

„ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს
ნურასა იქმს საძრახავსა“.

გურამიშვილი

პოლიტიკურ კონიუნქტურაში გაწაფული „კონსერვატორები“ (ძიძიგური, გუჯაბიძე, კუკავა), რომლებიც თბილისის საკრებულოს დეპუტატობიდან, სააკაშვილის სიით პარლამენტშიც მოვიდნენ, ამჯერად ნოღაიდელთან ალიანსით ცდილობენ პარლამენტში მოხვედრას.

ყოფილი პოლიტპატიმრები, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მთავრობის წევრები, ძიძიგური და გუჯაბიძე, რომლებიც ციხიდან შევარდნაძის შეწყალების აქტით და ზურაბ ჟვანიას და უშიშროების საბჭოს საპარლამენტო მდივნის რუსუდან ბერიძის პატრონაჟით გათავისუფლდნენ , ჟვანია რომ ცოცხალი ყოფილიყო, პარლამენტში, მისი სიითაც მოვიდოდნენ. ილუზიური აზრი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და იდეური ფასეულობებისადმი მათი ერთგულებისა, დრომ დაამსხვრია და ნათელყო მისი ძირეული სიმყიფეც.

დავითაიას, ქობალიას, ძიძიგურის, გუჯაბიძის, კუკავას, დავითაშვილისა და შალამბერიძის ე.წ. „ეროვნული საბჭო“, ოპოზიციურ საპრეზიდენტო კანდიდატად, „ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის’ სახელით, ალბათ ნოღაიდელს წამოაყენებს (ამგვარ მკრეხელობასაც უნდა გავუძლოთ!).

თავის მხრივ, არც მეორე „ოპოზიციონერი“ საპრეზიდენტო კანდიდატი ირაკლი ალასანია ზის გულხელდაკრეფილი, არამედ ისიც კულუარულად იღვწის ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლების გადაბირება–შემომტკიცებისათვის.

რენეგატი ძიძიგური და გუჯაბიძე, ცხადია, არც კოლაბორაციონალისტ ნოღაიდელს უერთგულებენ, იგი მხოლოდ ხიდად სჭირდებათ და პარლამენტში მოხვედრისთანავე მასაც განუდგებიან. პასუხისმგებლობას კი, არამც და არამც არ აიღებენ მათი ძალისხმევით გაპრეზიდენტებული ნოღაიდელის კაპიტულანტურ გადაწყვეტილებებზე (ისევე, როგორც სააკაშვილზე არ აიღეს). პასუხისმგებლობას, არც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ავთანდილ დავითაია აიღებს, რომელიც პირველი შეეკრა კოლაბორაციონისტ ნოღაიდელს. ვახტანგ (ლოთი) ქობალია კი რუსეთის სამხედრო ძალისმიერი გეგმაა. ნოღაიდელის ქადილი, „თუ არჩევნებს გააყალბებთო…“ ამ რუსული სათადარიგო სამხედრო გეგმიდან მომდინარეობს და პერსონიფიცირება ლოთი ქობალიაში.

ნოღაიდელი საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს. ნოღაიდელი სამხედრო გადატრიალების გზით აპირებს გაპრეზიდენტებას. ეს ურთიერთშეთანხმება გაფორმა მან 9 თებერვალს მოსკოვში პუტინ–მედვედევის პარტიის „Единная Россия“-ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის გრიზლოვთან.

კოლაბორაციონალისტ ნოღაიდელს, თვით საპარლამენტო არჩევნებშიც გაუჭირდება გამარჯვება. მას, ამისათვის ამომრჩეველთა სრული მოსყიდვა დასჭირდება.

ნოღაიდელი რუსეთის საცდელი პროექტია, რომელსაც, პუტინმა, თავისი საიმედო კადრი, რუსაპეტა პეტრე მამრაძე შეუწყვილა (მამრაძეც, როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის სახელმწიფო მოხელე იყო).

ნოღაიდელის პოლიტიკური სლოგანი: „დავიბრუნოთ აფხაზები და ოსები და გავაერთიანოთ საქართველო“ – პირწავარდნილი დემაგოგიაა, რომელიც რეალურად შეიცავს მოწოდებას აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

არანაკლებ დემაგოგიური და ცინიკური იყო პეტრე მამრაძის მიერ ლავროვის განცხადების დამოწმება: „თუ აფხაზები და ოსები მოილაპარაკებენ და თანახმანი იქნებიან ქართველებთან ერთად ცხოვრებისა, ჩვენ ხელს არ შევუშლით“-ო. ლავროვის ამ განცხადებას „სერიოზულობა“ და „სიმძიმე“ შესძინა მამრაძის კომენტარმა: „სწორედ ნოღაიდელის პუტინთან შეხვედრის შედეგად გააკეთა ლავროვმა ეს განცხადებაო“.

მოდი და ნუ შეაყენებ დიდების კვარცხლბეკზე ნოღაიდელსა და მის კოლაბორაციონალისტთა ამქარს (მამრაძეს, დავითაიას, ძიძიგურს, კუკავას, გუჯაბიძეს) „საქართველოს გამთლიანებისათვის“.

რუსეთის სასწორი თუ მეორე ქართველ ნეობოლშევიკ ნინო ბურჯანაძისაკენ გადაიხარა, მაშინ, დეზორიენტირებულ „ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის“ სწრაფი რეაგირების პოლიტიკურ ლიდერებს, სწორება ახალ კუმირზე მოუწევთ. ამასაც, იმედია, მარტივად მოახერხებენ, ოღონდ, მთავარია სიჩქარეში არავინ ჩამორჩეს, ან ფეხი არავის გადაუბრუნდეს.

ვაი, რამდენი ორჯონიკიძეები და მახარაძეები გვყოლია!

„ქრისტიან-დემოკრატების“ კორუფციული ფერფლის კვალდადგმა

ასათიანის ქ. 36ა

გია ჭანტურია, რომლის სახელისუფლო კარიერა საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის კომკავშირის ცკ-ს მდივნობიდან დაიწყო და შევარდნაძის კომუნისტური იდეოლოგიის ახალგაზრდულ ბურჯს წარმოადგენდა, დღეს თბილისის მერობისთვის ემზადება. მისი ბიოგრაფიიდან ამოკვეთილია კომკავშირული კარიერის მრავალწლიანი პერიოდი და მის პერსონას მხოლოდ შევარდნაძის დროის ნავთობის კორპორაციის პრეზიდენტად მოიხსენიებენ. თუმცა ამ მსუყე თანამდებობაზეც, მისი სახელი ფრიად საეჭვო ღირებულებების პროექტებსა და კორუფციულ სქემებს უკავშირდება და შევარდნაძისეული კორუფციული სისტემის სახელისუფლო მაფიასთან ასოცირდება. რის გამოც, სააკაშვილის ხელისუფლებამ , გია ჭანტურიასა და რკინიგზის დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარის აკაკი ჩხაიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, ჩხაიძე დააპატიმრა, გია ჭანტურიამ, ფეხმარდი ორჯონიკიძესავით, ბაქოში გაქცევით უშველა თავს. იგი ძებნილად გამოცხადდა.

სახელმწიფო დანაშაულში ეჭვმიტანილი ჭანტურია ორი წელია, რაც საქართველოში დაბრუნდა და თავის ფეშენებელურ „ციხე-სიმაგრეში“ (ლადო ასათიანის ქუჩაზე უვნებლად ცხოვრობს. ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე დაბადებულ-გაზრდილი გია ჭანტურია, სოლოლაკში, ლადო ასათიანის ქუჩის მშენებარე სახლების (№36 და №36ა) მეპატრონე შევარდნაძის პრეზიდენტობისა და ვანო ზოდელავას მერობის დროს გახდა. ოთხსართულიანი სახლების პროექტები რვასართულიანად გადაკეთდა, შეჩერებული მშენებლობა განახლდა და ორივე სახლი „დამკვრელურადაც“ აშენდა (მაშინ, როდესაც, ძველ თბილისში, ზოდელავას დროს დაწყებული სახლების მშენებლობები დღემდე შეჩერებულია). №36-ში მდებარე სახლის ექვს სართულზე ჭანტურიას ოფისებია განთავსებული, ხოლო ბოლო ორი სართული და №36ა-ს მთელი სამი სართული კი მის საცხოვრებელს წარმოადგენს.

„ქრისტიან–დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძე, რომლის უმთავრესი საზომი პერსონალიებთან მიმართებაში ფულია (ამ მაზანდით ქვეშევრდომობდა იგი ასლან აბაშიძეს, ბადრი პატარ კაციშვილს და ამ მაზანდითვე გააკეთა არჩევანი გია ჭანტურიაზეც), ამაოდ ცდილობს თავის მერობის კანდიდატს შეუქმნას „დიდი მეურნის“, „პატრიოტისა“ და „თბილისზე მზრუნველ–მოამაგის“ იმიჯი. ასეთად, ჭანტურიას არავინ იცნობს და თბილისელებშიც ნულია მისი რეიტნგი. მერობის კანდიდატობა ძებნილ ჭანტურიას საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრირებისა და რეაბილიტაციისათვის თუ გამოადგება, ამისთვისაც უღირს ფულების ხარჯვა.

უპატივცემულოდ, კორუმპირებული მერობის კანდიდატი, ცხადია, არც თავის „იმიჯ–მეიკერ“ გიორგი თარგამაძეს დატოვებს (*რედ.*).

შეინარჩუნებენ, თუ არა „რესპუბლიკელები“ და „ახლები“ ალასანიას?

„კონსერვატორებისა“ და „ხალხის პარტიის“ მიერ ბაგირით გადაქაჩული ახალგაზრდა დიპლომატი ირაკლი ალასანია, რომლის პოლიტიკური ხიბლი მის ახალგაზრდულ ასაკსა და ყოფილ დიპლომატიურ კარიერაში მდგომა- რეობს, „რესპუბლიკელებისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ ალიანსში მესამედ დაბრუნდა (დააბრუნეს). ალასანიას გადახტომ–გადმოხტომები ცხადჰყოფს, რომ იგი ჯერ კიდევ უმწიფარი პოლიტიკოსია, – აკლია პოლიტიკური სიმძიმე და პიროვნული სიმტკიცეც.

არსებული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრიდან, ჭკუა-გონებით უდავოდ გამორჩეული „რესპუბლიკელები“ (უსუფაშვილი, ხიდაშელი, ძმები ბერძენიშვილები), ალასანიასათვის ბრძოლაში ბოლომდე დაიხარჯნენ და გამარჯვებასაც მიაღწიეს. ალასანიასათვის ბრძოლა კი, როგორც ახალი პოლიტიკური სახისთვის გაცვეთილ „რესპუბლიკელ- ებს“ ნამდვილად უღირთ, რამეთუ მასთან ერთობა მათ პარლამენტში მოხვედრის ახალ შანსს აძლევთ.

მიუხედავად მომხიბვლელი ჭკუა-გონებისა, „რესპუბლიკელებს“ არასოდეს ჰქონიათ ხალხის საყოველთაო ნდობა და სიყვარული (რეიტინგი), რაც მათაც ზედმიწევნით ზუსტად უწყიან. ამადაც სასიცოცხლოდ სჭირდებათ მაღალრეიტინგულ პოლიტიკურ ფიგურასთან ერთობა და თავადვე ქმნიან ალასანიას ასეთად, თავიანთ პროპაგანდისტულ პიარ-კამპანიაში, მიზანმიმართულად წარმოაჩენენ ალასანიას „მაღალრეიტინგულ ლიდერად“. თუმცა, რეალურად, ალასანია, ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ პოლუსებზე დამახასიათებელი ბოდიალით (იგი, აშკარად თვითგამორკვევის პროცესშია) რაიმე იმედიან განწყობას ვერ ქმნის.

არ არის გამორიცხული, „რესპუბლიკელები“ და „ახლები“, არჩევნების გადამწყვეტ ეტაპზე, ისევე გაწბილდნენ ალასანიას პერსონით, როგორც „კონსერვატორები“ და „ხალხის პარტიის“ ლიდერები. ხოლო, ნოღაიდელმა, საბო- ლოოდ, ფეხი ვერავისთან მოიკიდოს და მარტოს მოუწიოს არჩევნებზე გასვლა.

ვნახოთ, წინ, მერის არჩევნებზე უფრო მნიშვნელოვანი, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები გველის.

რჩეულთა წინამძღოლობა და არსებობა ცოდვა-მადლის ზღვარზე

„გულმა მიიღოს გულისა“
გალაკტიონი

უღმერთო თუ მადლიანი არსებობა - ცხოვრების ამ გზისა და არჩევანის სხვადასხვაგვარობაშია ადამიანობისა და არაადამიანურობის არსი თუ პრობლემა. ილიამ „მგზავრის წერილებში“ მოგვცა ერთი საინტერესო სიმბოლო ყურძნისა და ძაღლყურძენასი, როცა ბრძანა, რომ სხვაგან მიღებული განათლებით სასარგებლო, ანუ კეთილი ცოდნაც შეიძლება შემოვიდეს და უსარგებლო ნაყოფიც. ძაღლყურძენა – ეს სხვა ცოდნაა, შხამიანი, დამახინჯებული. სულის სიშავე იკითხება მასში, ვიდრე ნათელი. ასევე საინტერესოა კუტი პურის სიმბოლო „ოთარაანთ ქვრივიდან“ – კუტი პურობა დამახინჯებული არსებობაა, – გამოუსადეგრობის მაჩვენებელია.

ყოველი დროის მოთხოვნილებაა თვითგადარჩენის მომენტი, როცა შეიძლება ცხოვრების მახინჯმა ფორმებმა წაგლეკოს. არ შეიძლება სასრული უსასრულობაში აგერიოს; როცა მტერი თავისი „მორალით“ მოდის, მთავარი მაინც შეუგუებლობის პრინციპია, რომელსაც დამამცირებელ მორჩილებასთან არა აქვს რა საერთო. მეობა დარღვეული საზოგადოება ადვილად წასალეკია. ბუმბერაზები თავად ქმნიდნენ ურჩობის ზნეობრივ მაგალითებს. მწერლობა მორალური სწავლებაა. შემოქმედი მებრძოლიც ხდება, ხმალს კალამი ცვლიდა. უნებელობა, უპრინციპობა იყო სამიზნე მწერლობისა. საზოგადოება, რომელსაც არ სტკივა თავისი, არ ახსოვს, თავისთავად საშიშია. დიდი აკაკი ხშირად იგონებდა ამასთან დაკავშირებით ერთ მოარულ ამბავს – როდესაც ნიკოლოზ I, რუსეთის იმპერატორი თბილისს ეწვია, მაამებლურმა საზოგადოებამ ყველა ღონე იხმარა, რომ მისთვის ესიამოვნებინა. ხასიათზე მოსულმა მეფემ დიდებულთ აღუთქვა, რაც გსურთ მთხოვეთ და აგისრულებთო. სახელდახელოდ გამოსთხოვეს აუდიენცია. მეორე დღეს პირობის შესრულების დროც მოახლოვდა. ახლა კი შეცბა რუსთა ხელმწიფე და ეცვალა ფერი, აწრიალდა, გამოფხიზლებულს შეეშინდა, ვაითუ სამეფო ტახტის აღდგენა მთხოვონო, მაგრამ სიტყვა სიტყვა იყო, პირობას ვერ გაექცეოდა. სამწუხაროდ, ქართველებმა ძლივს ამოღერღეს „სატკივარი“- მარილზე ბაჟის გადასახადი დიდია და იქნებ დაგვიკლონო. ამოისუნთქა ნიკოლოზ I-მა. გაივლის დრო და მერეც მრავლად აღმოჩნდებიან ისეთნი, რომელთაც მხოლოდ თავიანთი „ბაჟი“ და „მარილი“ შეაწუხებს და ეხსომება. ეს თავის თავის მსახური საზოგადოების ლოგიკური მოქმედებაა – ცალი თვალით მხედველი, მხოლოდ საკუთარი თვალით მაცქერალი ადამიანებისა.

ბევრია ღირსებისა თუ უღირსობის მაგალითები. აკაკის ერთი ძველი ამბავიც არაერთხელ გაუხსენებია და განსაკუთრებითაც ხიბლავდა. მზეხათუნიასე ერქვა ჯაფარიძის ქალს, ულამაზესს, რომელსაც არა ერთი მოუნუსხავს, მაგრამ ყველას უარით ისტუმრებდა. ბოლოს ერთი ყმაწვილი მოეწონა და უთხრა – ყველა ღირსება გაქვს, მაგრამ ერთი რამ გაკლია, სანამ შენში არ დავინახავ იმ ღირსებას, მანამ ვერ გამოგყვებიო. გავიდა ხანი. ვაჟმა მონაწილეობა მიიღო ასპინძის ომში. ის დაიჭრა და სახე დაუსახიჩრდა. ველარ ბედავდა ქალს დანახვებოდა, მაგრამ ქალმა თავად იხმო და უთხრა – აი, ეს ხაზი გაკლდა სახეზე და ახლა კი შეგირთავო.

ამ ორ მაგალითში სხვადასხვა დამოკიდებულებაა, რომელი უფრო ამაღლებულია და მშვენიერი მკითხველმა განსაჯოს. . . კარგს, სამწუხაროდ, ცუდი ითავსებდა. ძლიერი სული ითრგუნებოდა და ასეთი მაგალითებიც იშვიათდებოდა. გმირს მოლაქუცე ცვლიდა. მოდუნდა ერის გულისყური. ნაციონალური ხასიათის შტრიხები თუ შეცდომები ერის მოწინავეთა ყურადღებას იქცევდა. მიხ. ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებში“ ასეთ ფაქტს ეხება – როდესაც რუსმა გენერალმა ალიხანოვმა გურია აიკლო, იმავე დროს საფრანგეთში მაღარო ჩამოიქცა; გორში საქველმოქმედო კონცერტი გამართეს ქართველებმა და ფრანგებს დასახმარებლად თანხა შეუგროვეს. იმ ხანს, რომ გეკითხათ ფრანგისთვის საქართველო სად არისო, რუკაზეც ვერ დაგიდებდათო ხელს. გურია კი, არც არავის გახსენებია. ეს ტრაგედია არ განივრცო, სხვებს არ შეეხო. დიდია აქ გულგრილობის მომენტი. ასეთი რამ კატასტროფად შეიძლება იქცეს ჩვენთვის. როგორ კარგად იკითხება აქ ქართული მიამიტობა და კუდაბზიკობა. სხვაგვარი იყო თავად ავტორის ცხოვრებისეული არჩევანი, სიმართლე ხომ მადლთან თანაზიარია.

ქართული მწერლობა ლიდერის, წინამძღოლის როლს კისრულობს. შეუგუებლობის ტკივილი დიდხანს გასტანს. ყოფითი ცოდვა ბევრს დააწვება და ზეციური მადლის ნიშანიც ბევრში გააჩენს მღრღნელ ტკივილს. გაივლის დრო და ერთი ლეგენდაც გაიელვებს ხალხში, მერე კი ამაყ მაგალითად დარჩება.

უძრაობის წლებში, ერთფეროვანი ყოფით შეზღუდულ გარემოში გურამ რჩეულიშვილი – დაუდგრომელი სული, გაივლის მოფუსფუსე თბილისში, უეცრად სანადირო თოფს შემართავს და ლენინის ძეგლს ესვრის. იმდენად შეშინდებიან მაშინდელი მოხელეები, რომ ამ მოვლენას საგულდაგულოდ მიჩქმალავენ. აუტანელ სიჩუმეს ასე დაარღვევს ერთი ამაყი ჟესტი პროტესტისა, რომელიც დახვრეტაზე ხელის მოწერას უდრიდა... ერთხელ, ახალ წელს სოფელში უნდა შეხვედროდა გურამი, მაგრამ გზად მოუსწრო დღესასწაულმა. მთელი ძალით გააჭენა ცხენი ერთი ფიქრით – „დამებედოს, გაუშვი დამებედოს, გზა, ხიფათი, გარეთ ყოფნა, ჭენება, დაე დამებედოს, ეშმაკმა წაიღოს სახლში ჯდომის დაბედება; გაუშვი, დამებედოს ეგეთი ბედი!“ თითქოს ამ თქარათქურში ისმოდა ტატოს „მერანისა“ და გალაკტიონის „ლურჯა ცხენების“ ფლოქვების ხმა. ასევე საოცარია, როდესაც თელავში ასფალტს აგებდნენ, გურამმა თავდავიწყებით გააჭენა ცხენი და ცხელ ასფალტს დაამჩნია მისი კვალი – ესეც ჩვეულებრივი რუტინის დარღვევის ცდა: უჩარჩოო, თავისუფალი ყოფის მაგალითი, რომელიც არავითარ შეზღუდვას არ ცნობს, ცრუ ფარგლებს.

ჩვეულებრივ მდინარებაში იზრდება პროტესტი, რომლითაც წარმოჩინდებიან ამაყი გმირები და მათ არსებობაში იკითხება ციური ნიშნები. ცოდვასთან შერიგება იწვევს ცოდვის გამრავლებას. ადვილად ცვალებადი ხასიათი, სიტუაციისთვის მორგების შემთხვევები წელში ტეხდა ქართულ თვითმყოფადობას. ტკივილის გაცხადება გახდა უკვე მთავარი, ხოლო მისი მატარებელი უკვე სამიზნეც იყო. მუშაობდა შავი კაბინეტი. განა – 1921-24-37 წლები მამულიშვილთა გასრესის წლები არაა, წმენდისა. ნაბოლარა გმირებივით დადიოდნენ ტკივლმოძალებული ეული შვილები. ელოდებოდა საქართველო სხვა ასეთთა დაბადებას, დღესაც ელოდება!ადამიანის მატერიალური თუ სულიერი გაგება ურთიერთჭიდილში იყო. უბირთა ლაშქარში ილეწებოდა გოლიათთა სულები, მაგრამ ეს იყო მთლიანი ზნეობის საფუძველიც. მათ წრფელ და პატიოსან სამყაროში ჰქონდათ დიდი გამოძახილი. მათ დაამტკიცეს, რომ სხვაგვარ ცხოვრებაშია არსებობის სილამაზე, ადამიანობის სახელ-გამართლება და, რომ „დედამიწაც ზეცაა“. სულიერ წონასწორობას მათშივე ვეძებთ, ისინი არიან ჩვენი გონის მწვრთნელნი. სულის სადავეებიც მათ ხელშივეა კვლავ, ხოლო ჩვენი უვიცობა აწყობს მტერს. მათთვისაა ხელსაყრელი საკუთარ სიამოვნებას მიყურადებული, უგულშემატკივრო საზოგადოება. . .

ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“, ეპოქის ნიშანი და გამოძახილია. ელი – საქართველოს სიმბოლური სახეა. მისი შეუღლება რუსთან, ქორწინება მასთან უბედურების მომტანი აღმოჩნდა! მას არც უცხოელისგან დაადგება კარგი დღე. გამართლება არ არის სხვაგან. ყოველი “სხვა“ რჩება სხვად. თავისთავთან დაბრუნებაშია თავისუფლებისა და ბედნიერების არსი, საკუთარ წიაღშივეა სიცოცხლის ძალა და გადარჩენა. ფიზიკურ-სულიერი ტყვეობისგან თავისდაღწევას ცდილობს. დამამცირებელი თუ „საპატიო“ტყვეობა – ორივე ერთგვარად შეურაცხმყოფელია. ამ ორსავე შეუღლებიდან იშვა მიუღებელი რეალობა. არც ერთისგან არ მოდის ბედნიერება. გველი – ცოდვითი ასპექტი შემოდის ნაწარმოებში. გველისგან მხოლოდ სიკვდილი მოდის. ქორწინება სხვასთან წარმოშობს გველს – ცოდვასა და მოკვდინებას. შელოცვას ელი, სამშობლოდან ელოდება. საქართველოს წიაღშია მისი გადარჩენის შესაძლებლობა, იქიდან უნდა მოვიდეს მადლი, შველა და სიცოცხლე. ელის, ვერც ქართველი ქმარი უპატრონებს – ქვეყანას ცუდი პატრონიც სხვასავით ანადგურებს. ელის არჩევანი საბედისწერო აღმოჩნდა, ხსნა უცხოსგან სიკვდილით მთავრდება. ეს თავგანწირვაა. ცოცხლად დარჩენა სიკვდილის ზღვარზე ყოფნაა, უსასოობაა და წვალება. ქართველისთვის თავისი ქვეყანა „სხვით“არ იცვლება!

საშიშია ცნობიერების დაზიანება, ამიტომაც მწერალი ბრძოლის სიმბოლოა, რომელიც ტკივილითვე მკურნალობს და ხან სიცოცხლითაც აგებს პასუხს. როცა სიმართლეს ვერ ღალატობ, ეს კი იზოლაციაში გაქცევს – ეს უკვე თავის გამეტებაა, ესაა მწერლური ღირსებაც. პროტესტის ერთ-ერთი ფორმაა-შემოქმედებით მსახურება, მხილება ურგები დროისა. სიტყვის თავისუფლება ეროვნული თავისუფლების გაქელვის ჟამს მთავარი საზრდო ხდება. გულგრილობის გამოვლენა ამ მოძღვრებისათვის, უკვე ცოდვაა. უწიგნურობაში დაღუპვა შეიძლება ამოვიკითხოთ. მასობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება მხოლოდ საკუთარი მწერლობის უგულვებელყოფით შეიძლება. რატომ აღარ გაგრძელდა მათი გულისძგერა ჩვენს გულებშიც?როცა გსურს იპოვო მთავარი, არც ტკივილი იგვიანებს.

საცდურის მიღება თუ თავშეკავება მისგან! – ურთულესი გზაა ორივე. ბოროტ სულთან თანაცხოვრების, მისი მიუღებლობა და ზნეობრივი გამიჯვნის გზა გვიჩვენა ბარათაშვილმა „სულო ბოროტოში“. ყოფიერება გამოცდაა, ბოროტი სულის „აღქმანი“ მომაკვდინებელი... მასთან მიმნდობი ბრმაა სულიერი თვალთახედვით. გამოცდილებას გააზრება მოაქვს. ღვთაებრივ საფეხურზე მასთან ყოფნის გზები იყრება. ბოროტებას და ბედნიერებას ერთი და იგივე გარემო არა აქვს. სიდიადე ცდუნებასთან შეუთავსებელია. ცოდვის უარყოფით მოდის მადლი. გადაურჩე სულით სახიჩრობას დიდი ადამიანობაა. ბარათაშვილი ღვთიურ-ადამიანურის მიჯნაზე დგას. სუსტი ნებისყოფა შეიცავს ცოდვის შესაძლებლობას, ბოროტებასთან შეგუებაც კი გამხრწნელი ფაქტორია, ამიტომაც ახერხებს პოეტი მთლიანობის აღდგენას თავის თავში.

ბოროტისთვის მოქნეული ხშირად შენვე გხვდება – „ბათა ქექიაში“გაპამპულავებულმა კაცმა ბათას საცოლე შეუცვალა და მისი ბედნიერება დაისაკუთრა, მომქნევს ბოლომდე აღარ ეყო ძალა და ზურგი არ უქცია ცბიერს.

ფსიქოლოგთა თანახმად – საზოგადოება სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: მოძალადე, მსხვერპლი და მხსნელი. დამეთანხმებით, რომ მსხვერპლი ყოველთვის მხსნელი არაა, მაგრამ მხსნელი თავისთავად გახლავთ მსხვერპლიც. ბედნიერება ალბათ ისაა, უფლის ჭრილობები შენშიც რომ არსებობს. დიდია ცდა დაგიკარგონ სახე – ღმერთს რომ გამსგავსებს... არც „ჩვენისა“ და „სხვის“ აღრევა შეიძლება! ერთი პოეტისა არ იყოს, „რა

გაგრძელება მე-5 გვ.

დასაწყისი გვ. 4

საზარელი ყოფილა, ფრენა შეჭრილი ფრთებით“ – ქვეყნის სიმაღლემდე ყოველთვის ტკივილით ადიხარ! დიდია სულიერი თავკაცებისგან მომდინარე გაფრთხილება თუ ზნეობრივი მომენტები. ძნელია ბოროტებამ ვინმე გააკვირვოს, მაგრამ სხვაა დიდი ადამიანებისგან მოგვრილი გაოგნება!

ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბაში“ ორი გმირი იკვეთება – ხრიტანიუკი და უჯუში, ორი სულისკვეთება. აქ დგას სხვადასხვა ცნობიერების ურთიერთშეჯახების პრობლემა. ასევე სულიერი საზრდოსა თუ უსაზრდოობის ერთი შტრიხიც ჩანს: ხრიტანიუკს გულ-მკერდზე ტატუ აქვს – ნამგალი და ურო; ცხადია, მისი სულიერი სიცარიელე და სიმახინჯე იკვეთება ამ სიმბოლო-ნიშანში, უჯუშს – წმ. გიორგის ორდენი უმშვენებს გულ-მკერდს და ამაყადაც ატარებს მას. პირველი ყოველთვის ხელყოფს მეორის სიწმინდესა და ღირსებას, როგორც კი შემთხვევა მიეცემა. აქ იკითხება ცნობიერება რელიგიის გარეშე და ის-რელიგიის ნიშნით, გული ხომ ადამიანში ღვთაების არსებობის ადგილია. შემთხვევითი არც ისაა, რომ პირველი ლაზღანდარა, უტიფარი, უღირსი კაცია და მეორე-ღირსეული, მსხვერპლისუნარიანი, ურჩი რაინდი-თავისუფლების გამომხატველი გმირი. მას უტყუარი გული აქვს.

საინტერესოა, ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი“. აქაც პრობლემატიკა სხვადასხვაგვარობაა. დგას ბელადის საკითხიც, ცრუ ბელადისა. პირველკაცობის მოპოვება ყოველთვის ღირსეულის ხვედრი არაა. იმარჯვებს ძლიერი ანუ გამარჯვება-ძალადობის გზით. დავაკვირდეთ, ზნეობა არ წყვეტს!ნივთიერი საფუძველი აქვს ბელადობას და არა სულიერი. ნაწარმოები დაიწერა 1981წ., ბელადომანიის ხანაში, ათეისტურ დროს, ამიტომაცაა საგულისხმო ის დიდი მისტიკა და ალეგორია, რაც მწერლურმა გამბედაობამ ჩადო აქ. სიმბოლურია დროც, ბელადიც... „კაცი რომ დიდი დაძინებით იძინებს მთლიანად არ ქრება“ – აქ გააზრებულია, რომ სიკვდილი არის მარადისობა ანუ ადამიანი მარადიულის ნაწილია. „იგი“ მთავარი პერსონაჟია, რომელიც განზოგადებულია და ნაცვალსახელით მოხსენიებაც მის სიმბოლურ მინიშნებას იძლევა. საინტერესოა, როგორ ხდება მისი სულიერი ზრდა, ეტაპები, რაც გმირს გმირად აქცევს. ის აცნობიერებს, რომ განსხვავდება სხვათაგან და უპირისპირდება უსულგულო მასას. კაცების ჯგუფი მოდიოდა, ანუ „ერთიანი გორგალივით მოგორავდა“, იგი მათ ისე უცქერდა, თითქოს რაღაც „უცხო ჯიშის ნადირს“ უყურებდა ე. ი. ის უკვე გრძნობს, რომ განსხვავდება დანარჩენებისგან. ეს გარემო მისთვის უცხოა, იქაურობას არ ეკუთვნის. უმანკოება აქ დაჯაბნილი, შეშინებული, უკუგდებული, ცოდვამორეულია – „პატარა ზუ“, პერსონაჟი. გარშემო პიროვნებები არ არიან, „მძინარე თანამოძმეები“ არიან, ანუ სულით მთვლემარე საზოგადოება. „იგი“ სიფხიზლით დაჯილდოებული პიროვნებაა. სიბნელე, ღამე არაა ასტრონომიური დრო, მდგომარეობის, ბნელი გარემოს ხატია. ჩანს შინაგანი სიმაღლის პრობლემა, როცა „იგი“ „გამართულია“, სხვები „მოხრილნი“-მოხრილობა მიწასთან სიახლოვისა და სიმახინჯის ნიშანი. სიკეთის არჩევანი არ არის უსაფრთხო! გაჩნდა „მძინარე ტკივილი“, ანუ ფარული, ჩუმი და ამაშია იმედი-გაღვიძების! ხდება განწმენდა ტკივილის გზით. ის სხვებთან მარტოობას გრძნობს და მარტო ყოფნისას არა-მარტოობა ავსებს, სხვებთან კი ეს სული იჩრდილება. ის გადის თვითდადგინებისა და თვითგამოხატვის მტკივნეულ პროცესს. თავიდან ხომ ცდილობს მიჩქმალოს ღირსება, მაგრამ სულმა მაინც თავისი გაიტანა და ეთიშება სხვებს. ბელადის „კბილებში ელვა და თვალებში მრისხანება“ ჩნდება. ეს განსხვავებულობის უარყოფაა. „იგიც“ ცდილობს და ბელადიც ხიფათი აიცდინოს. „იგიმ იცის ისეთი, რაც ბელადმაც არ იცის“ – არაა პირველკაცის ხვედრი გონებრივ-სულიერი ხედვა. „იგი“ ხომ სხივის ანუ სინათლის მეშვეობით იძენს ძალას, რომელიც მადლის სახით მიიღო. მას აქვს სამყაროს შეცნობის უნარი. ის აკეთებს არჩევანს სიცრუისა და ჭეშმარიტების ზღვარზე. მას ულუფას უსპობენ, საარსებო საშუალებას, ნორმასაც კი არღვევენ-ეს პირველი აკრძალვა და დასჯაა! სხვები კი გემრიელად შეექცევიან ანუ მათი არსი ჭამაა. საბრალოა, ვისაც თავის თეფშის იქით არეალი არ გააჩნია. ეს უტკივილო საზოგადოებაა. დაუმონებელი ინდივიდი უსახო მასის პირისპირ და თავსმოხვეულ ცხოვრების წესზე უარის თქმა – ესაა მწერლის ინტერესის საგანი... დაძაბული ატმოსფეროა. „ვიწრო შუბლები მიწისთვის მიეშვირათ“ ეს მათი მიწიერ-ბუნებრივი მდგომარეობაა. ვიწროშუბლიანებში არც ღვთაებრივი ძარღვი ფეთქს და არც ადამიანური, ეს პირუტყვული ყოფაა, ზეცის არსებობა არ იცის მხოლოდ ცხოველთა სამყარომ. განსხვავება-გამორჩეულობა მსხვერპლს ბადებს. „იგი“ სიკვდილს ანუ დასჯას არჩევს – აქ არჩევანის სიამაყეა, შეგნებული თავგანწირვა. ის მარადიული გმირია, ამიტომაც ადის მშვიდად „დიდი დაძინების ქარაფზე“, ბელადი კი ყოფითი გმირია და მსხვრევადი-„ქვის ბელადი დაეცა და შუაზე გატყდა“. აქ გმირების ამოძირკვის საკითხიცა დგას. ურჩი მკაცრად უნდა დაისაჯოს-ასეთია ყველა ბელადის მოქმედების პათოსი. „იგიმ რაღაც იცის, რაც სხვებმა არ იციან“ – ეს უკვე სხვა სინამდვილეა, ღვთაებრივი ცოდნა, დასაწყისში ყურძნის სახით რომ ვახსენეთ. „იგი“ მსხვერპლია, ღვთაებრივი გმირი. აქ პიროვნული გმირობა უპირისპირდება საზოგადოების სილაჩრესიბრიყვეს და მათ ცრუ კერპს. დაჯაბნილი საზოგადოება ხომ საშიში აღარაა. „იგის“ გზა გადარჩენისა და მომავლის გზაა, მომავალი ნათელ ფერებში წარმოუდგენია ამიტომაც. ის გრძნობს პასუხისმგებლობას დროში, ხოლო ზუ მომავალს განსაზღვრავს. ორსახოვნება სულისა, შემოქმედებითი უნარისა, ღვთაებრივის მიწიერით სახეცვლილება პერსონაჟ „ნის“ სახეში იკითხება, სხვადასხვაა: ძველი ნი – სილის, ნი – ქვის, ნი – აღდგენილი ნი. ხან მახინჯდება და ჭუჭყში იკარგება, ხან უსაზღვროებასავით ლამაზი და მიუწვდომელია, ხან ადამიანშია და ხან ოცნებასავით შორს. „იგი“ თავადვე ქმნის სილამაზეს და წარმოაჩენს მშვენიერების და სიმახინჯის არსს, როცა შემოქმედის უნარს აღმოაჩენს თავის თავში. „სანამ იგი არის მის სხეულში, არც ბელადი გამოილევა, არც ნი... ვისაც ბელადი ჰყავს სხეულში, ის ცრუ შემოქმედია, ადამიანი ითავსებს კარგსაც და ცუდსაც. „იგისგან“ რჩება ქვის ნი-სიდიადეა უკვდავყოფილი, ქვის ბელადი კი ნამსხვრევებად იქცა, ამით მისი უარყოფა ხდება და წარმავლობაა ხაზგასმული.

ასეთია ზნეობა-უმანკოებისა თუ უზნეობის საკითხები და სხვადასხვა გზა-სავალის პრობლემა. არსებობაც მაშინაა ლამაზი, როცა ფრენას „შეჭრილი ფრთებითაც“ ახერხებ, „დიდი დაძინების ქარაფზეც“მშვიდი ნაბიჯითა და დაუნანებლად ადიხარ და ალავერდის სიმაღლიდანაც რჩეულიშვილივით გადმოხედვა შეგიძლია!როცა „კუტი პური“ არა ხარ “არსობის პურის“ სანაცვლოდ!

ლალი ბარძიმაშვილი

ფილოლოგი, მკვლევარი

შეცდომების გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (№23) ლალი ბარძიმაშვილის სტატიაში „მე დიდი მყავდა წინამორბედი, წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა“ პირველ აბზაცში უნდა იყოს – საზღვართან. გვაუწყებენ, ნაცვლად სიტყვისა გვიუწყებენ, არტისტოკრატიის ნაცვლად უნდა იყოს არისტოკრატია. პირველ სვეტში უნდა იყოს ჯიბე, ნაცვლად ჯიებე სიტყვისა; ინტელიგენცია უნდა იყოს შეცვლილი სიტყვით – ინტელიგენტია, უნდა იყოს – „მიტომაც დაურქმევიათ ცოლი“. მეორე სვეტში უნდა იყოს – გამორჩა „მხედველობიდან“. მეორე სვეტში უნდა იყოს „მძღობელის“ ნაცვლად – „მძღომელი“ ე. ი. ვინც წინდაწინ „გაძღებს“, ასევე უნდა იყოს „ისინი გვაძღებენ“. უნდა იყოს წინა მძღომელებს და დეპუტანტებს. უნდა იყოს მესამე სვეტში „გასაჟღერებლად“, ხოლო ქვეყანაზე ბრუნვის ნაცვლად უნდა იყოს „ქვეყანაზე ზრუნვა“. მეორე გვერდზე პირდაპირის ნაცვლად უნდა იყოს „პირდაპირ“, ბოლო მესამე სვეტში უნდა იყოს – სევდაა, ღვთივგანბრძნობილობა. ბოლო აბზაცში – ცბურის ნაცვლად – „ცბიერი დრო“.

საკაკაშვილის პარანოიდული კოშმარი, რომელმაც შესძრა საქართველო

სრულიად საქართველოს მოსახლეობა, ჯერაც ვერ გამოსულა (და კიდევ დიდხანს ვერ გამოვა) იმ უმძიმესი ფსიქოლიგიური ტერორისა და სტრესიდან, რაც მიმდინარე წლის 13 მარტს, სრულიად მოულოდნელად დაატეხა თავს საკუთარმა ხელისუფლებამ.

ტელეკომპანია „იმედით“, 13 მარტს, 20 საათზე, გაუშვეს სპეციალური 40- წუთიანი საინფორმაციო პროგრამა, რომელიც თანდართული ვიდეოკადრებით იუწყებოდა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა მიიღო საქართველოს ინტერვენციის გადაწყვეტილება, რომ რუსეთის ტანკები უკვე უახლოვდებიან თბილისს, რომ უკვე ოკუპირებულია რაჭა, რომ უკვე დაიბომბა ფოთი, სენაკი, ზუგდიდი, გორი, თბილისის აეროპორტი, რომ მოკლულია (ცოცხალია) პრეზიდენტი საკაშვილი, რომ ქართული ჯარის რამდენიმე შენაერთი გადავიდა მტრის მხარეზე, რომ სომხეთმა გზა გაუხსნა თბილისისკენ რუსულ ტანკებს, რომ გორიდან მომავალ რუსეთის ტანკებს თბილისისკენ მოუძღვიან ე. წ. სახალხო მთავრობის თავმჯდომარეები ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიდელი და რომ უკვე მიმდინარეობს ქართველი „მოხალისეების“ ჩაწერა თბილისისა და სრულიად საქართველოს დასაცავად რუსეთის სამხედრო ინტერვენციისაგან, რომ დაწყებულია ბრძოლები და იგი ქუჩებშიც კი მიმდინარეობს და ა. შ. და ა. შ.

გადაცემულმა ინფორმაციამ (– ბოროტგანზრახულმა დეზინფორმაციამ) პანიკა და ქაოსი გამოიწვია თვით სამხედრო–პოლიციურ ძალებში და მესაზღვრეებშიც, საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, მაგრამ არა მთელს მოსახლეობაში; საბედნიეროდ, ამ შემთხვევაშიც, პოზიტიურად იმუშავა ქართველი ხალხისთვის დამახასიათებელმა სიბრძნემ და გონიერებამ, საღად შეაფასეს ვითარება ობიექტურ რეალობასა და სატელევიზიო ვირტუოზულ რეალობას შორის. და გადავრჩით! თუმცა, სტრესულმა ტალღამ ყველა ძალუმად შეარყია.

სამხედრო ინტერვენციის პანიკას, მართალია, მოსახლეობაში მნიშვნელოვანი მსხვერპლი არ მოჰყოლია, ელდით გარდაიცვალა სამი ადამიანი, მაგრამ იყო, თავსდამტყდარი შიშითა და სასოწარკვეთილებით გამოწვეული ფსიქიური მოვლენების შემთხვევები, განსაკუთრებით მოზარდებსა და მოხუცებში. იყო ნაადრევი მშობიარობის ფაქტები, იმატა სასწრაფო სამედიცინო დახმარებების გამოძახების რაოდენობამ.

ყოფილი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედი“. რომელიც ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილება იყო (საღ-სალამათი პატარკაციშვილი, მოულოდნელად „გულის შეტევით“ გარდაიცვალა ლონდონის საცხოვრებელ სახლში. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ იგი მოწამლეს), სააკაშვილის ხელისუფლებამ წაართვა პატარკაციშვილის ქვრივს ქ-ნ გუდავაძეს. თავად ბ-ნ ბადრის სიცოცხლეშიც იყო მრავალჯერადი მცდელობა, წაერთმიათ მისთვის ტელეკომპანია „იმედი“, რასაც ხელისუფლებამ ვერ მიაღწია. ამჟამად, პატარკაციშვილის სიკვდილის შემდგომ, „იმედი“, ფაქტიურად სახელმწიფოს ტელევიზიაა. მისი ხელმძღვანელი კი, მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი არველაძეა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიის დროშით მოსულმა სააკაშვილმა შეიარაღებული ბრძოლა გამოუცხადა დამოუკიდებელ ტელეკომპანიებს („იბერია“, „იმედი“, „25-ე არხი“, „მე-7 არხი“, „მე-9 არხი“, „202“, „მაესტრო“ და სხვა), მოსპო და გაანადგურა ისინი.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ „იმედზე“ გასული გადაცემა სამხედრო ინტერვენციის შესახებ მხოლოდ სააკაშვილის პარანოიდული კოშმარი იყო და სხვა არაფერი, აღშფოთებული და ღირსებაშელახული ხალხი ტელეკომპანიის კარიბჭეს მიაწყდა (მათ შორის, ოპოზიციური პარტიის ლიდერებიც) და ტელეკომპანიის, როგორც ხალხისთვის საშიში და საზიანო მაუწყებლობის, დახურვა და ხელმძღვანელობის დასჯა მოითხოვა. საპროტესტო მიტინგები, ტელეკომპანიასთან, მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა. ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა, საზოგადოებისათვის მხოლოდ მრავალდღიანი ბოდიშის მოხდით შემოიფარგლა.

მოგვიანებით, ტელევიზიებით გავრცელდა სააკაშვილ–არველაძე–წამალაშვილის (არველაძის მოადგილე) სატელეფონო საუბრები, რომლითაც გაცხადდა, რომ აღნიშნული დეზინფორმაციული გადაცემა, ომის მოდელირებული კადრებით, პირადად სააკაშვილის სცენარით შედგენილ–შეკვეთილი იყო (*რედ.*).

ვინ წარმოადგენდა რუსეთის იმპერიულ ძალებს და მის აგენტურას საქართველოში 1990-იან წლებში

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და მისმა უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 31 მარტს, ჩაატარა საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, რასაც დადებითი ხმა მისცა საქართველოს მოსახლეობის 98,9%-მა. ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. სულ მალე, საქართველოში, ამოქმედდნენ რუსეთის იმპერიული ძალები და თავიანთი აგენტურის მეშვეობით დაიწყეს შეიარაღებული დესტაბილიზაცია საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის მიზნით. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, 1992 წლის 14 იანვრის მიმართვაში განაცხადა: „იმპერიული ძალების მიერ ინსპირირებულმა პუტჩმა უდიდესი უბედურება დაატეხა საქართველოს. პუტჩისტები ცდილობენ ხელისუფლების უზურპირებას, მთავრობის ჩამოყალიბებას, თუმცა მათი ყოველგვარი ქმედება უკანონოა და არაკონსტიტუციური. ა.წ. 6 იანვარს, მე საქართველოს კანონიერმა პრეზიდენტმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დავტოვეთ უზენაესი საბჭოს შენობა, რათა აღარ გაგრძელებულიყო ნგრევა და სისხლისღვრა..“ ხოლო 1992 წლის 24 მარტის მიმართვაში, იარაღის ძალით განდევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია წერდა: „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის მოდერნიზებული იმპერია განაგრძობს არსებობას და ცდილობს ხელყოს ყოველივე ის, რასაც მივაღწიეთ წლების მანძილზე თავდაუზოგავ ბრძოლაში. იგი ინარჩუნებს საოკუპაციო ჯარებს ჩვენს ტერიტორიაზე, მათი მხარდაჭერით ცდილობს განამტკიცოს თავისი მარიონეტული კრიმინალური ხუნტა, რათა საქართველოს არ ეღირსოს სრული და ჭეშმარიტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რაშიც რუსეთს ეხმარება დასავლეთის ზოგი სახელმწიფო, რომელიც სცნობს ხუნტას..', ანუ შევარდნაძის რეჟიმს, რომელიც სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ, სამხედრო საბჭოს მოწვევით 7 მარტს ჩამოვიდა საქართველოში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ სამხედრო საბჭოს დოკუმენტებს და იმ პირთა სიას, რომლებიც ხუნტის სახელმწიფო საბჭოს წევრები იყვნენ.

ქვემოთმოყვანილი დოკუმენტები დიდი ხანია გამქრალია ბიბლიოთეკების საცავებიდან (ამოჭრილია იმ პერიოდის ყველა გამოცემიდან – გაზეთებიდან) და მათი მოპოვება, მხოლოდ პარლამენტის ერთ-ერთი კაბინეტიდან არალეგალური გზით შევძელით (**რედ.**).

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შექმნისა და სამხედრო საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევამდე, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების, სამოქალაქო თანხმობისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის, ეკონომიური რეფორმების ქმედითობისა და მათი უსწრაფესი განხორციელების, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების მიზნით სამხედრო საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევამდე კანონშემოქმედებითი, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ფუნქციების განხორციელების მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან არსებული პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრების, საზოგადოებრიობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის გათვალისწინებით.

3. გამოქვეყნდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობა.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის
სამხედრო საბჭო
თენგიზ კიტოვანი ; ჯაბა იოსელიანი
თბილისი. 10 მარტი 1992 წელი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ედუარდ შევარდნაძე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ.

2. დამტკიცდეს ჯაბა იოსელიანი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

3. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო საბჭო
თბილისი. 10 მარტი 1992 წელი.
გაზეთი "Свободная Грузия"
12 მარტი 1992 წელი, № 35 (295) .

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო (1992 წლის 10 მარტიდან – 1992 წლის 4 ნოემბრამდე).

ედუარდ შევარდნაძე – სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე;

ჯაბა იოსელიანი – სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თენგიზ სიგუა – სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი;

თენგიზ კიტოვანი – სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე;

ვახტანგ გოგუაძე – სახელმწიფო საბჭოს მდივანი;

სახელმწიფო საბჭოს წევრები:

ვალერიან ადვაძე – ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის თავმჯდომარე;

ლევან ალექსიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი;

მერაბ ალექსიძე – მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

მზეჭაბუკ (ჭაბუა) ამირეჯიბი – ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის წევრი;

ჯემალ აჯიაშვილი;

ირაკლი ბათიაშვილი;

აკაკი ბაქრაძე;

გურამ ბერიშვილი – რესპუბლიკური პარტიის წევრი;

დავით ბერძენიშვილი – რესპუბლიკური პარტიის წევრი;

იგორ ბოგომოლოვი;

კოსტანტინე გაბაშვილი;

თამაზ გამყრელიძე – მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი;

გურამ გეგეშიძე – რუსთაველის საზოგადოების ვიცე–პრეზიდენტი;

ნაირა გელაშვილი;

არჩილ გოგელია;

ვასილ გოცირიძე – ლიბერალურ–დემოკრატიული ეროვნული პარტიის წევრი;

რომან გოცირიძე;

გურამ თევზაძე – მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი;

ალექსანდრე კავსაძე;

თამაზ კვაჭანტირაძე;

პაატა კოღუაშვილი – მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმისსახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

რაულ კუპრავა;

დავით კუპრეიშვილი – მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი;

ოთარ ლითანიშვილი – ქ. თბილისის მერი;

ნოდარ ლომოური;

მირზა მაშოვი – რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული აზერბაიჯანული ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი;

ლევან მესხი;

ზურაბ მურვანიძე;

გურამ მუაჩიძე – სოციალ–დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე;

მიხეილ ნანეიშვილი – ლიბერალურ –დემოკრატიული ეროვნულიპარტიის თავმჯდომარე;

თევდორე (თედო) ნინიძე;

თემურ ნერგაძე;

იზა ორჯონიკიძე;

თედო პაატაშვილი – „ქარტია–91“–ის თავმჯდომარე;

დავით პატარაია;

ზურაბ ჟვანია – მწვანეთა პარტიის სპიკერი;

თეიმურაზ ჟორჟოლიანი – მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე;

ვიქტორ რცხილაძე;

ირინა სარიშვილი – ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის პრეს–მდივანი;

ფრიდონ საყვარელიძე – „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის“ წევრი;

გიორგი სიგუა;

თემურ ფიფია;

თორნიკე ფიფია – ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი;

ირაკლი ქადაგიშვილი – ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე;

ლანა ღოღობერიძე;

რევაზ შავიშვილი – „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე;

ლუიზა შაკიაშვილი;

თეიმურაზ შაშიაშვილი;

გივი შაჰნაზარი;

ირაკლი შენგელაია – რესპუბლიკურ–ფედერალური პარტიის თავმჯდომარე;

გიორგი შენგელაია;

ელდარ შენგელაია – კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე;

ჯანსუღ ჩარკვიანი;

თამარ ჩხეიძე – ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი;

ვახტანგ ძაბირაძე – რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე;

ნიკო ჭავჭავაძე – ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი;

გიორგი (გოგა) ხაინდრავა;

ივლიანე ხაინდრავა – რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე ჯავახიშვილი – მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი;

თამაზ ჯანელიძე – კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი;

ავთანდილ სილაგაძე – კონტროლის პალატის თავმჯდომარე;

რუსუდან ბერიძე;

აკაკი ბობოხიძე – რესპუბლიკური პარტიის წევრი;

თამაზ დიასამიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკური პარტიის წევრი;

ვალერიან ვაშაკიძე;

ოლღა თედეევა;

ზურაბ კიკნაძე;

რამაზ კლიმიაშვილი;

გიორგი კობახიძე – ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წევრი;

ადა მარშანია – რესპუბლიკური პარტიის წევრი;

ირაკლი მელაშვილი – „ქარტია – 91–ის“ წევრი;

რუსლან მიქაბერიძე;

დავით ტურაშვილი;

რუსლან ღონღაძე – ეროვნული ფრონტი–რადიკალური კავშირის წევრი;

რევაზ ჩხეიძე – კინოკორპორაციის პრეზიდენტი;

გრიგოლ (გოჩა) ჯოჯუა – მონარქისტულ–კონსერვატიული პარტიის წევრი;

ნონა კენჭუაშვილი – „ღვთისშვილთა“ კავშირის თანაპრეზიდენტი;

ალექსანდრე ბერიძე – ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარისპირველი მოადგილე;

ივანე (მამუკა) გიორგაძე – ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წევრი, ეროვნული კონგრესის წევრი;

დემურ დვალიშვილი – „მრეწვმშენბანკის“ თავმჯდომარის მოადგილე;

გრიგოლ (გიგა) ლორთქიფანიძე – თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;

მერი მარკოზია – ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი, ეროვნული კონგრესის წევრი;

რომან მიმინოშვილი – ილია ჭავჭა-

გაგრძელება მე-7 გვ.

1939 წლის 31 მარტს, რუსეთის კოლონიური უღლისაგან განმანმანთავისუფლებლად, საქართველოს მოევლინა ზვიად გამსახურდია

დასაწყისი გვ. 7

ვაძის საზოგადოების წევრი;

გია ჟორჟოლიანი;

ვახტანგ ტალახაძე – ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წევრი;

ირაკლი ტუღუში – დამოუკიდებელი პროფესიული კავშირებისკონფედერაციის თავმჯდომარე;

ვანო ხუხუნაიშვილი – ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წევრი;

დიმიტრი ჩიტლოვი – უზენაესი სასამართლოს წევრი;

თენგიზ ასანიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი;

თამაზ ტუნაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი;

თემურ ჩოქაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი;

ირაკლი ანდრიაძე – სახელმწიფოს საბჭოს საქმეთა მმართველი.

(სია შედგენილია „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებულის“ I და II ტომების რედაქტორი დავით უსუფაშვილი. 1995 წ. მიხედვით.)

16 იანვარს თბილისში, დაახლოებით 14 საათზე საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ განაცხადა, რომ ამჟამინდელი დროებითი მთავრობისადმი ყოველმხრივი მხარდაჭერა გამოხატა სამხრეთ-ოსეთის ხელისუფლებამ. „ჩვენ მზადა ვართ ჩამოვიდეთ თბილისის დასაცავად ნებისმიერ დროს და გპირდებით მამაცურად დავიცავთ საქართველოს საზოგადოებრიობის დემოკრატიულ ძალებს“ – განაცხადეს ოსური შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელებმა.

ზოგიერთი ცნობით, ასეთი მოწოდებით ცხინვალში გამოვიდა ოპოზიციონერების მიერ ციხიდან განთავისუფლებული ოსური მოძრაობის ლიდერი ტორეზ კულუმბეგოვი.

„ნეზავისიმაია გაზეტა“ 17 იანვარი 1992 წ. №10(181)

რა შეიძლება ითქვას დაბეჭდილ ზემო ინფორმაციაზე? მხოლოდ ერთი: 1991 – 1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ უზურპატორთა ხროვას – თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანს და ჯაბა იოსელიანს პირდაპირი შეიარაღებული მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს ერთიანობის მტერმა, ოსი ექსტრემისტებისა და სეპარატისტების მოთავემ, ტერორისტმა ტორეზ კულუმბეგოვმა, რომელიც პატიმრობიდან გაანთავისუფლეს. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი „დემოკრატები“ იმდენად სულგაყიდულ ნაძირალების ხროვას წარმოადგენდნენ, რომ ძალაუფლების უზურპაციის მიზნით მზად იყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის მტრებთან ერთად დაეღვარათ ქართველი მამულიშვილების სისხლი და გაეჩაღებინათ ძმათამკვლელი ომი.

ეს ფაქტი გაკვეთილი უნდა გახდეს ყველასათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის.

ლეილა ცომაია

„...მე მთელს სამყაროს შევებრძოლები“

ზვიად გამსახურდია, – საბჭოური ინკვიზიცია გამოვლილი და ჩვენგან ჯვარცმული, საქართველოს განმათავისუფლებელი და მისი პრეზიდენტი არ გახლავთ მხოლოდ. პიროვნება, რომელიც მოგონებებში იტყვის, – „მამამ დამარწმუნა, დამაჯერა, რომ სამშობლოს, შენი მიწის, შენი ქვეყნის სიყვარული უზენაესი ყოფილა. მას შემდეგ ამ რწმენით მოვდივარ მეც, მამის მაგალითზე. პირადულზე უფრო მაღლა სამშობლოს სიყვარულს ვაყენებ,“ – არ შეიძლება მხოლოდ პრეზიდენტი ყოფილიყო.

ზვიად გამსახურდია, პირველ რიგში მამულისთვის თავგანწირვის მზაობაში მყოფი ერისკაცი და, როგორც დავითზე იტყოდნენ, უშიში იყო. ამაშიც მამა აძლევდა მაგალითს იმით, რომ თავის კლასიკური ნაწარმოებების თითქმის ყველა პერსონაჟში საკუთარ ხასიათს, სიმტკიცეს, ვაჟკაცობას და უკან დაუხევლობას აღწერდა. დამეთანხმებით, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში სხვა არცა გვყოლია ვინმე. საუბედუროდ, არც დღეს გვყავს მსგავსი (თუნდაც ერთი...). დედა, ქ-ნი მირანდა ფალავანდიშვილი, საყოველთაოდ ცნობილი, როგორც უჭკვიანესი, განათლებული, გონიერი, გარეგნობით გამორჩეული და უსათნოესი ქალბატონი ის მანდილოსანი გახლდათ,რომელსაც ზედმიწევნით შეეფერებოდა პოეტის მიერ მოწიწებით ნათქვამი: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა“.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, – „მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია, თქვა სვიმონ გამსახურდიამ და შეაგდო ნაპირებიდან გადმოსულ „აბაშაში“ ცხენი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, – მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია, – თქვა კონსტანტინე გამსახურდიამ და შეაგდო მდინარეში ცხენი.

მეოცე საუკუნის დასასრულს, – მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია, – თქვა ზვიად გამსახურდიამ და შეაგდო მორევში ცხენი...“

იმ გვარის შთამომავალზე, რომელთაც ნებისმიერი რისკის ფასად, უკან დახევა არ სჩვეოდათ, მტკიცება იმისა, რომ თავი არ მოუკლავს (არც უფიქრია) მსგავსი რამ, ნებისმიერი ადამიანისაგან, მიუხედავად რანგისა და ასაკისა, რბილად რომ ვთქვათ, მკრეხელობაა. მკრეხელობაა იმიტომ, რომ ჭეშმარიტ სიმართლეს არგუმენტი არ სჭირდება, რადგან „სიმართლე ერთია მხოლოდ“ და ეს სიმართლე ისაა, რომ ზვიად გამსახურდია თავს შეაკლავდა, მაგრამ არასოდეს მოიკლავდა. ეს ყველამ კარგად უწყის, მაგრამ ჩვენი ადამიანური სისუსტის გამო მისი სიცოცხლის დაუცველობისათვის, რაღაცის მტკიცებით ვცდილობთ ვალის მოხდას... ოღონდ ძალიან გვიანია უკვე...

ზვიად გამსახურდია, – მუდმივად ეკლიან გზაზე მავალი, რომელმაც საქართველოს მოუტანა თავისუფლება მრავალწლიანი, უკომპრომისო ბრძოლით და ერს წინაპართა ღირსება დაუბრუნა.

ზვიად გამსახურდია, – რომელმაც იცოდა რა დატრიალდებოდა საქართველოში მის შემდეგ, როგორ დაიგლიჯებოდა და გაიყიდებოდა მისი ტანჯული მამული, რაც შეუცდომლად იწინასწარმეტყველა და რისი მოწმენიც ვართ, საუბედუროდ.

ზვიად გამსახურდია, – რომლის მსგავსი ჭეშმარიტი ქრისტიანი თანამდეროვე საქართველოში სხვა არ დაიარებოდა (გარდა მერაბისა) და იცოდა, როგორია ზეციური სასჯელი თვითმკვლელობისთვის, თავის ქვეყანას და ერს არ უღალატებდა, თავს არ მოიკლავდა.

ეს კარგად იცოდნენ გარეწრებმა, და ქვეყნის იმდროინდელი გამგებლის, შევარდნაძის მეთაურობით, წაქეზებით და დასტურით ჩაიდინეს საზარელი რამ, – მძინარე ზვიადს ესროლეს...

ყველასათვის ცნობილი მოვლენების გამეორებას არ ვაპირებ. მხოლოდ ერთ მომენტს მივაპყრობ თქვენს ყურადღებას. მინდა გაიხსენოთ, თუ როგორ აღწერდნენ მის გვერდით მყოფი „ერთგული“ საცოდავი არსებანი (30 ვერცხლად გაყიდულნი), მისი სიცოცხლის ბოლო წუთებს საწოლში... ხაზგასმით ვიმეორებ, – საწოლში, რადგან ამ მუხანათურ მკვლელობაში საწოლს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს... ქონდრისკაცთა ნაბოდვარი ვერანაირად ვერ ამტკიცებს თვითმკვლელობას, უმძიმეს დანაშაულს იმ უამრავ “დანაშაულებათა“ შორის, რომელსაც მას უნამუსოდ მიაწერდნენ, მათგან განსხვავებით, მათი ბინძური ხელით ნასროლი ტყვიის ტრაექტორია საბედისწერო სიმართლეს ღაღადებს, –

ზვიად გამსახურდია მოკლეს...

ლაჩრებმა სწორედ ის დრო შეურჩიეს, როდესაც თვით მდინარეც კი წყვეტს წუთით მდინარებას. მხოლოდ მძინარეს შეჰბედეს, თუმცა კი დამშეული მგლების გაცოფებული ხროვა, წითელი გენერლების მეთაურობით, ფეხდაფეხ დასდევდა, მაგრამ, ვერც ტყე-ღრეში სიარულით დაღალეს, ვერც შუა ზამთარში გაყინულ მდინარეში შესვლით შეაკრთეს (ყველაზე წინ მიცურავდა), ვერც საწამლავით მოერივნენ. მხოლოდ ტყვიამ, მძინარე, უჭკვიანეს შუბლში ლაჩრულად ნასროლმა ტყვიამ...

ზვიად გამსახურდია, ბავშვობიდანვე ღვთისმოსავი და ეკლესიური, რომლის რწმენაში“ათი მცნება“უპირველესი იყო, არა მარტო ქრისტიანულ მოძღვრებასა და „ბიბლიაზე“ გახლდათ აღზრდილი, ის ღირსეული მოწაფე იყო კონსტანტინე გამსახურდიას იდეების და რაინდობის ეროვნული ინსტიტუტის, რომელსაც „კოლხური კოშკი ერქვა (ჰქვია). ამიტომაც რაინდობის დაუწერელი კანონები მისი ცხოვრების მუდმივ თანამდევ და შეუქცევად კრედოდ იყო განივთებული, რაც მას არასოდეს დაურღვევია და არც დაარღვევდა სიცოცხლის უკანასკნელ წამებშიც, რადგან მას გამორჩეულად და უხვად ჰქონდა მიმადლებული ყველა მაღალი ადამიანური ღირსებები და ღირებულება, დაწყებული სწავლა-განათლებით, მამულიშვილობით, ინტელიგენტობით, ვაჟკაცობით, და დამთავრებული ქართული, ტრადიციული თამადობით. ყველა ამ და სხვა ჩამოუთვლელი თვისებებით, იგი წარმოჩინდებოდა, როგორც ნამდვილი რაინდი, რომელიც იცავდა რაინდობის ნებისმიერ წესს, და პირველობას მხოლოდ მაღალ ღმერთს უთმობდა. სწორედ ეს მაძლევს სრულ უფლებას გავაკეთო ხმამაღალი განაცხადი, რისთვისაც „მე მთელს სამყაროს შევებრძოლები....“

არა მძინარე, ფხიზელი ზვიად გამსახურდია, თუნდაც შეჭირვებული საკუთარი ფიზიკური მდგომარეობით – ნებისმიერ ვითარებაში, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ კრიტიკულ მომენტში, – გინდ “საკუთრივ ნასროლ“ ტყვიას (რაც ბუნებაში არ არსებობს), გინდ სხვისგან ნასროლ ტყვიას (რაც დღესავით ნათელი და უტყუარია), გინდ ბუნებრივად ხლებულ სიკვდილს, მხოლოდ და მხოლოდ ერთ მდგომარეობაში, – **ფეხზე მდგარი შეეგებებოდა, ფეხზე მდგარი!**

რამეთუ ეს სიკვდილთან შეყრის რაინდთა უპირობო წესია, რომელსაც ზვიადი არაფრის ფასად არ დაარღვევდა. ეს არაა კონტროვერსა.

ზვიად გამსახურდია, კონსტანტინე გამსახურდიას, საწოლში „ბონებივრე თვითმკვლელად“არ აღუზრდია. აი, რატომაა“-საწოლის ვარიანტი“ ყველაზე ამაზრზენი და მიუღებელი. მას, ალბათ, ვერც ამ მკვლელობის დამკვეთი, ვერც საცოდავი შემსრულებელი, ვერც ტალახში მოგორავენი, ვერ გაიგებენ. ისინი ვერასოდეს გაიგებენ, ვინ იყო გამსახურდია. ვერც იმას გაიგებენ, რადაა რაინდთა წესი სიკვდილთან ფეხზე მდგარი შეყრა.

მათ, არც ის იციან, სამშობლოს მოძულე ქართველმა მანქურთებმა საქართველოს უგვირგვინო მეფეს, დიდ ილიას ტყვიების ცეცხლი რომ გაუხსნეს, ის არც ეტლში ჩამალულა, არც გადმომხტარა და არც თავშესაფარი უძებნია. ზეწამოიჭრა ლომივით, – მე ილია ვარ! – ღირსეულად შეახსენა უღირსთ და, ფეხზე მდგომი შეეგება ცხელ ტყვიას...

დიდ ილიასთან და ბ-ნ ზვიადთან ბოდიშის მოხდით გავბედავ და სრულიად კონტრასტული პიროვნების მაგალითსაც მოვიყვან, რადგან რაინდულ წესებს ასეთებიც ემორჩილებიან.

პირსისხლიანი გენერალი ალიხანოვი, რომელიც განასაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა საქართველოსა და ქართველების მიმართ, თეატრიდან გამოსული, ეტლით შინისაკენ მიემართებოდა, მაგრამ რამოდენიმე კილომეტრში გააფრთებულ მეამბოხეთა ალყაში აღმოჩნდა.

გამოცდილი გენერალი მიხვდა, – თამაში წაგებული იყო, სიკვდილი კი გარდაუვალი. წამოიმართა ეტლში (იგი ათლეტური აღნაგობისა იყო) და ფეხზე მდგარი შეეგება ტყვიას. ვინ იცის, ეს იქნებ ერთადერთი რაინდული ჟესტი იყო მის სისხლით გზამოფენილ ცხოვრებაში.

„მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია“. ამ სიტყვების პატრონს, ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას და მის პირმშოს არასოდეს უღალატიათ უკან დაუხევლობის ჩვეულებისთვის. ეს ღირსეული მამულიშვილები მხოლოდ მაღალი ღმერთისა და სამშობლოს წინაშე იყრიდნენ მუხლს. ეს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც ღირსეულად დაამტკიცა ბ-მა კონსტანტინემ. მან მუხლი არ მოიყარა სიკვდილის წინაშე. მას არ სჩვეოდა დანებება. ის არ დანებდა და ამით უკანასკნელი მაგალითი მისცა ღირსეულ შვილის. რაინდთა დაუმორჩილებლობის უშეღავათო მაგალითი... მის მკლავებში მოქცეული დიდოსტატი და დიდი მამა, – ფეხზე მდგომი შეეგება სიკვდილს....

ზვიად გამსახურდია, – მხოლოდ ფეხზე მდგარი შეეგებებოდა ნებისმიერი სახით ხლებულ სიკვდილს.

მას ამის საშუალება არ მისცეს... მაგრამ ლაჩრულად მიპარულმა სიკვდილმა იგი ვერ დაამარცხა, რამეთუ მაღალმა ღმერთმა მას ქრისტესმიერი ჯვარი არგუნა ერის გადასარჩენად, და ამით უკვდავყო იგი.

მთაწმინდის მშობლიურმა მიწამ მისი ნატანჯ-ნაწამები სხეული მიიბარა მხოლოდ,

სული უფალმა მიიღო ნათელ სასუფეველში,

სახელი კი უკვდავად დარჩა მის სალოცავ მამულსა და ერს...

ზვიად გამსახურდია მხოლოდ ფეხზე მდგარი შეეგებებოდა სიკვდილს....

მარეხ გაღიშვილი

15.03.2010 წ.

„ჩემი მერობის დროს, ადამიანები დასაქმდებიან არა პარტიული, არამედ პროფესიონალიზმის ნიშნით“

(აცხადებს თბილისის მერობის კანდიდატი პარტია „სოლიდარობიდან“ თამაზ ვაშაძე)

თამაზ ვაშაძე – შრომითი საქმიანობა დაიწყო 14 წლისამ და ღირსეულად განვლო დამხმარე მუშიდან დედაქალაქის მერობამდე. 20 წლის ახალგაზრდაზე გივი ჭელიძემ დაწერა წიგნი ““ყვირილას პირას იზრდებოდა ფალავანი“.

24 წლის ასაკში მყოფ თამაზზე კი შალვა ჩაგუნავამ გადაიღო მოკლემე-ტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „გზა მომავლისა“. იგი, პროფესიით მშენებელი ინჟინერია. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს იყო თბილისის მერი. 1991 წლის 29 აპრილს, რაჭა–იმერეთისა და სამაჩაბლოს დამანგრეველი მიწისძვრის დროს, პირადად ხელმძღვანელობდა სარეაბილიტაციო შტაბს, განაგებდა საამშენებლო სამუშაოებს და მასთან დაკავშირებულ ფინანსებს. მასვე მოუწია, ამ პერიოდში მომხდარი აჭარის სტიქიის დროს მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაც. 1991 წელს, წყალ–სათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარებასთან დაკავშირებით, მან უსწრაფეს ვადაში ააშენა სპორტული კომპლექსი მალთაყვაში, სადაც წარმატებით იასპარეზეს მსოფლიოს წამყვანმა სპორტსმენებმა. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

– ბატონო თამაზ, ახალშექმნილმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „სოლიდარობა“ თქვენ წამოგაყენათ დედაქალაქის მერობის კანდიდატად. ამ ორგანიზაციის ნამდვილი წევრი ბრძანდებით, თუ, უბრალოდ, მათ მიერ დასახელებული კანდიდატი?

– მე არ გახლავართ „სოლიდარობის“ წევრი, მაგრამ მე დავთანხმდი ამ ორგანიზაციის ლიდერების შემოთავაზებულ წინადადებას ვიყარო კენჭი უმთავრესი მიზნით – ერთხელ და სამუდამოდ (ვიმეორებ, ერთხელ და სამუდამოდ!) მოვსპო და დავასამარო საქართველოში პარტიული კუთვნილების ნიშნით კადრების შერჩევისა და დასაქმების დისკრიმინაციული და ყოვლად უსამართლო პრაქტიკა. დღეს, არამცთუ თანამდებობებზე, არამედ თვით უბრალო სამუშაო ადგილებზეც კი, ინიშნებიან (საქმდებიან) მხოლოდ გაბატონებული პარტიის წევრები, ხოლო უპარტიოს, ან ოპოზიციური პარტიის (ნამდვილი ოპოზიციის...) წარმომადგენელს არავითარი პერსპექტივა არა აქვს ამ ქვეყანაში, არამედ განწირულია უმუშევრობისათვის და შიმშილით სიკვდილისათვის. თბილისის მერი უნდაიყოს უპარტიო.

მე ვიზიარებ ყველა იმ პარტიის პლატფორმას, რომელიც ითვალისწინებს ხალხის, საზოგადოების და თბილისის მოსახლეობის თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, განურჩევლად ასაკისა, პარტიული კუთვნილების და აღმსარებლობისა და ეროვნებისა.

– თქვენ ბრძანეთ, ასაკი. ეს საკითხი, სააკაშვილის ანტისახალხო ხელისუფლებამ ძალზე მტკივნეული გახადა; – 40 წელს მიღწეულ ადამიანებს წაართვა შრომისა და დასაქმების უფლება და სამსახურებიდან გამოყარა.

- თქვენი მერობის შემთხვევაში ვიქონიოთ იმედი, რომ მოსპობთ ამ ყოვლად გაუმართლებელ ასაკობრივ ცენზს და ადამიანს მისცემთ შესაძლებლობას იმუშაოს საპენსიო ასაკამდე მაინც და დასწევთ, თუ არა საპენსიო ასაკს?

–საპენსიო ასაკს აუცილებლად დავწევ, ხოლო ადამიანებს მივცემ შესაძლებლობას, არამცთუ საპენსიო ასაკამდე, არამედ (თუ იგი შრომისუნარიანია) იმუშაოს საპენსიო ასაკშიც. თბილისის მერმა უნდა შეძლოს კონსოლიდაცია ყველა პარტიის ლიდერების, რომ მათთან ერთად შეიმუშაოს ახალი სამუშაო ადგილებისა და დედაქალაქის განვითარების პროგრამა, ხოლო კადრების შერჩევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ პროფესიონალიზმის, კეთილსინდისიერებისა და პატრიოტიზმის ნიშნით. ყველა თანამდებობის პირს უნდა უყვარდეს თავისი ქალაქი და ხალხი. ერთპარტიული სისტემა მიუღებელი და დაუშვებელია, რამეთუ იგი წარმოშობს ანტაგონიზმს და მუდმივი დაპირისპირების სახიფათო მუხტის მატარებელია. ეს შხამიანი წყარო უნდა მოისპოს, რათა დამკვიდრდეს მშვიდობა თანამოქალაქეებს შორის, რათა სიყვარულით ვაკეთოთ და ვაშენოთ. ჩემი მერად არჩევის შემთხვევაში კადრები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. მე ამის პირობას ხმამაღლა ვდებ. ეს არის ჩემი კრედო, ხოლო ჩემი სლოგანი – „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“.

– ბატონო თამაზ, მაშასადამე, თქვენ, როგორც მერობის კანდიდატი, თბილისის ამომრჩევლების წინაშე დებთ პირობას, რომ მოქალაქეთა დასაქმების საკითხში აღმოფხვრით შევარდნაძის ეპოქიდან დამკვიდრებულ დისკრიმინაციას და იხელმძღვანელებთ მხოლოდ პატიოსნების, პროფესიონალიზმისა და არა პარტიული კუთვნილების ნიშნით?

– მე საქართველოში მიცნობენ, როგორც შეუვალ და უღალატო პიროვნებას. მე ვიქნები პირველი გამტარებელი და დამცველი სამართლიანობის. ჩემს ქალაქში, ჩემი მერობის პერიოდში, დაჩაგრული ადამიანი, თავის კანონიერ უფლებებში, აღარ იარსებებს! თბილისელებისათვის, ჩემთან მოსასვლელი ყველა გზა იქნება ღია. მე, მოქალაქეებს, სააკაშვილის მინისტრებისა და მერების მსგავსად, არ დავემალები, არამედ მოქალაქეებისათვის დავაწესებ ყოველკვირეული მიღების დღეებს. შეიძლება ყველას ყველა პრობლემა ვერ მოვუგვარო, მაგრამ თავიანთი პრობლემის ჩემთან მოტანის უფლებას არ წავართმევ. მე ვიქნები ნამდვილი სახალხო მერი, ჩემს ხალხზე და ქალაქზე ჭეშმარიტი მზრუნველი მერი.

– როგორი იქნება თქვენი მიდგომა ძველი თბილისის უბნებისადმი, ისტორიული და კულტურული ძეგლებისა თუ საცხოვრებელი სახლებისადმი, იზრუნებთ თუ არა მისი იერ-სახის შენარჩუნებისა და დაცვისათვის?

– ეს ჩემი, როგორც პატრიოტი პიროვნებისათვის ღირსების საკითხია და მასზე ზრუნვა პრიორიტეტი იქნება ჩემთვის. სიძველეებთან მიმართებაში დაცული და გათვალისწინებული იქნება თვით ნიუანსიც კი. ჩემი საქმიანობა, მშენებლობა–რეკონსტრუქციის საკითხში, დაემორჩილება ერთადერთ დიქტატს – არქიტექტურას, რომ არ დამახინჯდეს ხედები და არ დაინგრეს თვით ნაკლები მნიშვნელობის ძველი შენობა-ნაგებობაც – კი. ძველი თბილისის აღდგენა–შენარჩუნება წახალისებული იქნება ბიზნესის მხრივ, მაქსიმალურად გავამარტივებთ ბიზნესმენთა საქმიანობას ძველ თბილისთან მიმართებაში, რათა თბილისი გადაიქცეს კიდევ უფრო მიმზიდველ ქალაქად.

– ბ-ნ თამაზ, ძველ თბილისზე არანაკლებ პრობლემატურია ურბანისტული თბილისიც, რომელსაც საბჭოური და პოსტ-საბჭოური ეპოქებიდან შემორჩა დაწყებულ-დაუმთავრებელი შენობები, რომლებსაც, თითქმის ყველა, თვით ცენტრალურ უბნებშიც კი მრავლად ვაწყდებით. უპატრონოდ დაგდებულ-მიტოვებული ეს შენობები (დაჟანგულ ამწე-კრანებიანად) საზარელ სიმახინჯედ ქცეულან. ვიქონიოთ იმედი, რომ თქვენი მერად არჩევის შემთხვევაში, ბოლოს და ბოლოს დასრულდება დაწყებული მშენებლობები და თბილისში აღარ იარსებებს რკინა-ბეტონის საზარელი ჩონჩხები?

– აუცილებლად! ჩემი არჩევისთანავე, ძალიან სწრაფად შედგება ნუსხა დაწყებული მშენებლობებისა, მივიღებთ კონკრეტულ მიმართულებას და გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ობიექტების, მშენებლობების დასრულებისა, ხოლო, რომელიც ვერ ჩაჯდება დღევანდელი არქიტექტურის საერთო ანსამბლში, მოვახდენთ მის დემონტაჟს. ამ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო საკითხის გადაწყვეტაში მე მოვიწვევ ყველა სპეციალისტს, რათა კომპლექსურად შევისწავლოთ და გადავწყვიტოთ საკითხი – გავათავისუფლოთ თბილისი ყოველგვარი სიმახინჯეებისაგან. რასაკვირველია, დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვექცეოდი და მოვექცევი საკულტო დანიშნულების ძეგლებს, რომელიც ფაქიზ მიდგომას საჭიროებს. არ შეიძლება მკვეთრი დისონანსის არსებობა ძველ და ახალ ნაგებობებს შორის. მოკლედ, იმუშავებს სპეციალისტებისა და პატრიოტების ჯგუფი, რომლებიც მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს, რათა მომავალ თაობებს დარჩეს ძველი თბილისის უნიკალური ნაგებობები.

– როგორც მერობის კანდიდატი, რას პირდებით თბილისის მოსახლეობას სოციალური დონის ამაღლების მხრივ, როგორ აპირებთ გაბატონებული სიღარიბის დაძლევას, გაქვთ თუ არა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თქვენეული პროგრამა?

– საქართველოში ყოვლად მოუწესრიგებელია საპენსიო სისტემა. არ შეიძლება მაღაროელსა და ქუჩების მხვეტავს, ან ყარაულს თანაბარი პენსია ჰქონდეს. სამუშაო ადგილების შექმნაც და საპენსიო საკითხებიც ცენტრალურ მთავრობასთან ერთად გადასაწყვეტი საკითხებია. უნდა შემუშავდეს დიფერენცირებული საპენსიო პროგრამა და ამასთანავე, გაიზარდოს მინიმალური პენსია. ხოლო, პენსიონერის დაკრძალვის ხარჯები, მთლიანად სახელმწიფომ უნდა გაიღოს. ასეა ეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს თავის მოქალაქეებზე, – ცოცხლებზე და გარდაცვლილებზეც. ჩვენ, პენსიონერებს ძალიან დიდი პატივი უნდა ვცეთ, უნდა შევიმუშავოთ სათანადო პროგრამა. რაიონის გამგებლებს უნდა მივცეთ მეტი უფლებები, რომ ადგილზე გადაწყვიტონ მრავალი პრობლემა და ყველაფერში დამოკიდებული არ იყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებაზე. ადამიანებს უნდა მივცეთ უფლებები თავად წყვეტდნენ მრავალ პრობლემას.

– ბ–ნ თამაზ, ალბათ, თქვენი მერობის დროსაც იქნებიან უკმაყოფილო ადამიანები, იქნება მიტინგები, როგორ გამოხატავთ თქვენს დამოკიდებულებას მომიტინგეთა მიმართ, თქვენც დაარბევთ?

– არავითარ შემთხვევაში! მე, მიტინგების დარბევის განკარგულებას, თვით პრეზიდენტისგანაც კი არ აღვასრულებ! მიტინგების უფლება კონსტიტუციური უფლებაა და ამ მხრივ, მოქალაქეებს სრულ თავისუფლებას მივანიჭებ – თვით ჩემს კაბინეტშიც მივცემ მიტინგის მოწყობის უფლებას. მე არ დავემალები და არ გავექცევი ჩემს ხალხს. მიტინგები მოაქვს არასწორ მუშაობას. სწორად და სამართლებრივად უნდა იმუშაო და მიტინგებიც აღარ იქნება. აი, ეს არის გამოსავალი და არა, დარბევა.

– მერად არჩევის შემთხვევაში, ხომ არ იზრუნებთ, თბილისის სკოლებში რელიგიის სწავლების აღდგენაზეც, რამეთუ მოზღვავებული გარყვნილობის ინსტიტუციების ფონზე კატასტროფულად ირეცხება მოზარდის ზნეობა და მორალი, იშლება ფსიქიკა, ხდება წაქეზება კრიმინალისადმი, რის შედეგადაც ვკარგავთ მომავალ თაობებს.

– დიახ, სამწუხაროდ, მოზარდის ზნეობრივ-მორალური ფორმირება, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გლობალურ პრობლემად იქცა და მან, გეთანხმებით, ძალზე საშიშ ზღვარს მიაღწია. ჩვენ, ეკლესიასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ ამ პრობლემაზე, მოვალენი ვართ. მართლმადიდებლური რელიგია, ყველა რელი- გიაზე მეტად პროგრესული რელიგიაა და იგი სკოლებში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს, თუმცა, ვაცხადებ რა ამას, ეს არ ნიშნავს, რომ პატივს არ ვცემდეთ სხვა რელიგიებს. ეს ქვეყნის განვითარებას ხელს არ შეუწყიბს.

– ბ-ნ თამაზ, როგორია თქვენი პოლიტიკური ორიენტაცია: დასავლეთი – ნატო, თუ რუსეთი?

– ჩვენი გზა და ხიდი ყოველთვის იყო ევროპა, ამ გზით გაგვქონდა ჩვენი კულტურა და მას საქართველოს სახელი ერქვა, ხოლო რუსეთთან კავშირით, ყოველთვის ჩაკარგული ვიყავით, როგორც კოლონია. რუსე- თთან კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა გვქონდეს და უნდა ვიაროთ ევროპის გზით.

– გმადლობთ საინტერესო ინტერვიუსთვის, არჩევნებში გამარჯვებას გისურვებთ.

ესაუბრა

ქეთევან ჭანტურია

უახლესი ისტორიის უცნობი ფურცელი

დღემდე გაუმხელელი საიდუმლო

როგორ მოვიდა არძინბა აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში

ჩვენი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია საიდუმლო, თუ როგორ მოხვდა ვლადისლავ არძინბა აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში.

ყველაფერი დაიწყო მაშინ, როცა აფხაზეთში სეპარატიზმი უკვე ჩამოყალიბდა, როგორც იდეოლოგიურად, ისე ორგანიზაციულად. შეიქმნა მთელი რიგი ანტიქართული პარტიები და მოძრაობები: აფხაზური „აიდგილარა“, რუსული „სლოვიანსკი დომ“, სომხური „კრუნკ“-ი, ხელისუფლების მიერ საგანგებოდ ჩამოყალიბებული ე.წ. „აფხაზეთის დემოკრატიული პარტია“ და თვით „რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია“-ც (ჟირინოვსკის პარტია), რომლებიც უშუალოდ მართულნი იყვნენ საბჭოთა რეაქციული ხელისუფლების მიერ და გაერთიანდნენ ბლოკ „სოიუზში“.

„სოიუზში“ შემავალი პარტიის წევრებისათვის მიუღებელი გახდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარედ კობახიას ყოფნა, რომელიც საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო და მის მაგივრად არჩევანი შეაჩერეს სსრკ უმაღლეს საბჭოს დეპუტატ ვლადისლავ არძინბაზე, რომელიც, იმავდროულად, გამოირჩეოდა ანტიქართული სულისკვეთებით და გახლდათ სსრკ უმაღლესი საბჭოს ბლოკ „სოიუზის“ წევრი.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად საჭირო იყო, სულ მცირე, 71 დეპუტატის ხმა. დეპუტატთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 140 წევრს, მათგან 57 აფხაზი იყო, 54-ქართველი, ხოლო 29 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, რომელთაგან მხოლოდ ერთი, ბერძენი დეპუტატი ფიტოზოვი გვიჭერდა მხარს, მოგვიანებით ისიც, ზეწოლისა და შანტაჟის შემდეგ, იძულებული გახადეს დაეტოვებინა საქართველო და გადასახლებულიყო თავის ისტორიულ სამშობლოში, საბერძნეთში. მდგომარეობა იმანაც დაამძიმა, რომ სამი ქართველიც გამოგვაკლდა: ორი – რევაზ სალუქვაძე და ოთარ ზუხბაია – სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები გახდნენ, ხოლო დავით ჯიჭონაია, გარდაიცვალა.

ამრიგად, არძინბას არჩევას ხელს არაფერი უშლიდა, რაც მიუღებელი გახლდათ საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისთვის და ყოვლად მცდარია გავრცელებული ხმები, თითქოს იგი ზვიად გამსახურდიას დანიშნული იყო.

გამოსავალი, თითქოს არ ჩანდა. მურმან ომანიძის მეშვეობით დაგვიკავშირდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ბორის ადლეიბა, რომელიც მთელს რესპუბლიკაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და შეხვედრა გვთხოვა. შეხვედრაზე მე, უზენაესი საბჭოს დეპუტატი თემურ ლორთქიფანიძე და მურმან ომანიძე გაგვაგზავნეს. ამის შესახებ ქართველმა საზოგადოებამ დღემდე არაფერი იცის.

ბორის ადლეიბას ოჯახში ვეწვიეთ. მან განგვიცხადა: „ნუ იფიქრებთ, თითქოს იმისთვის მოგიწვიეთ, რომ შეურაცხყოფილი და დამცირებული ვარ, როგორც თანამდებობიდან გადაყენებული პირი. მე, ჭეშმარიტი აფხაზი კაცი, მძიმედ განვიცდი ჩვენს მდგომარეობას, მადარდებს ახლო მომავალი, რადგან არძინბას მოსვლა აფხაზეთს ტრაგედიას მოუტანს. არძინბას არ ყოფნის სიბრძნე, რომ აფხაზეთი დღევანდელი დაძაბული, მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანს. პირიქით, ის მომართულია იმისთვის, რათა კიდევ უფრო დაძაბოს ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის და გამოიწვიოს სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი. სამწუხაროდ, არ არსებობს არავითარი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუშლის მზაკვრული გეგმის განხორციელებას, - არძინბას არჩევას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, გარდა იმ ჩანაფიქრისა, რომელიც მინდა შემოგთავაზოთ. არსებობს საშუალება ხელი შეუშალოთ არძინბას და ჩამოვაცილოთ იგი პოლიტიკურ ასპარეზს. არძინბას არჩევის შემდეგ მოწვეული უნდა იქნას აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელიც მე დამაბრუნებს საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად (ბ. ადლეიბა პირველი მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლებული გახლდათ საქართველოს მაშინდელი კპ ცკ პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის მიერ იმის გამო, რომ ბ. ადლეიბამ ხელი მოაწერა საქვეყნოდ ცნობილ ლიხნის წერილს და მის მაგივრად დანიშნა აფხაზეთის სატყეო მეურნეობის ყოფილი მინისტრი ვლადიმერ ხიშბა). თქვენი ამოცანაა, რათა პლენუმის ქართველმა წევრებმა დამიჭირონ მხარი. ჩემი არჩევის შემდეგ, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი, გავაუქმებ საოლქო კომიტეტს და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოვიყვან აფხაზეთის ასსრ

კონსტიტუციას. რაც შეეხება უმაღლესი საბჭოს ახლადარჩეულ თავმჯდომარეს არძინბას, მას აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად დავაბრუნებ.

ჩვენს კითხვაზე, ასეთი აზროვნების პატრონს, რამ მოგაწერინათ ხელი ლიხნის წერილზეო, გვიპასუხა, რომ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან იმ პერიოდში არსებული ვითარების გათვალისწინებით, აფხაზ მოსახლეობაში სრულიად დაკარგავდა ავტორიტეტს, რაც მას ხელს შეუშლიდა როგორც პირველ პირს, ავტონომიური რესპუბლიკის მართვაში.

ამის შესახებ მოვახსენე ზვიად გამსახურდიას, რომელიც რაღა თქმა უნდა, უყოყმანოდ დათანხმდა ბორის ადლეიბას შემოთავაზებას.

პლენუმის მოწვევის შესახებ შევუთანხმდით საოლქო კომიტეტის ქართველ წევრებს, მაგრამ სამწუხაროდ საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანმა პავლე ქვაჩახიამ, პლენუმის სხვა ქართველ წევრებთან ერთად ჩაშალეს ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება – პრეზიდიუმის მდივანი რამოდენიმე დღით გაქრა, ვერსად ვიპოვეთ. როცა გამოჩნდა, მან აღიარა კიდეც, რომ პლენუმი შეგნებულად არ მოიწვიეს.

ღალატი ბორის ადლეიბამ მძიმედ განიცადა და რამდენიმე დღის შემდეგ ინფარქტით გარდაიცვალა.

ასე ჩაიშალა, ერთადერთი გეგმა, რომელიც აფხაზეთს მომავალში სისხლისღვრიდან იხსნიდა.

ნუგზარ მგალობლიშვილი

20 მარტი, 2010 წელი

პროგრესირებადი დეგენერაციის დასასრული

ამა წლის მარტის დასაწყისში გარდაცვლილი სეპარატისტების ლიდერი ვლადისლავ არძინბა, თავისი ანდერძის თანახმად, სოხუმში, საკუთარ ეზოში დაკრძალეს.

საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირებისას მოსკოვი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებში სპეციალურად არჩევდა ისეთ სუბიექტებს, რომელთაც შეიძლება ეწოდოს „თავჩაღუნული კუდაბზიკელები“. ზუსტად ასეთი იყო ვლადისლავ არძინბა. 15 წლის განმავლობაში (1989-2004 წლებში) საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ქართულ ეროვნულ მოძრაობას მისი სახით ყველაზე ვერაგი მტერი ჰყავდა. ვ. არძინბა ბუნებით და ქცევით ტურა იყო, სიცოცხლის ბოლომდე ვეფხვის შერხანის _ რუსეთის იმპერიალიზმის მორჩილი დარჩა, ინიციატივიანი მონდომებით ასრულებდა იმპერიის ყველაზე არაადამიანურ მიზნებს.

მან თავი პირველად 1989 წელს წარმოაჩინა, როგორც 9 აპრილის „გმირის“ გენერალ როდიონოვის მხარდამჭერმა. არაფრით გამორჩეულმა „ხეთოლოგმა“ ისარგებლა რა „პერესტროიკის“ ტალღით, 1990 წელს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე აღმოჩნდა. საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ–იანვარში მომხდარი ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული გადატრიალებაც მისთვის სასარგებლო გამოდგა, 1992 წლის 23 ივლისს თავადაც განახორციელა ანტიკონსტიტუციური გადატრიალება აფხაზეთში და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე უტიფრად განაცხადა, რომ მისი პოლიტიკის შედეგად ქართველები პირველი გაისროდნენ. 1992-2004 წლებში ვ. არძინბას მოთავეობით აფხაზეთში განხორციელდა უპრეცენდენტო სისასტიკის ეთნიკური წმენდა. მან არაერთხელ დადო შეთანხმებები (1992 წლის 3 სექტემბერი, 1993 წლის 27 ივლისი) მხოლოდ იმისთვს, რომ შემდეგ ვერაგულად დაერღვია. მისთვის უცხო იყო კავკასიური ტრადიციები და კავკასიური სოლიდარობა. სრულიად კავკასია დარწმუნდა, რომ აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკა სხვა არაფერი იყო, თუ არა კრემლის ,,მეხუთე კოლონა“, რომლის მთავარი ფუნქცია გახდა ,,კავკასიური სახლის“ იდეის განხორციელების ჩაშლა.

მოკვდა ტურა, რომელიც შეცდომით ადამიანის ფორმაში იყო დაბადებული. სიკვდილთან ერთად თან წაიღო ათასებისა და ათიათასების სიცოცხლე. მისი სახელი წარსულში დაჩება, როგორც მაგალითი ადამიანის გადაგვარებისა. მრავლისმეტყველია, რომ ამ ტურას, სულიც იმპერიის ცენტრში აღმოხდა.

დავით არაბიძე

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი



ნოდარ ჯალაღონია

გლობალიზმი და ჩამორჩენილი კაცის ფიქრები

მეუბნებიან, რომ დროს ჩამოვრჩი
და სიჯიუტე მეტის–მეტია,
რა დროს სამშობლოს სიყვარულია,
დედამიწა ხომ ქვეყნად ერთია.

მეუბნებიან და თან სიტყვები
მესმის სულის და გულის ამკლები,
– განა, რუსული ან ინგლისური
ქართულ ენაზე არის ნაკლები?!

ყველამ თავის-თავს და ბედს მიხედოს,
ვერ დავუდგები მე სხვებს თავმდებად,
მაგრამ მე ვიცი, რომ უცხო მიწა
სამშობლოდ აღარ გამომადგება.

რაში მჭირდება, რაში მარგია
უცხო ცისა და მიწის შეხედვა,
თუ ჩემს დიდგორს და ჩემს მთაწმინდას
ვეღარ ვნახავ და შევხედავ.

როგორ ვიარო საქართველოში,
სიცოცხლის დღეებს როგორ დავითვლი,
თუ არ ვახსენებ შოთა რუსთაველს,
სახელს თამარის, სახელს დავითის.

ქართული მიწა თუ არ მეყრება,
ისე საფლავში რა მომასვენებს...
უნდა ვიცოცხლო საქართველოსთვის
და სამშობლოსთვის მოვკვდე ასევე.

ვერ გაუგიათ სულგაყიდულებს,
ვერ გაუგიათ ეშმაკ–მაცილებს,
უცხო ენას ხომ მაშინ აქვს ფასი,
ქართული ენა თუ უმასპინძლებს.

უსაქართველოდ, უქართულენოდ
ვეღარ ვივლი და ვეღარ ვიქნები,
და ქართულ მიწას შევემეტები
ჩამორჩენილი კაცის ფიქრებით.

2010 წ. იანვარი.

რამ შეგაყვარათ სამშობლოს მტრები

ასეთი ბედი ვინ დაგაბედათ,
ვერ გამიგია და ვერა ვხვდები.
საქართველო რომ არ გიყვართ, ვხედავ,
რამ შეგაყვარათ სამშობლოს მტრები.

ამით ქვეყანა ხვალ რას მოიმკის,
მე ეს მაშინებს და ეს მაკვირვებს,
იუდამ მაშინ თავი მოიკლა,
თქვენ საქართველოს მოკვლას აპირებთ.

ეს უბედობა რამ დაგაბედათ,
მე ეს მაოცებს და ვერა ვხვდები...
საქართველო რომ არ გიყვართ, ვხედავ,
რამ შეგაყვარათ სამშობლოს მტრები.

2009 წ. დეკემბერი.

***

სულში ვაფურთხებ ყველა იმ ქართველს,
ვინც ეხეტება მტრის კარიკარად.
ვინც გროშად ყიდის სამშობლოს სახელს,
სიკვდილს გაურბის და სირცხვილს არა.
მე ვენაცვალე ყველა იმ ქართველს,
ვინც საქართველოს უდგება ფარად,
ვინც ეწირება სამშობლოს სახელს,
სირცხვილს გაურბის და სიკვდილს არა.

2010 წ. იანვარი.

როცა სამშობლოს უჭირს ძალიან

როცა სამშობლოს უჭირს ძალიან,
გამოსაჩენი არა გვაქვს პირი,
ვამბობთ დროის და წლების ბრალია
ქვეყნის ტკივილი და გასაჭირი.

რა შუაშია აქ დრო და წლები,
ისევ ქართველებს მიგვიძღვის ბრალი,
როდესაც ვხვდებით იუდას კერძი
და სავარძლისკენ გვიჭირავს თვალი.

როცა სამშობლოს სვე–ბედზე უფრო,
საკუთარ თავზე და კუჭზე ვფიქრობთ,
როს ერთმანეთის შურით და მტრობით
ქვეყნის სიყვარულს თვითონვე ვიქრობთ.

თუ ქვეყნისა და ერის წინაშე
ვერ მოვიხადეთ სამშობლოს ვალი,
დროს და ცხოვრებას ნუ დავაბრალებთ,
იქნება ისევ ჩვენივე ბრალი.

2010 წ. იანვარი

***

ჩვენ ერთმანეთის შურ–მტრობამ
ბევრჯერ გვიტირა ყოფა.
საფლავში წოლა სჯობია
უსამშობლოოდ ყოფნას.

კარგად გვანახა ცხოვრებამ,
კარგად გვანახა დრომაც,
ზოგჯერ სიკვდილი სჯობია
მტრის მაგიდასთან ჯდომას.

აღარ გვჭირდება სხვა სიტყვა,
მატიანეა მოწმე,
ვაჟკაცი მტერი სჯობია
ქვეყნის გამყიდველ მოძმეს.

2010 წ. თებერვალი.

***

თუმც ქართული სიტყვის, ლექსის
ხოტბა–ქება ბევრჯერ ითქვა,
„სამშობლოზე“ უმჯობესი,
არ არსებობს ქვეყნად სიტყვა.

თუმც ქართული სიტყვის, ლექსის
ხოტბა–ქება კარგად მესმის,
„სამშობლოზე“ უკეთესი
არ არსებობს ჩვენში ლექსი.

2010 წ. თებერვალი.

არ უწერია გადაშენება

„ხვალ საქართველო აღარ იქნება“,
ისმის ორგულთ და რეგვენთ ღაღადი.
ამისი თქმა და გაფიქრებაც კი,
არის ქვეყნის და ერის ღალატი.

ეს რეგვენები, სამშობლოს მტრებზე
ათასჯერ უფრო მტრები არიან.
ვინც საქართველოს სიკვდილს უქადის
სამშობლოსათვის ცოცხლად მკვდარია.

თუ კი დავკარგეთ რწმენა ხვალისა,
მაშინ სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს.
მწამს, საქართველო ისევ იხილავს
ახალ დიდგორს და ახალ ბასიანს.

მჯერა, ღვთისმშობლის წილნაყარ მიწას
არ უწერია გადაშენება.
აღარ მოაკლებს ხვალაც უფალი
თავდადებულს და აღმაშენებელს.

მწამს ეყოლება ხვალ სხვა ვახტანგიც,
გაიდიდგორებს ხვალ სხვა დავითიც
და საქართველოს მემატიანე
სამშობლოს გმირებს ისევ დაითვლის.

მჯერა ლეკვები ალგეთისანნი
საქართველოში ისევ ივლიან,
დაიბადება ხვალ სხვა რუსთველიც
და გვეყოლება ხვალ სხვა ილიაც.

მჯერა, სამშობლო ცხრა შვილის დედებს
არც მომავალში მოისაკლისებს,
არც ხვალ მოაკლებს თამარს, ქეთევანს,
აღარც წყნეთელს, აღარც წავკისელს.

მწამს, საქართველოს გადასარჩენად
ქართული ენა ისევ იომებს
და გვეყოლება ხვალ სხვა ფშაველაც,
აკაკიცა და გალაქტიონიც.

და მე ვადიდებ ყველა იმ ქართველს,
ვინც ცხოვრობს ხვალის რწმენით, იმედით,
ვინც არც ცოცხალი და აღარც მკვდარი
თავის სამშობლოს აღარ იმეტებს.

ვეთაყვანები ყველა იმ ქართველს,
ვინც თავის ხალხს და მამულს აჩვენა:
სამშობლოსათვის დაიბადა და
მოკვდა სამშობლოს გადასარჩენად.

2009 წ. დეკემბერი.

დიდია ქვეყნის ტკივილი

შაჰ–აბასმა 80 ათასი ქართველი გაასახლა საქართველოდან. დღეს, მილიონამდე ქართველია საქართველოდან წასული.

დიდია ქვეყნის ტკივილი,
მათი წუხილიც დიდია,
ადრე თუ ძალით მიჰყავდათ,
ახლა თვითონვე მიდიან.

არაფერს ნიშნავს იარო
მაძღარი კაცის იერით,
მარტოღა პური რას შველის
თუ სული დარჩა მშიერი.

იცის ქართველმა ოდითგან,
თუ სამშობლოსთვის არ კვდება –
სხვის მიწას არ ემატება,
მაგრამ სამშობლოს აკლდება.

არც თბილი თავშესაფარი
გულს გაციებულს არ შველის,
არ მოსცილდება სიზმრები
მწარე ფიქრების ამშლელი.

თავის ხალხსა და ქვეყანას
ასე იმიტომ მისტირის,
აქ ელის გარდაცვალება,
უცხო მიწაზე სიკვდილი.

იცის რომ უსაქართველოდ
სიმშვიდე არ უწერია,
აქ, ქართულ მიწად იქცევა,
იქ, მხოლოდ მიწის სტვერია.

ვინც ბედის უკუღმართობას
ადრე თუ გვიან ხვდებიან,
უბრუნდებიან სამშობლოს
და ქართველებად კვდებიან.

2009 წ. დეკემბერი.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

მინიატურული მოთხრობები

კობა ბუკია

გაზაფხულამდე არ იყო შორი

პირველად, როცა გიხილე, გავიფიქრე, – მე მას ვეკუთვნი, – და ამ ფიქრმა შექმნა ეს წიგნი. ამ ფიქრმა შექმნა ეს ლექსები. ეს ყველაფერი შენ გეკუთვნის, შენია. ვიცი, რომ დღეს უკვე ჩვენ შორის სიშორეა. და მონატრება მაახლოებს გარდასულ დღეებს. ესეც შენ გეკუთვნის. მონატრებაში მაძებნინებ დაკარგულ გრძნობას. დაიმსახურე სიყვარული? – მიიღე იგი. დაიმსახურე მარტოობა? – ხარ მარტო. იქნებ არცა ხარ?! მე უჩემობას ვგულისხმობ შენში. უშენოდ ხომ ეს წიგნი დასრულდა. იქნება სხვა, ახალი ფურცელი, ახალი განცდა, ახალი სევდა – უკვე განცდილი და გაახლებული, ეს ყველაფერი იქნება ვიცი. მაგრამ შენ არ იქნები. შენ არ განმეორდები. ვწერ ამ სიტყვებს და მახსენდება აგვისტოს ხვატი. შენი ცხელი სუნთქვა რომ მეკვროდა გულზე ამბორად. მახსენდება შენი თლილი თითების ფერებით განცდილი ვნება. ეჰ, ნეტარებავ, სიყვარულის შენ ხარ გვირგვინი. მეც ვიგვირგვინე შენთან და მერე... ცდა საწყისია სიყვარულისა, განცდა ნეტარი, ეჭვი სასრული. ვცადეთ, ვინეტარეთ და ვისასრულეთ. სწორედ ამ განცდამ დამაწერინა ეს ლექსები. ჩემსავით ვერავინ შეგიყვარებს და ვერც ვერავინ მოგიძღვნის გულწრფელი გრძნობით გამელნისფრებულ ლექსების კონას. გიხაროდა და გიხარია ახლაც ყოველივე. მოდი, არ დავივიწყოთ ის, რამაც გვაჩუქა განუმეორებელი ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, – და არა გაზაფხული. ვერ მივაღწიეთ სიყვარულის წმინდა ტაძრამდე. ფეხი დაუცდა სიტყვას ზამთრის ყინულზე და გაჩხარუნდა ცოდნის მონეტა. ღალატი იშვა შენში და შენთან. გადაითელა ღირსება სულის და დახურდავდა ამით ყოველი...

გაზაფხულამდე არ იყო შორი. არ იყო ძნელი გადარჩენა გულწრფელი გრძნობის. და შენი მზერა მწვანე ბურუსში მალავს სინანულს. მალავს სიყვარულს, რომელიც უკვე წარსულში დარჩა. დარჩა ეს წიგნი და ოცნება – უბრალოდ, განა... მე სიყვარულით გავაგრძელებ ნიღაბთან თამაშს.

* * *

შენ რომ არსებობ, ესეც მყოფნის
მე სულის საგზლად,
გავივლი ბილიკს ბედისწერით
ჩემთვის გაღებულს,
ვიცი სიყვარულს რომ გაურბი
 და ფუნჯით ხატავ
უთქმელ სიტყვებით მოოქროვილ
ტილოს გაბედულს.
შენ რომ არსებობ, ვუმკლავდები
სივრცეს დანისლულს
და სიცოცხლესთან კვლავ ვაგრძელებ
ცეცხლოვან თამაშს,
ნუ შემიცოდებ, ნუ მიწოდებ
ეულს, გარიყულს,
რადგან იცოდე, ჩვენ ერთმანეთს
აწმყოთი ვგავართ...

ვეძებთ სიყვარულს
და სიყვარულს გავურბით თავად.

***

ერთმანეთს ვპოულობთ და ვკარგავთ ისევ,
ვპოულობთ სიყვარულს და მერე, იქვე
გვიჩნდება ეჭვი და იწყება ბრძოლა,
სიყვარულს თან ახლავს გიჟური ძრწოლა;
მივყვებით მრავლად დაკლაკნილ ბილიკებს,
ბედნიერებას ჩვენ წილ გზად ვიტვირთებთ;
ვიგემებთ ნაყოფს სხვადასხვა გემოთი,
სიყვარულისგან უფრო მეტს ველოდით.
ერთმანეთს ვკარგავთ და ვპოულობთ ისევ,
ვპოულობთ სიყვარულს, ცასავით შიშველს.

ა ლ ბ ა თ...

შენ გაგიცანი. შუა ზაფხული ცეცხლად ენთო დედაქალაქში. გადავწყვიტეთ, გავქცეოდით ციდან ჩამოწოლილ ხვატს და გავსულიყავით ქალაქგარეთ. მანქანაში ვდუმდით. მხოლოდ თვალებით ვცდილობდით ერთმანეთისთვის გვეთქვა სათქმელი. მუსიკა Gჟღერდა. სასიამოვნოდ მეჩვენა, რადგან შენი ღიმილი უფრო სიღრმისეულს ხდიდა გარემოს. ოცნებებმა გამიტაცეს. ვფიქრობდი, რომ შენ იყავი, ვისაც ასე გულმოდგინედ ვეძებდი წუთისოფლის დაკლაკნილ ბილიკებზე. ახლა კი ცისკენ აღმართულ კიბეზე მიწვევდი ვარსკვლავების ველზე სასეირნოდ. მიწვევდი და მოულოდნელად შემაჩერე. მოვედით! – მითხარი და მეც ღრუბლებიდან მიწაზე დავეშვი... ტბის პირას ჩამოვსხედით. სიო ცელქობდა. გვესიამოვნა და შვებით გადავხედეთ მიდამოს. მარტონი ვიყავით და ეს სიმარტოვე ჩვენ უფრო მეტად გვაახლოებდა. – თაფლისფერ თვალებს ვეტრფი და შენც მხიბლავ თაფლისფერი მზერით, – გითხარი და ცას ავხედე, – თაფლისფერი, მაგრამ ხშირად მომწვანო, – ჩურჩულით აღმოხდა ეს სიტყვები შენს ბაგეს. დიდხანს ვისხედით ერთმანეთის გვერდიგვერდ და ჩვენთვის ვფიქრობდით – მე შენზე, შენ კი... არ ვიცი, ალბათ... (ასე მტანჯავდა და მტანჯავს ეს – ალბათ... ვერასდროს გავექეცი მას) – შენ უნდა დაამარცხო, შენ უნდა წაშალო და გააქრო ჩემი გონებიდან ეს წყეული – ალბათ. შეძლებ? – შევძლებო! – მითხარი და დასტურის ნიშნად გასაოცარი ღიმილი მაჩუქე. დაგვათენდა. ჩვენ არ ვჩქარობდით მზისგან გახურებულ ქალაქში დაბრუნებას. არ ვჩქარობდით, მაგრამ უნდა დავბრუნებულიყავით ჩვენს სახლებში. ალბათ, სულ მალე ერთი სახლი გვექნება. ეჰ, ისევ ალბათ... და გავუყევით მზით განათებულ გზას. აწმყოს თითები ჩემს ხელისგულში მოვიმწყვდიე და ვკოცნიდი, და შენ იღიმოდი. ხვდებოდი, ასე რაც მტანჯავდა – და ამიტომაც, ადრეც გთხოვდი, და ახლაც გთხოვ, – მომაშორე ეს სადარდელი, ეს უნიათო და არაფრისმთქმელი – ალბათ...

სიტყვების თამაში

გზავნილი: ეჰ, რა ცუდია, რომ არ გესმის და ვერც ხვდები...
იწყება ღამე. ბედისწერის სიო უჩვეულოდ დამტრიალებს თავს. გტოვებ იქ, სადაც შენ ხარ. ეწევი, ფიქრობ და ვერ მივიწყებ. შეუძლებელი რამაა, დავიწყო ადამიანი, რომლისთვისაც გითქვამს, – მიყვარხარ!.. რაც არ უნდა ქვენაგრძნობები აწუხებდეთ, ასე მარტივად არავის ეუბნებიან ამ ლამაზ სიტყვას. მთელი ღამე შენთან ვიქნები უხილავი ძაფების კვანძით.
გზავნილი: ჰოდა, იყავი დილამდე, სანამ არ დაგეძინება...
იწყება თამაში, სიტყვების თამაში. მონატრებაში სიყვარულის მარცვლებს ვეძებთ და ვცდილობთ ვიყოთ ერთმანეთთან გულწრფელნი. არც დაგიმალავს, რომ თავიდან გასართობად ჩამკბიჩე, მაგრამ შემდეგ იგრძენი რაღაც სხვა გემო და გასართობად ნაპოვნი, საკუთარ ბედისწერად მიმიჩნიე. მთხოვდი, რომ გვეცადა ბედი. სულ სამგზის მთხოვე. და მეც სამგზის ვცადე ყოველივე.
გზავნილი: ადამიანი სიმართლეს ყოველთვის ვერ ამბობს...
შევძლებო, მითხარი, – სიცრუეს თავი დავაღწიო და ვისწავლო სიმართლით ცხოვრებაო. არ გამოგივიდა. შენმა სუსტმა ნებისყოფამ იმდენად დაგიმონა, არათუ მე, საკუთარი ღირსებაც გადათელე და არ დაინდე შენი გული.
გზავნილი: სხვა მოყევი ახლა, რამე...
მოვყევები ჩვენი გაცნობის ამბავს და გეტყვი, რომ იმ წამიდან დღემდე, არც ერთხელ არ მინანია, რომ გაგიცანი, რომ შემიყვარდი, რომ ლექსების ზღვა გადაგიშალე, რომ გეგრძნო შენით ჩემში გაჩენილი გრძნობის სიდიადე და უსაზღვროება. მოვყევები პირველ ღამეს, პირველ კოცნას, სხეულში მოძრავ ვნების არულს და თავზე დათენებულ ცისკრის მშვენებას.სიყვარულად გცანი და იმ ცისკრიდან ყოველ ცისკარს ღიმილით ვხვდები, რადგან შენ გიხსენებ და შენს სუნთქვას, ასე საამოდ რომ ეხებოდა ჩემს ბაგეს. მე კი მოვყევი, შენ კი დუმხარ, როგორც ყოველთვის.
გზავნილი: ჰო, აბა რა ვთქვა, ჯერ არ ვიცი...
თქვი, რომ ეს ყველაფერი სიტყვების თამაშია, რომელიც შენ დაიწყე და დამარწმუნე, რომ მეც უნდა მეთამაშა, მეთამაშა, ვიდრე შენ არ მოგბეზრდებოდა ყოველივე. დავტოვეთ ბევრი ლამაზი წუთი და მოგონებას გადავეცით, კარგად და სათუთად რომ შეგვიფუთოს.
გზავნილი: ამოდი ჩემთან...
გაგიკვირდება, მაგრამ სწორედ აქ მთავრდება ზღაპარი სიტყვის და ერთგულების. როგორც არავინ, ისე მძულს ის წამი, ის წუთი და დრო. მძულს სიცოცხლეში ბოროტებად ქცეული სახე. მძულს სიკეთისგან შორსგამდგარი ორგული გული. და ყოველივე სიყვარულს იტევს, რადგან სიძულვილი იშვა ხომ შენგან?! – სიყვარულთან სიტყვის თამაშით.

მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა

ოგიუსტ რენუარი

პარიზი, 2009 წელი, ნოემბერი. ლეგენდარული გრანპალე

პარიზში მთელი ეს დღეები წვიმს და ოკეანის ცივი ქარი ქრის. შემცივნებული პარიზელები ქუჩაში გარბიან და გამორბიან; ზოგი, ქოლგით ხელში, ჩაფიქრებული დადის საქმიანი, ნელი, მტკიცე ნაბიჯებით. სხვადასხვა კონტინენტის თუ ქვეყნის ტურისტები, მიუხედავად ცუდი ამინდისა, ყველგან დადიან და შედიან. თანხმობის დიადური მოედანი, საიდანაც პარიზის არტერია შანტალიზე იწყება, ქალაქის გულად ფეთქავს და არავითარ ამინდს არ ეპუება.... შანტალეჟეს გამზირის დასაწყისში, გრანპალეს საგამოფენო დარბაზები, რამოდენიმე თვეა, გენიალურ ფერმწერს მასპინძლობს. დიდი რენუარი ჩემთანაცაა დღეს და აზღვავებული სულიერებით მკურნავს, მფარველობს და საამოდ ეფერება ნაწვიმარი მდინარესავით ჩემს ამღვრეულ განწყობილებას, წლევანდელი ზაფხულის დამქანცველი შემოქმედებითი შრომისაგან ჯანმრთელობაშერყეულ სხეულს.

გრანპალეს ხუთ, ერთმანეთთან გადაბმულ, იდეალურად განათებულ დარბაზში, რენუარის უნიკალური ნამუშევრებია ექსპონირებული. სამ, შედარებით დიდ ოთახში მთლიანად ფერწერაა წარმოდგენილი. ხოლო ბოლო ორი დარბაზიდან ერთ-ერთში, მხატვრის შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი ისტორიული ფოტომასალებია გამოფენილი. მეხუთე, მცირე ოთახში, მხატვრის ქანდაკებებს იხილავთ, ღრმად თავისებურს და მაღალმხატვრულს, სადაც მკვრივ ქანდაკებურებასთან ერთად, რენუარისეული რბილი ფერწერული განწყობილების ფორმათა ნიუანსური გადასვლებია. ქანდაკების ძერწვაშიც თავიდან ბოლომდე, როგორც მხატვარი, ოგიუსტ რენუარია. ნებისმიერ ნაწარმოებთა მთლიანი განწყობილება გაოცებს და გაკვირვებს, გატაცებით ეცნობი, სულიერად მდიდრდები, უცხო ვნებით ტკბები და წარუშლელი შთაბეჭდილებები ციურ ნაკადად შემოდის შენში...

პაბლო პიკასოს რენუართან მიჰყავს ამადეო მოდილიანი. ორთავე, თანამედროვეობის გენიები, ყურადღებით გაივლიან ვიწრო ბნელ დერეფანს და მათ წინ იშლება დიდი ოთახის სივრცე დღის სინათლით სავსე ატელიესი, მოლბერტთან და ფერებით გაწყობილ პალიტრასთან წმიდანივით ზის მოხუცი რენუარი. ამ დროს პიკასო მოდილიანს ეუბნება: _ `შეხედე, ამადეო! ღმერთი ზის.~ სრული ჭეშმარიტება იყო. პიკასო, არც ისე ადვილად იმეტებდა მხატვართა მაღალ შეფასებას. თუმცა, არც მძაფრი კრიტიკით თუ მკაფიო შეძახილებით გამოირჩეოდა, რამეთუ ნათლად იცოდა, ვინ არ სცოდავდა მათ შორის, განსაკუთრებით მისი პერიოდის მოდერნისტი მხატვრებიდან, თავისი თავის ჩათვლით. მრავალი მიმართულებისა თუ მიმდევრობების მხატვრები, ხან ერთ კედელს ეტაკებოდნენ გახელებული სულით და მძაფრად დამუხტული ფუნჯით, ხან მეორეს, მესამეს... დასასრული არ უჩანდა სულიერ და გონებრივ გახელებას, რის შედეგადაც მათი გული ამოვარდნამდე ფორიაქობდა. დიდ რენუართან კი ღვთიური სიმშვიდე სუფევს და ფერწერის განწყობილება ანგელოზთა ციური დასივით საამოდ გათანასწორებულია და ყოველგვარი სულიერი მერყეობის გარეშე ქმნის ციური მშვენიერების მქონე შედევრებს, თითქოსდა ადამიანს გგონია, მისი ფერწერა უპრეტენზიოა, მაგრამ შინაგანად იმდენად სიღრმისეულია მხატვრის ნათელი და კეთილშობილური ზე-ფერწერა, აღტაცებაში მოყავხარ (მხოლოდ სულიერი სიამოვნების შემდგომ). წმიდათაწმიდა რენუარი იმდენად მკვეთრი გამომხატველი, სულიერად ჯანსაღი და ნაღდი, ღმერთივით მართალი და ინდივიდი მხატვარი დაიბადა, რენუარს სამასი წელიც რომ ეცოცხლა, თავის უნიკალურსა და ანგელოზური სისუფთავის მხატვრული სტილიდან არ გადაუხვევდა და ვერც შეძლებდა; სეზანის, ვან-გოგის, მოდილიანის, რუოს, ვლამინკის, დერენის, დიუფის, შაგალის, მატისის, კანდინსკის, ფიროსმანაშვილის და კიდევ რამდენიმე უდიდესი მხატვრის არ იყოს, თუნდაც ხაიმ სუტინი, მათგან ხანგრძლივი დროით მრავალი და მრავალი ფერწერული სურათების სერიალი რომ შექმნილიყო, სულიერად მოსაწყენი არასოდეს იქნებოდა. აქაა დიდი მხატვრის შინაგანი ინდივიდუალობიდან გამომდინარე სასწაულებრივი ნიჭის ძალა...

პირველ დარბაზში წარმოდგენილია ორი ფერწერული ტილო _ კომპოზიცია მოცეკვავე წყვილით; როგორი მრავალმხრივი ჰარმონია და გასპეტაკებული ფერთა სიმფონიაა. სურათის მუსიკალობა? _ მოცარტისეულია. ბახისეული მუსიკის მოვლენებიც ამოდის, ანუ უხმო კოსმიური უნაზესი მუსიკაა სურათებზე განფენილი, ღვთიური გარემოს ჟღერადობით.

გამოფენაზე შედარებისათვის წარმოდგენილია, თუ როგორ იკვებებოდა მისი შემოქმედებით ზოგიერთი გენიოსი. ნაჩვენებია პიკასოს ორი შედევრი, სადაც მხცოვანი მხატვრის უდიდესი სიყვარულია გამჟღავნებული, როგორც კომპოზიციის მხრივ, ასევე ფერში და კოლორიტშიც, თითქოსდა პიკასო უდიდესი რეფორმატორ-მხატვარია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც რენუართან შედარებით მოუხეშავია და შემოქმედებით ფსკერს პოულობ... რენუართან, არა და არა, შემოქმედებითი განწყობილებით ფსკერის ნატამალიც არა ჩანს, უძიროა მისი ფერწერა და მისეული საოცარი ფერებით დახატული მარადიული სული...

ერთ-ერთი მოცეკვავე წყვილი Dანსე ა ლა ცამპაგნე 1883. Hუილე სურ ტოილე ფერწერული უბრალოების, სიმართლის, სულიერი სისუფთავის, გამჭვირვალობის, სითბოს, სიყვარულის ფერწერული შესაძლებლობის (თან _ თავშეკავებული) უსასრულობაა, იმდენად შედის სულიერ სიღრმეში, რომ მას არ სჭირდება სტილის საგანგებო გამოკვეთა, მან თავისი ინდივიდი უკვე ისეთი ფართო მასშტაბით მოიზიდა, ყველა სხვა ფორმალურ ძიებაზე ფიქრის საშუალებასაც არ გაძლევს. ლეგენდარული მხატვარი რენუარი, ჭეშმარიტების სულიერების და რეალური სამყაროს შეუდარებლობაა (რაც ნებისმიერი სტილის და მიმართულების მხატვარს მზესავით სჭირდება)...

მეორე კომპოზიცია _ ისევ წყვილთა ცეკვა; ტილო, ზეთი, ზომა ალბათ 2 მ 50 სმ ხ 1 მ 30 სმ. საოცარი ვერცხლისფერი კოლორიტია მრავალი მწვანის მონაწილეობით, რომელიც ჯანსაღ კაპილარებად შედის სურათის მთლიან ორგანიზმში. ეს ფერწერული სურათი უდავოდ შედევრია... აქ არ ფიქრობ მხატვრის ტემპერამენტზე ან რაღაც სხვაზე, რომელიც ავტორისაგან და ჩვენგან დამოუკიდებლად ჩამოდის. რაც აქაა წარმოდგენილი, სრული სისავსეა ფერწერული კოსმიური სულიერებისა, ესოდენ რომ ამკობს ზეციურობას და მიწიერებას. ამათ წინაშე კოსმიური სულნი და ანგელოზები, რომელნიც ჩვენგან დამოუკიდებლად არიან, ჩვენზე მეტად ტკბებიან, ალბათ, და კოსმიური ნექტრით სავსენი, თავისას უბრუნდებიან. სურათი ახალგაზრდა ფარშავანგის გაშლილი ბოლოსავით გამოიყურება, რომელიც მზიურ სიცოცხლეს და მშვენიერებას აფრქვევს. დიდება შენ, სულის მხატვარო! ადამიანში მისი ლამაზ სხეულთა სულს რომ პოულობ თავისი ღვთიური უნაკლობით.

ამჟამად საგანგებოდ გადავედი მის ავტოპორტრეტთან, რომელიც შესრულებულია 1899 წელს; ტილო, ზეთი, 35ხ45 სმ (?). მერმე გადავინაცვლე დოკუმენტური ფოტოების მეოთხე დარბაზში და რას ვკითხულობ _ ის უდიდესი სითბო და ღვთიური სიყვარული, რომელიც ჩაქსოვილია ამ კომპოზიციაში. ყველაფერს რენუარის პიროვნებაში ვპოულობ. მეორე კომპოზიცია _ მოცეკვავე წყვილი (Dანსე ა ლა ვილლე. 1883. Hუილე სურ ტოილე.) არ ვიცი, რომელ დიდ კლასიკოსს შევადარო, ველასკეზს?! ვერონეზეს?! ტინტორენტოს?! თუ ტიციანს?! ამოძრავებულს თანამედროვე (რენუარისეული) ფერებით. ფერის შესაძლებლობა? უძიროა, უსასრულოა, მაგრამ მისი გამოყენება მასთან და ჩვენთან მოყვანა, მოზიდვა, დამორჩილება და საოცრებების შესრულება მხოლოდ და მხოლოდ გენიათა ხვედრია. რენუარი იმ გენიათა ჯგუფს განეკუთვნება, რომელნიც ულამაზესი ტბის, მთებით გარემოცულით, შიგ თეთრიალქნიანი ნავები რომ ცურავენ, ხმელეთთან ახლოს კი გედები ეფერებიან ურთიერთს, მზე, ირმის რძისფრად ქცეული, შორეულიდან ესიყვარულება ყოველივეს _ აი, ესაა რენუარის სულიერი აუზი, რომელიც, უძლეველი მანქანის ძრავად ქცეული, საოცრებებს ახატვინებს მილეულ მოხუცს, ხელის თითებგაუქმებულს, მაგრამ თვალები მისი ჩაუქრობელ ვარსკვლავებად გვევლინება, ავტოპორტრეტიდან დაწყებული.

დროს დაუბერებია უკვე რენუარი (ბოლო პერიოდის ფოტოები გვიმხელენ), თითები _ გაუქმებულ-დაკრუნჩხულები, თითებშუა გაჩხირული ფუნჯით ის უნაკლოდ ხატავს სულს და ქმნის მისეულ ფერწერას, მაგრამ დრო ილაშქრებს უწყვეტი ძალით, ხოლო რენუარის ღვთიური გენია დროს უკუ ებრძვის და იბადება უნიკალური შედევრები, რის შედეგადაც ჯალათ დროს დამარცხებულ ფალავნად წარმოგვიჩენს... ეს ხომ უფლის და ხელოვნების შესაძლებლობაა, რომელიც მარადიულ პროცესშია სამყაროში. და, ვინ იცის,

მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა

ოგიუსტ რენუარი

პარიზი, 2009 წელი, ნოემბერი. ლეგენდარული გრანპალე

სად, როგორ და რა ფორმით ფეთქავს თუ იფეთქებს...

დიდი შემოქმედნი მაცხოვრის ბედით ცხოვრობენ.

რენუარი, ეს უმშვენიერესი და ჰარმონიული სულის უკეთილშობილესი მოხუცი, ქმნის ღვთიურ ანაბეჭდებს და დრო და სიკვდილი, ტარტაროზის გარეწრული თვისებებით ფიზიკურად მაინც ანადგურებენ, მის სულს კი ვერაფერს აკლებენ. ამ ოთხ დარბაზში ისე ძლიერადაა მხატვრის სული წარმოდგენილი, მილიონობით წლებში დროის და სიკვდილის შავი ჭენებაც ვერ გაცვეთს.

ვეახლოთ რენუარის სხვა უნიკალურ ტილოებს. შიშველი მობანავე ქალიშვილები _ მართლაც, ყველა მათგანი ქალწულობის წმიდათაწმიდა სულიერებითაა დახატული. Bაიგნესსე 1892. ნუ შეკრთებით და არც გაგიკვირდეთ, ამ მზესავით ნათელი ფერწერით ვკითხულობ და ვპოულობ სულს. სული, რომელიც ჩემში განუყრელად არსებობს და დღენიადაგ ის მე სხვადასხვა ფორმით მამოძრავებს, ხშირად მტანჯავს, არც ისე იშვიათად ბრძოლისუნარიანს მხდის, შემოქმედს, მებრძოლს, ჭეშმარიტს, სევდიანს, ოპტიმისტს, დაჯერებულს და დაუჯერებელს, უმადურს, უიმედოს, ჯიუტს, დაუმორჩილებელს, კეთილს (ძალიან ხშირად), ბოროტების განმსჯელს, მცირედ მორწმუნეს და ხშირად ღრმად მორწმუნეს. მრავალს და მრავალს თვისებას ამოყრის ხოლმე ის ამ ჩემი დაღლილი ორგანიზმიდან, მაგრამ აქ, რენუარს ამ წმიდა სულით სავსე ფიგურაში, უხილავ სულს გამჭვირვალედ წარმომიდგენს. იგივე შევნიშნე ტიციანში, მოდილიანში, ვან-გოგში, სეზანში, ფიროსმანში, `ჯოკონდაში~ _ ძალიან შორეულს, გლობალურს და სამყაროსეულს, რომელიც უფლის დონეზე ხან ახლობელია, ხშირად _ უსაშველოდ შორეული. მეორე მობანავე ქალწულის სურათია აქ წარმოდგენილი. ცოტათი მეტი ზომის ტილო, ზეთი, ალბათ 90ხ66-ზე?! როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფერწერის შესაძლებლობის დაუჯერებლობაა. ნუთუ ფერს, ანუ ფერწერას, ამ ზომის სიმაღლეზე ასვლა შეუძლია? დიახ! Bაიგნეუსე აუხ ცჰევეუხ ლონგს. Vერს. 18951-1896. უფალო, მაპატიე და შენი ღირსი შვილი რენუარი დღემდე არ მცოდნია, ვაკვდებოდი ვან-გოგს, გოგენს, სეზანს, მოდილიანს, სუტინს, რუოს, ზოგჯერ _ პიკასოს, ვლამინკს თუ ალბერ მარკეს; ეს შიშველი ანგელოზი და მისი ვირტუოზი ავტორი ბოლომდე არ მცოდნია. უთუოდ, როგორც მოგახსენეთ, სულის ხილვაა, გამჭვირვალე კოსმიური სახით!.. აჰა, უნდა ამოძრავდეს, მაიოლის `ფლორას~ ქანდაკებისა არ იყოს. მაგრამ მაგისთანა შესაძლებლობა მხოლოდ ღვთიურში ცოცხლობს. ისინი უფალთან ერთად მოძრაობენ... ჩვენთვის კი ბოლომდე შეუძლებელია ჩაწვდომა და ამაშიც თავისებური ბედნიერება გვარგუნა გამჩენმა...

ცხოვრება თავად საოცრებაა, რომელიც ჩვენთან ერთად მუდმივ დინამიკაშია, მაგრამ ეს შედევრები ხომ გარინდული საიდუმლოებებია სამყაროსი და კოსმოსის, რომელნიც უდიდეს მეტოქეობას უწევენ ამსოფლიურ სიცოცხლეს, თუგინდ ციურ სხეულებსაც, როგორც ისინია შორეული იდუმალება, ასეთივეა ჩვენს წინ არსებულნი და შორს გამავალი იდუმალებანი არიან...

რენუარი ის მხატვარი გახლავთ, რომელიც ფერის მეშვეობით კოსმიურ პოეზიას ქმნის, საოცარ მუსიკას თხზავს და ანგელოზის ფრთების ფერით გესალბუნება, მის სურათებში სერაფიმთა სამყაროს სიმშვიდეა და შორეული ცისფერი ნათება...

ადამიანი ძალიან უბედური არსება იქნებოდა, მასში რომ არ ბუდობდეს მაღალი შემოქმედის

სული. ერთ დღეს ნეფის ხიდისკენ მივემართები მოტივზე, ნაცნობი ბუკინისტი მომესალმა, ორი თუ სამი წინადადება ერთმანეთს გადავულაპარაკეთ და ამ დროს მის მოკრძალებულ თაროზე შევნიშნე სქელტანიანი წიგნი ყდაზე გამოსახული გამოქვაბულის მხატვრობის შედევრით. წიგნი დახურული იყო ცელოფნით. ჩვენ ხომ ძმაკაცები ვართ, გახსენი და დამათვალიერებინე-მეთქი. 100€ ღირდა, რაც ჩემს მატერიალურ შესაძლებლობას აღემატებოდა. კეთილი ღიმილით გამიხსნა ჩემმა ხუჭუჭა ოქროსთმიანმა ფრანგმა ნაცნობმა. თითქმის ერთ საათს ვათვალიერებდი; რა შორეული და ახლო შედევრებია ის ცხოველები, რომელნიც დარბოდნენ პირველყოფილი ადამიანების წინაშე, წარმოადგენდნენ მათ საკვებს, როგორი სიყვარულით, პირველყოფილი სულიერებით, ტექნიკითაა შესრულებული, ყველა თითქმის დინამიკაშია. იქ ვნახე ის პირველყოფილი ღვთიური ველური ნიჭი, რომელსაც ნიკო ფიროსმანაშვილშიც აღმოაჩენ. ყოველივე ღვთიური იდუმალება მოდის ადამიანში ძალიან შორეულიდან, ოღონდ ხდება მათი ტექნიკური დახვეწა-განვითარება და სულთან ასე მიახლოება (წარმოიდგინეთ, იმ პირველყოფილი ადამიანების ნახატების განწყობილება, ცხოველებისა, განსაკუთრებით გარეული ხარებისა, შეინიშნება პიკასოს ზოგიერთ გრაფიკულ ნამუშევარში, განსაკუთრებით ტორეადორებს რომ ხატავს...).

აქ, რენუართან, განსაკუთრებით 1895-1896-ში შესრულებული Bაიგნეუსე აუხ ცჰეუეუხ ლონგს შესრულების ტექნიკაზე საუბარი საესურველია, საიდუმლოებას შეიძლება უმეტესობა ჩასწვდეს, მაგრამ მაგდაგვარი ტექნიკით მოზიდული სასწაული მხატვრობა და სული? ჩემი შეგრძნებით, მზისგან შობილების დონეზეა. მე ამჟამად წარმართიც ვარ! მხოლოდ მზეს და მთვარეს შეეძლო ამდაგვარ გაორებათა შობა, თუმცა მათი ნაკვეთია ამ სასწაულთა შემქმნელი ავტორი, ბატონი ოგიუსტ რენუარი. მინდა ბავშვური შეკითხვა დავსვა, _ რითი და რა წყაროებით იკვებებოდა მაშინ ავტორი? თუმცა ზევით ხომ ვასკვნი, რომ უფლის ძალა მართავდა მის ნიჭს და ტექნიკურ ფუნჯს. მართალი ბრძანდები, ბატონო პიკასო, მოდილიანს რენუარი ღმერთად რომ წარუდგინე, პიკასომ ბევრად ჩვენზე უკეთესად იცოდა, ვინ იყო ეს ფუნჯის ვირტუოზი და სულის მომთვინიერებელი, დამატყვევებელი და დამამწყვდეველი მარადიულის მოძრაობით. აქ რენუარის, ჩემი გაგებით, შემოქმედებითი და ფერწერული კულმინაციაა. დიახ, მინდა გავკადნიერდე და ვთქვა, ღმერთივით მთლიანი და სრულყოფილია ეს საოცრება ნაწარმოები და რამხელა საზრუნავი აქვთ ადამიანებს, ამდაგვარი შედევრები შეუნახონ სამყაროს და კოსმოსს, მარადიული ფორმით. კანდინსკი სულის და კოსმიურ ფორმათა მხატვარიაო, აქაც რომ ვხედავთ იგივეს?! ოღონდ `მზის საშოდან ნაშობი~, მთვარის მიერ ნათლული _ ასეთია რენუარის კოსმიური გენეალოგია, მე ასე მჯერა... რადგან სილამაზის ასე დანახვა და მერმე მისი შემოქმედებაში შობა მხოლოდ უფლისა და მზის ხალხს ხელეწიფება. ფერი ისე ჩამოდის ტილოზე, როგორც მაისის წვიმა-ჟინჟღვლა, რომელიც თანაბრად და მილიონ მაცოცხლებელ გზავნილად მოეფინება ბუნებას. ფერით მხატვარი კი არ წვალობს, არა, ბატონო, ის ფერით სუნთქავს და მისი სულიერება ნატურიდან გადადის ტილოზე. თითქოსდა მხატვრის და ნატურის სული ანარეკლია ტილოს ზედაპირზე. უზომო სიყვარული და სითბო ისეა გადმოცემული, რომ უფლის გარდა უთუოდ ყველას შეშურდება...

მეორე და მესამე დარბაზში რენუარი წარმოდგენილია ისევ ორფიგურიანი კომპოზიციებით, სადაც სრულიად სხვა ფორმით ვითარდება მისი გენია, მაგრამ ყველგან იკვებება და მშობიაობს იმ რენუარის გენიით, რაზეც ზევით გიყვებით. დანარჩენებზეც რომ გესაუბროთ, ესსე კი არა, მრავალფორმიანი წიგნი გამომივა, თან, სხვასაც მინდა დავუტოვო სათქმელი!..

ეს დრო! შენგან წასასვლელად მექაჩება, მე კი ყოველთვის შენთან ვიქნები, ჩემო კეთილო მოხუცო, მოციქულთა ტოლო და მაცხოვრის სულიერებით გაჯერებულო, რომელმაც გააკვირვე დედამიწელები. კინაღამ შემოქმედების დიდმა ძალამ მაჯობა და ვემთხვიე ტილოს!!!..

რეზო ადამია

კიდევ ერთხელ შეგვინდე, ბატონო ზვიად

1994 წლის თებერვალში, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის დაკრძალვაზე იჩქერიაში ჩასულ პირველ მრავალრიცხოვან დელეგაციას, რომლის ხელმძღვანელი, ბ-ნ გურამ შარაძის გადაწყვეტილებით გახლდით მე (ვინაიდან, თავად ბ-ნ გურამი მეორე დელეგაციას ხელმძღვანელობდა), ბ-ნ ზვიადის სურათებთან და მოზრდილ ჯვართან ერთად უძღოდა ჩემს მიერ შეკვეთილი კალათა წარწერით: „შეგვინდე, ბატონო ზვიად“.

ამ ღრმა ტკივილიან მონანიებით სიტყვებს დღემდე უტყვად ვაუნჯებდი ჩემში და არ მეგონა, თუ კვლავ ძალუმად დამცდებოდა.

2010 წლის 17 თებერვლის ვანდალურმა აქციამ, მთაწმინდაზე, ისევე შემძრა, როგორც 1994 წლის 5 იანვარს ხუნტის მიერ ოფიციალურად გაცხადებულმა ცნობამ ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ 17 თებერვლის მთაწმინდის აქციას ფონად ედო სააკაშვილის რეპრესიული რეჟიმის მიერ ცოტნე გამსახურდიას უკანონო პატიმრობაში ყოფნა და მისი მრავალთვიანი შიმშილობა ციხეში, 17 თებერვლის სკანდალი არ უკავშირდებოდა ცოტნეს, არამედ წარმოადგენდა ქ-ნ მანანას დაუცხრომელი სურვილის რეალიზაციის მცდელობას, „კოლხურ კოშკში“ გადაესვენებინა ზვიადი, როგორც მისი თანამეცხედრე, რისთვისაც მან ისარგებლა ხელსაყრელი დროით…...

იცოდნენ თუ არა მთაწმინდის აქციის მონაწილე ქ-ნ მანანას მომხრეებმა თავიანთი ლიდერის გულისთქმის, აქციის რეალური არსისა და მიზნის შესახებ? როგორც გამოვარკვიეთ, არა! მათი მცდარი მოსაზრებით, პრეზიდენტის საფლავთან შექმნილი ხმაური და აჟიოტაჟი იყო ცრუ და მოჩვენებითი და მხოლოდ ხელისუფლებაზე ზეწოლისკენ იყო მიმართული, რათა გაეთავისუფლებინათ ცოტნე. თავად ქალბატონი მანანა კი მთაწმინდაზე გაკეთებულ განცხადებებში განმარტავდა, რომ: ზვიადი დაკრძალული უნდა იყოს „კოლხურ კოშკში“ და რომ, ზვიადი, საბოლოოდ კოშკის ეზოში დაიკრძალება.

ზვიად გამსახურდიას საფლავი მთაწმინდაზე

ამ უხერხული ინცინდენტის გამო უნებურად მომაგონდა კიტა აბაშიძის სიტყვები ილიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით: „ვგლოვობ სამშობლოს სირცხვილს“.

ჩვენი თვითშეგნებით, თუნდ საპირწონე მიზნისთვისაც კი, პრეზიდენტის საფლავის ხელყოფა, დაუშვებელი და ამორალურია. ამასთანავე, როგორც ერს, ყოვლად ნეგატიურად წარმოგვაჩენს ცივილიზებული მსოფლიოს თვალში.

17 თებერვლის მთაწმინდის სკანდალს წინ უძღოდა ქ-ნ მანანა არჩვაძის საგაზეთო ინტერვიუ,სადაც იგი აცხადებდა:

„– სხვათა შორის, მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ზვიადის დაკრძალვისა მთაწმინდაზე, მინდოდა კოლხური კოშკის ეზოში დაკრძალულიყო, მაგრამ ცოტნემ თქვა, ეს ეზო სასაფლაოდ ხომ არ უნდა იქცესო“ („ასავალ-დასავალი“, 8–14 თებერვალი, 2010 წ. გვ. 6, პირველი სვეტის ბოლოდან მეორე აბზაცი).

ზემოთ მოხმობილი ინტერვიუ აღმოჩნდა სიგნალი 17 თებერვლის სულისშემძვრელი აქტისა.

2010 წლის 17 თებერვალს, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია კიდევ ერთხელ აწამეს.

17 თებერვლის აქცია დაგმო უკანონო პატიმრობაში მყოფმა ცოტნე გამსახურდიამ, მაგრამ გაზეთებში გამოქვეყნებულ მისი განცხადების არასრულ ტექსტში, სამწუხაროდ, ეს ნაწილი არ მოხვდა.

ქვემოთ გთავაზობთ ჩვენი პოლიტიკური განცხადების ტექსტს, რომლის გამოქვეყნების საშუალება, მაშინ, პრესამ და ტელევიზიამ არ მოგვცა და მხოლოდ ინტერნეტით გავავრცელეთ.

ლეილა ცომაია

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის განცხადება

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია გამოთქვამს შეშფოთებას საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის საფლავის ხელყოფისა და ადგილსამყოფელის ერთპიროვნულად შეცვლის მცდელობის გამო, რაც საეჭვოდ დაემთხვა გარდაცვლილი პრეზიდენტის შვილების (კონსტანტინესა და გიორგის) საქართველოში დროებით არყოფნას, ხოლო ცოტნეს უკანონო პატიმრობაში ყოფნას.

პრეზიდენტის ქვრივის, მანანა არჩვაძის, 17 თებერვლის თვითნებურ ქმედებას ვაფასებთ ვანდალიზმად და კიდევ ერთხელ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ:

საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გმირს ზვიად გამსახურდიას, 2007 წლის 1 აპრილს, ერმა, ბერმა და საკუთარმა შვილებმაც სრულიად სამართლიანად და დამსახურებულად მიუჩინეს ღირსეული ადგილი მთაწმინდის პანთეონში და ამ ერთსულოვანი გადაწყვეტილების შეცვლის უფლება არა აქვს თვით პრეზიდენტის ქვრივსაც და წარმოადგენს უკანონო ქმედებას.

მოვითხოვთ ყველა პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუციებისაგან, საიმედოდ დაიცვან დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სამუდამო განსასვენებელი მთაწმინდის პანთეონში და უზრუნველყონ მისი საფლავის უსაფრთხოება.

ხოლო, ქალბატონ მანანა არჩვაძის მომხრეებს კი მოვუწოდებთ, სრულად გააცნობიერონ მომხდარი და ნუღარ მიიღებენ მონაწილეობას მსგავს მწვალებლურ, ვანდალურ და სამარცხვინო აქტში.

პარტიის თავჯდომარე
ლეილა ცომაია
2010 წლის 18 თებერვალი, თბილისი.

ჩვენ საშიშ პრეცენდენტად მივიჩნევთ 17 თებერვლის სკანდალს იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ მიხეილ სააკაშვილი არ გახლავთ დიდად კმაყოფილი თავისი იძულებითი გადაწყვეტილებისა ზვიად გამსახურდიას მთაწმინდაზე დაკრძალვის გამო და გაჩნდა რეალური საფრთხე, მსგავსი პრეცენდენტის გამეორების შემთხვევაში, სააკაშვილის შესაბამისმა სტრუქტურებმა ხელი აღარ შეუშალონ პრეზიდენტის ქვრივს საკუთარი სურვილის აღსრულებაში.

„შევე ვიშიში მეფეო, თქვენად ამბის თქმად ამისა“

საზოგადოებაში დიდი გულდაწყვეტა გამოიწვია, ცოტნე გამსახურდიას თავდებით გათავისუფლების პეტიციის ხელმოწერაზე, დიდი ქართველი პოეტის ბატონ მუხრან მაჭავარიანის მიერ უარის თქმამ.

მართალი გითხრათ, თავადაც ძალზე გამიჭირდა გავრცელებული უარის დაჯერება, ვინაიდან, კომუნისტური ტერორის წლებში, ბატონი მუხრანი (ბატონი პაატა გუგუშვილიც) ინტელიგენციიდან ერთადერთი იყო, რომელსაც (რომლებსაც) დისიდენტები იმედიანად მივადგებოდით ხოლმე პეტიციებზე (ენის დაცვის, თვითმფრინავის ბიჭების, მერაბ კოსტავას გათავისუფლების და სხვ.) პირველი ხელმოწერის დასაფიქსირებლად, რათა შემდგომ (მათი მაგალითით) სხვებსაც გაებედათ ხელმოწერა.

დღეს, სააკაშვილისეული „დემოკრატიის ყვავილობის“ ხანაში, როდესაც ზვიად გამსახურდიას შვილის სიცოცხლე ციხის საკანში სასწორზეა შეგდებული, ბატონი მუხრანის უარი უზუსტობად მივიჩნიე და ვითარებაში გასარკვე-

გაგრძელება მე-15 გვ.

ცოტნე გამსახურდია - საკაშვილის შურისძიების მსხვერპლი

2009 წლის 28 ოქტომბერს, შეთითხნილი ბრალდებით დაპატიმრებული ცოტნე გამსახურდია, კვლავ სააკაშვილის პირად პატიმრად რჩება. ნაცმოძრაობის დიქტატორული რეჟიმი, ყოველგვარი უკანონო მეთოდებით ცდილობს გაუხანგრძლივოს მას პატიმრობა. ამ მიზნით მრავალჯერ გადაიდო დანიშნული პროცესები, ხოლო ყოველი ჩატარებული პროცესი კი (რომელიც ეროვნული მოძრაობის სამართლიანი პროტესტის ხმაურის ფონზე მიმდინარეობს) აღმაშფოთებელი ცინიზმისა და უსამართლობის გამოხატულებას წარმოადგენს.

დაზარალებულის – დავით ბაჯელიძის – ჩვენებებმა აშკარად ჩიხში შეიყვანა სასამართლო ხელისუფლება, რამეთუ ბაჯელიძე, ყოველ პროცესზე ერთნაირად დაბეჯითებით აცხადებს, რომ ცოტნე გამსახურდიას არავითარი ბრალი არ მიუძღვის მის დაჭრაში, არამედ იგი დაჭრა მისთვის სრულიად უცნობმა პიროვნებამ და მოწმეთა ჩვენებები სამართალდამცველი ორგანოების მიერ ზეწოლითა და მუქარითაა გამოძალული და სინამდვილეს არ შეესაბამება.

დაზარალებულმა დავით ბაჯელიძემ, სასამართლო პროცესებზე, აგრეთვე განაცხადა, რომ მასზეც ხორციელდება ზეწოლები და მუქარები პოლიციის სამმართველოსა და პროკურატურის მუშაკების მხრიდან, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ მისგან, შეიარაღებულ თავდამსხმელად ცოტნე გამსახურდიას დასახელებას.

უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, პატიმარ ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ, მისი საჯარო დისკრედიტაციის მიზნით, გამოიყენა ცოტნეს მეგობარი ქალი სოფიკო ჩიკვილაძე, რომელმაც, ტელეკომპანია „იმედის“ ყოველკვირეულ გადაცემა „სიმართლის დროში“ (რომელიც წარმოადგენს ტესტს რესპოდენტის პირად გულწრფელობასა და სიმართლეზე), მთელი საათი ილაპარაკა მხოლოდ ცოტნეზე და იგი დაახასიათა მოძალადე, კრიმინალ და ყოვლად ნეგატიურ პიროვნებად, დაადანაშაულა ბაჯელიძეზე შეიარაღებულ თავდასხმაში და მოითხოვა მისი ხანგრძლივი დროით პატიმრობა. აღნიშნული ინსინუაციური გამოსვლისათვის, საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციით, ჩიკვილაძეს, მერაბიშვილის უწყებამ, ჰონონარის სახით გადაუხადა სამოცი ათასი ლარი.

სააკაშვილმა, ცოტნე გამსახურდიაზე, როგორც პირად მტერზე დევნა მას შემდეგ განახორციელა, როცა 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით, ტელევიზიით გამოქვეყნდა ცოტნეს სატელეფონო საუბრები მოსკოვიდან თბილისში ოპოზიციის ლიდერებთან, შალვა ნათელაშვილთან და კონსტანტინე გამსახურდიასთან. საუბარში, ცოტნე, აქტივობასა და სტრატეგიას უწუნებდა ოპოზიციას და გაბედული ქმედებებისაკენ მოუწოდებდა. ამ მოსკოვური სატელეფონო საუბრების საფუძველზე, სააკაშვილის რეჟიმმა, ცოტნე, საქართველოს წინააღმდეგ, ჯაშუშობაში დაადანაშაულა და მასზე სამართლებრივი დევნა გამოაცხადა. ცოტნე არ შეუშინდა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და იგი მაინც დაბრუნდა საქართველოში. „ძებნილი“ ცოტნე აეროპორტშივე დააკავეს და მხოლოდ 20 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს (გირაო სხვამ გადაიხადა).

სააკაშვილი, ცოტნეს, ვერც იმას პატიობს, რომ მან არ მისცა მას, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გროზნოდან გადმოსვენების აქტის, თავისი პიარ–კამპანიისთვის გამოყენების შესაძლებლობა, არც ხუთჯვრიანი დროშა გადააფარებინა სასახლეზე და სიტყვის თქმის უფლებაც აღუკვეთა.

ცოტნე გამსახურდიას პოლიტპატიმრობასთან დაკავშირებით საპროტესტო პერმანენტული აქციები დღემდე მიმდინარეობს თბილისში. საპროტესტო პიკეტები ეწყობა, აგრეთვე აშშ-ში, საფრანგეთში, საბერძნეთში და საზღვარგარეთის სხვა ქალაქების საელჩოებთან ქართველი ემიგრანტების მიერ. თავად ცოტნემ სამთვიანი საპროტესტო შიმშილობა, ჯანმრთელობის უკიდურესად შერყევის გამო, კათოლიკოს–პატრიარქის ილია II-ის თხოვნით შეწყვიტა, რომელმაც იგი ციხეში პირადად მოინახულა.

მიხეილ სააკაშვილის შურისძიების მსხვერპლი ცოტნე გამსახურდია კვლავ უკანონო პატიმრობაში იმყოფება და მიუხედავად, დავით ბაჯელიძის საქმესთან დაკავშირებით, მისი სრული უდანაშაულობისა, სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან, როგორც სჩანს, სასჯელს მაინც ვერ გადაურჩება.

ქეთევან ჭანტურია

„ქეკე ვიშიში ქეფეო, თქვენად ამბის თქმად ამისა“

დასაწყისი გვ. 14

ვად სახლის ტელეფონზე თავად დავურეკე. ორი ზარის გასვლისთანავე ყურმილი პირადად ბატონმა მუხრანმა აიღო.

უკომენტაროდ გთავაზობთ ბ–ნ მუხრანთან მოკლე სატელეფონო საუბრის სრულ სტენოგრამას:

„– ალო, გისმენ (ბ-ნ მუხრანი).

– გამარჯობათ, ბატონო მუხრან, ლეილა ცომაია გაწუხებთ, როგორ ბრძანდებით? (ლეილა).

– მადლობა, არა მიშავს (ბ-ნ მუხრანი).

– ბატონო მუხრან, ჩვენს გაზეთში ცოტნე გამსახურდიას პატიმრობასთან დაკავშირებით, თქვენ რაიმე განცხადებას ხომ არ გააკეთებდით? (ლეილა).

– მე არ ვერევი, მე არ ვიცი (პაუზა) არა ვარ საქმის კურსში და ვერაფერს ვიტყვი (ბ–ნ მუხრანი).

– გროვდება ინტელიგენციის ხელმოწერები (ლეილა).

– მე არ ვიცი (პაუზა) დამნაშავე არის, არ არის (პაუზა), ვერ ჩავერევი (ბ–ნ მუხრანი).

– მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა (ლეილა).

– არაფერი ვიცი საქმის შესახებ. კოლექტიურ განცხადებებს ხელს აღარ ვაწერ. შენ ჩემი მეგობარი ხარ და გეტყვი: მე ხომ ჯანსუღ ჩარკვიანი არა ვარ, ჯერ ზვიადს რომ ებრძოდა, ახლა მისი შვილის განთავისუფლებისთვის...იბრძვის, ვითომ, წრფელია? (პაუზა) მე ვერ ჩავერევი,რადგან არაფერი ვიცი, ნახვამდის“ (მუხრანი).

2010 წლის 20 თებერვალი, 14 სთ.20 წთ. (მხოლოდ საუბრის დასრულების დრო დავაფიქსირე – ლ.ც.)....

კოლაბორაციონიზმი და მისი ალტერნატივა

დღეს რუსეთს მართავს სამხედრო-სამრეწველო და სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსების ალიანსი. ამ ალიანსის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზანია მსოფლიოს დაყოფა გავლენის სფეროებად და ევროპაში გამყოფი ხაზების დაწესება. მათ ამ მიზნის განხორციელებაში დამოუკიდებელი და ერთიანი საქართველო ხელის შემშლელ ფაქტორად მიაჩნიათ.

კრემლის პრობლემა ისაა, რომ დღეს მას აღარ შეუძლია თბილისში კარლ კნორინგის მსგავსად გენერალ-გუბერნატორის დასმა, იგი ვერც მშრომელთა მასებს შესთავაზებს ფაბრიკა-ქარხნებს, მიწას, საბჭოების ხელისუფლებას. კრემლს არ სურს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების გადასინჯვა, ჯარების დაბრუნება ომამდელ პოზიციებზე, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ ცნობის აქტების გაუქმება და მის მიერ ჩატარებული ეთნიკური წმენდის შედეგების აღმოფხვრა.

მისთვის სასურველი რეალობის შესანარჩუნებლად მას ისეთივე „პარტნიორი“ სჭირდება, როგორიც თავის დროზე ჰყავდა ჰიტლერს საფრანგეთში „ვიშის“ მთავრობის სახით. მოსკოვში ჩქარობენ, რადგან რუსეთში იზრდება სოციალ-ეკონომიკური კრიზისი და მის გადასაფარად აუცილებელია წარმატება საგარეო ფრონტზე. ამით არის განპირობებული ზურაბ ნოღაიდელისა და ნინო ბურჯანაძის მიღება ვლ. პუტინის მიერ.

ის ვინც თანხმდება იყოს რუსეთის იმპერიალიზმის აგრესიული სტრატეგიის „პარტნიორი“, ვეღარ იქნება დამოუკიდებელი და ერთიანი საქართველოს პატრიოტი. ზურაბ ნოღაიდელისა და ნინო ბურჯანაძის სწორება რუსეთისკენ არა მარტო პოლიტიკური, არამედ კერძო ინტერესებითაცაა განპირობებული. 2004-2007 წლებში ორივე მათგანი ინიციატივიანი თანამონაწილე იყო იმ „გაკულაკების“ პოლიტიკისა, რასაც მ. სააკაშვილის „ნაციონალური“ რეჟიმი ახორციელებდა „ვარდების რევოლუციის“ შედეგად დამარცხებულთა მიმართ. თავადაც რომ არ გახდნენ ამგვარი „გაკულაკების“ ობიექტნი ისინი ცდლობენ კრემლის სახით მოიპოვონ მათი და მათი კლანების კაპიტალის საიმედო დამცველი, მაგრამ მუქთი ყველი მხოლოდ სათაგურშია.

დიდად სამწუხაროა, რომ მათ გზას დაადგა ქარული ეროვნული მოძრაობისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერი ზვიად ძიძიგური, მან ტელევიზიით გააკეთა განცხადება, რომ საქართველომ უნდა აღადგინოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დეოკუპაციამდე. მან და სხვამაც ნათლად უნდა გააცნობიეროს, რომ წარსულის დამსახურებები არაა დღევანდელი რენეგატობის ინდულგენცია.

კოლაბორაციონიზმი არ ახალი მოვლენაა. 1940-44 წლებში ოკუპანტებთან არაერთმა ფრანგმა ითანამშრომლა, მარტო მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის 164 სენატორიდან და დეპუტატიდან 110-მა კოლაბორაციონისტობა იკადრა, ისევე როგორც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა პიერ ლავალმა. მაგრამ არც ერთმა ფრანგულმა პარტიამ არ იკადრა გერმანიის მმართველ ნაციონალ-სოციალისტურ მუშათა პარტიასთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, მაშინ როცა ზურაბ ნოღაიდელის პარტიამ – მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“, რუსეთის მმართველ პარტია „ერთიან რუსეთთან“ მოაწერა ხელი თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

კოლაბორაციონიზმი დღეს სტრატეგიული საფრთხეა საქართველოსთვის. შემთხვევითი არაა, რომ ეუთო-ში რუსეთის სპეციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმერ ჩიჟოვმა განაცხადა „საბჭოთა კავშირი ისევ არსებობს“, კრემლმა შექმნა ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქი, სადაც ამზადებს ჩვენი ქვეყნის წინააღმეგ სამხედრო ინტერვენციის ბაზას. ზურაბ ნოღაიდელი და ნინო ბურჯანაძე არც „პუბლიკოლაა“ და არც „აგრიკოლა“. მ. სააკაშვილის „ნაციონალური“ რეჟიმი მართლაც რომ კოლაბორაციონისტების სამჭედლო გამოდგა, ამ რეჟიმის დამსახურებაა, რომ მოსკოვისკენ მიმავალ გზაზე უკვე ჯიკავი და გაიწი-გამატარეა.

კოლაბორაციონიზმის ალტერნატივა არის ეროვნული, დემოკრატიული და სოციალური ძალების კონსოლიდაცია ისეთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ბლოკში, რომელსაც ექნება ეროვნული ტრადიციებისა და სოციალური დემოკრატიის პრინციპების შესაბამისი პროგრამა, სტრატეგია და ტაქტიკა.

აშშ-ს პრეზიდენტი რონალდ რეიგანი 1984 წელს ფრანგულ გაზეთ „ფიგაროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა „... როდესაც თავისუფალი ხალხი გადაწყვეტს გააკეთოს ის რაც აუცილებელია მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ვერავითარი მოწინააღმდეგე ვერ შესძლებს მის დამარცხებას“.

კოლაბორაციონიზმის ალტერნატივა არის ბრძოლა და ეს ბრძოლა საქართველოს არჩევანია.

დავით არაბიძე

შევარდნაძის აგონიური რეპრესიებისა და უძლური პოლიტიკის ქრონიკა

ინტერვიუ მარი გუგეშაშვილთან – „ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების“ წევრთან, ეროვნული მთავრობის – გლდანის რაიონის საკრებულოს დეპუტატთან

ქალბატონო მარი, როდის ჩაებით ეროვნულ მოძრაობაში და რამ განაპირობა?

1988 წლიდან დაიწყო ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა. მე, როგორც ისტორიკოსმა კარგად ვიცოდი ჩემი ტანჯული სამშობლოს ტრაგიზმით აღსავსე ისტორია და გადავწყვიტე სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში ერთი რიგითი ჯარისკაცი ვყოფილიყავი.

როდის გახდით „ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების“ წევრი?

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საშინელი რეპრესიები დაიწყო. კომუნისტური დიქტატის პირობებში დიდი გამბედაობა იყო გამხდარიყავი ისეთი ორგანიზაციის წევრი, როგორიც „ჰელსინკის კავშირი- ეროვნული აღორძინება“ იყო. მისი დამაარსებლები იყვნენ დიდი ეროვნული გმირები- ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მეამაყება, რომ პირველ თხუთმეტ წევრს შორის მე და ჩემი შვილი - ლალი ბარძიმაშვილი ვიყავით. ლიტერატურის ინსტიტუტში გვიტარდებოდა კონსპირაციულად კრებები; ზვიად გამსახურდია გვესაუბრებოდა იმ ტაბუდადებულ თემებზე, რომელიც მანამდე არ ვიცოდით. ეს იყო ბედნიერი დღეები ბედნიერ მოგონებად რომ შემოგვრჩა.

თქვენ ეროვნული მთავრობის ადგილობრივი დეპუტატიც იყავით, რას გაიხსენებდით?

ესეც ჩემი დიდი სიამაყეა, რომ ეროვნული მთავრობის საკრებულოს დეპუტატი ვიყავი. ჩვენ ბევრი კარგი ეროვნული საქმის გაკეთებას ვგეგმავდით. ხალხი მოდიოდა, გვლოცავდა, მე ამავე დროს ვიყავი გლდანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე. ჩემი მიზანი იყო ეროვნული სკოლების დამკვიდრება, რელიგიური სწავლების გაძლიერება, მაგრამ ცოტა რამ მოვასწარით. მალე დაგვამხო ხუნტამ. ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარი ვთქვი და პროტესტის ნიშნად ეს თანამდებობა დავტოვე-პირადი მრწამსით, ჩემი სამშობლოს ინტერესების გამო.

რას გაიხსენებდით ბ-ნ ზვიად გამსახურდიაზე?

ის იყო ღმერთისგან მოვლენილი პიროვნება საქართველოს გადასარჩენად. საქართველოს ყოველ კუთხეში ეროვნული დროშების ფრიალით შევდიოდით და მიტინგებს ვმართავდით. მესხეთ-ჯავახეთში ცხენებზე ამხედრებული ჩოხოსნები და ქართულ კაბებში გამოწყობილი ახალგაზრდობა ტაშის გრიალით შეგვეგება. დიდი მიტინგი ჩატარდა, უკან რომ ვბრუნდებოდით, ფარულად გაგვაფრთხილა საგზაო პოლიციის ერთმა კეთილსინდისიერმა წევრმა, რომ გზა დანაღმული იყო და მეორე გზით წამოვსულიყავით, მართლაც, ასე მოვიქეცით, ჩვენი საყვარელი ლიდერი კოლხურ კოშკამდე მივაცილეთ.

თქვენ სად იყავით მაშინ, როცა პუტჩისტები პარლამენტს უშენდნენ იარაღს?

მე ჩემს შვილთან და რამდენიმე ჩვენი კავშირის წევრთან ერთად პარლამენტის შენობაში ვიყავი. რა დამავიწყებს იმ ჯოჯოხეთურ ღამეს-უსასტიკეს, დაუნდობელ მუქარასა და შემოტევას. ჩვენ იქ ვიყავით უიარაღონი, მაგრამ უსაზღვრო რწმენით აღჭურვილი ადამიანები. ფეხზე გავათენეთ ღამე. რა დამავიწყებს ზვიად გამსახურდიას სახეს. გამთენიისას იარაღი დაუშინეს პრეზიდენტის კაბინეტს. ჩვენ ამ საფრთხეს მთელი ღამის განმავლობაში ვგრძნობდით. პარლამენტში დამონტაჟებული იყო რადიოსადგური, მეც, ჩემი შვილიც, რადიოთი გამოვედით. ქართველ ერს მივმართე მოსულიყვნენ და დაეცვათ პარლამენტი და პრეზიდენტი ისე გმირულად, როგორც ლიტველი ხალხი იცავდა

6 თვე ლანდსბერგისის დროს. მალე რადიოკვანძი გადაგვიჭრეს.

რა რეპრესიები განხორციელდა თქვენს მიმართ?

საქართველოს დამოუკიდებლობას ემსხვერპლა მთელი ჩემი ოჯახი. არ გვაპატიეს და დაგვსაჯეს, საქართველოს სიყვარულის და პრეზიდენტის ერთგულების გამო. ძნელია სიტყვით გადმოქცეთ ის, რაც ჩემმა ოჯახმა გადაიტანა. დაიწყო სასტიკი რეპრესიები, 1992 წლის 5 ოქტომბერს დააპატიმრეს ჩემი მეუღლე – ზურაბ ბარძიმაშვილი და უსაფუძვლო ბრალდებით 8 წელი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გამოკეტეს, როგორც პრეზიდენტის ერთგული თანამებრძოლი. 1993 წლის 5 ოქტომბერს კი მე და ბრალი დამდეს დამხობილი პრეზიდენტის ერთგულებასა და საპროტესტო მიტინგებზე აქტიურობაში. მუხიანის პოლიციის საკანში გამომკეტეს. პოლიციის უფროსი გია გაგნიძე მკაცრი ზეწოლით შეეცადა მონანიება დამეწერა. მე ვნახე რვა კაცი, თუ როგორ დააწერინა მათ, მე კი ვერ გამტეხა და მკაცრი მუქარით, ზვიადის ლანძღვით კომენდატურაში გადააყვანინა ჩემი თავი უბნის ინსპექტორს ავთანდილ ხორავას, სადაც წინასწარი პატიმრობის კამერაში ჩამიყვანეს. ეს იყო ნამდვილი მიწური გამოქვაბული. ჩემს გვერდით იყვნენ ეროვნული მოძრაობის აქტივისტები: „ჰელსინკის კავშირი- ეროვნული აღორძინების“ წევრი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი დარეჯან ბიწაძე, ჟურნალისტი რეზო ურუშაძე, მანანა ლაბაძე, გაზეთ „იბერია-სპექტრის“ რედაქტორი, ჟურნალისტი ირაკლი გოცირიძე და სხვ. სანთლები გვენთო და ვლოცულობდით, ვლოცავდით ჩვენს გვემულ სამშობლოს და ქართველ ერს. მეორე დღეს საქართველოს ტელევიზიიდან ჟურნალისტი ლულუ ჩხენკელი მობრძანდა, ორი ავტომატიანი მხედრიონელის თანხლებით. ხან დახვრეტის იმიტაცია შეგვიქმნეს და მაინც ვერ გაგვტეხეს. მეორე სართულზე აგვიყვანეს, სათითაოდ შეგვიყვანეს ოთახში, სადაც ტელეკამერებთან უნდა დაგვეგმო ზვიად გამსახურდია. პირველად შეიყვანეს ირაკლი გოცირიძე, ვერ დაიყოლიეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ, რომ გამოვიდა შუბლიდან სისხლი ჩამოსდიოდა. ჩემი ჯერიც მოვიდა, კამერა ჩართო ლულუმ, დაგმობის ნაცვლად მე ვთქვი შემდეგი- ზვიად გამსახურდია არის პირველი დისიდენტი, ეროვნული მოძრაობის პატრიარქი, დიდი მეცნიერი და ჭეშმარიტი ქრისტიანი, ღმერთისგან სამშობლოს გადასარჩენად მოვლენილი ღმერთკაცი-მეთქი.

ლულუმ კამერა გამორთო და თავში ჩამარტყა ზვიად გამსახურდიას საავტორო წიგნი „სულიერი მისია“, რომელიც ჩხრეკის დროს წამოიღეს ოჯახიდან. დამემუქრა, რომ თუ აქედან ცოცხალი გახვალ, სკოლაში მოვალ და გამოგაძევებო. ამერიკის ხმამ გადასცა ჩვენი პატიმრობის ამბავი, რადგან ჩვენს გვერდით საერთაშორისო დონის ჟურნალისტი ირაკლი გოცირიძე იყო და იძულებული იყვნენ გავენთავისუფლებინეთ. ლულუმ პირობა შეასრულა. ისევ ორი ავტომატიანი პირის თანხლებით, თეთრი ნივით, სკოლაში მოიჭრა, მე-11 კლასელებთან კამერა ჩართო და კითხვით მიმართა ჩემს მოსწავლეებს „რას ქადაგებს გაკვეთილებზე, ზვიადი გმირიაო?“ და ა.შ. მათ უპასუხეს, რომ მხოლოდ საქართველოს ისტორიას გვასწავლის ბრწყინვალედო. ამის შემდეგ დირექციას მოსთხოვა სკოლიდან ჩემი გაგდება, რაზეც მიიღო შედეგი პასუხი- უნიჭიერესი პედაგოგია და პოლიტიკური მრწამსის გამო ვერ გავუშვებთო. თეთრი ნივა სწრაფად დაიძრა. ჩემი მოსწავლეები კი ზიზღით უცქერდნენ ფანჯრიდან და შემდეგ, ცრემლიანი თვალებით გულში მიკრავდნენ და მამხნევებდნენ. კარგად გაავლეს ზღვარი ღირსებასა და უღირსობას შორის.

როგორ დაგიფასდათ ეს ეროვნული ღვაწლი?

ჟურნალისტებმა ჩვენ, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლებს, „აპოკალიფსური ქრისტიანები“ გვიწოდეს. მე ბედნიერი ვარ, რომ დიდი ეროვნული გმირების-მერაბისა და ზვიადის თანამებრძოლი ვარ. ჩემი სამშობლოსთვის ცოტა რამ მაინც გავაკეთე და რაც შეეხება დაფასებას, ვისაც ეროვნული ცნობიერება არ გააჩნია, ის ვერასოდეს მიხვდება ეროვნული ადამიანის ფასს, თავდადებას. ბევრჯერ მტკენია გული და ცრემლმორეულს გამიფიქრებია, – როგორ ცდილობენ დაგაკნინონ ასეთმა კოსმოპოლიტებმა. ვერაგობა ძლიერი აღმოჩნდა, ბოროტების მანქანა დაგვიპირისპირდა, მაგრამ მათგან უფალი გვიცავდა და მის წყალობას ყოველ წუთს ვგრძნობდი. ამ სულიერ სიხარულს ვერანაირი განსაცდელი ვერ გადაფარავს!

ესაუბრა
ქეთევან ჭანტურია

უცხოეთის ამბები
დაიჯესტი

უკრაინის სახალხო რუხმა განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტის თანამდებობაზე იანუკოვიჩის პირველი ნაბიჯები მიმართულია უკრაინის სახელმწიფოებრიობის მოსპობისაკენ. ამის შესახებაა საუბარი სახალხო რუხის განცხადებაში.

„მოვლენები, რომლებიც 2010 წლის 7 თებერვლის შემდეგ ვითარდება, არ შეიძლება არ აღელვებდეს ეროვნულ-დემოკრატიულ ძალებს და ყველა უკრაინელ პატრიოტს.

იანუკოვიჩი, გახდა რა უკრაინის პრეზიდენტი, ავლენს უკრაინის დანაწევრების საოცარ უნარს ჯერ კიდევ ინაუგურაციამდის„ – ნათქვამია განცხადებაში.

სახალხო რუხმა შეგვახსენა, რომ იანუკოვიჩმა პრეზიდენტის პირველი სიტყვა რუსულ ენაზე წარმოსთქვა: „ ეს მოწმობს მის მალოროსსიულ ვასალობაზე და უკრაინაში რუსული ენის მეორე სახელმწიფო ენად შემოტანის სცენარის ფაქტიურ რეალიზაციას„.

„ასეთი ნაბიჯი გამოიწვევს ცხოვრების ყველა სფეროდან უკრაინული ენის სრულ გამოდევნას და მეზობელი სახელმწიფოს ენის სრულ დომინირებას, უკრაინის სახემწიფოს უკრაინული სახის დაკარგვას“, - მიუთითებს სახალხო რუხი.

„იანუკოვიჩის იდეა გაზის სატრანსპორტო კონსორციუმის შექმის შეახებ გახდება უკრაინული გაზის სატრანსპორტო სისტემის ფაქტიური გადაცემა რუსეთის დაქვემდებარებაში მისი გაზპრომის საკუთრებაში გადაცემის პერსპექტივით“ – ლაპარაკია განცხადებაში.

უკარაინის სახალხო რუხმა დაადასტურა აგრეთვე, რომ მოსკოვიის პატრიარქის მოწვევამ იანუგურაციაზე უჩვენა იანუკოვიჩის პრომოსკოვური არსი და შეიტანა განხეთქილება უკრაინულ სასულიეროებში და მორწმუნეებში.

„ამ ნაბიჯით იანუკოვიჩმა დისკრედიტაცია გაუწია და გაათანასწორა ყოველი რელიგიური კონფენსიის, რომლებიც წარმოდგენილია უკრაინაში, უკრაინისათვის საერთო ლოცვის ტრადიცია, რომელსაც აწარმოებდნენ უკრაინის წინამორბედი პრეზიდენტები“, - ხაზს უსვამს უკრაინის სახალხო რუხი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ იანუკოვიჩმა დუმილით მისცა თანხმობა რუსეთის მეთაურის მედვედევის სკანდალურ ბრძანებას უკრაინის ქალაქ სევასტოპოლში რუსული ტექნიკისა და სამხედროების გამოყენებით აღლუმის ჩატარებას.

„ამგვარი სულისკვეთებით – საგარეო პოლოტიკის კანონმდებლობით გამყარებული ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსზე უარის თქმა, რომელიც გაისმა საინაუგურაციო სიტყვაში, აგრეთვე კიევში ევროპის მოედანზე ევროკავშირის დროშის ჩამოხსნა.

ვითვალისწინებთ რა ყველა ამ ნაბიჯს, რომლებიც მიმართულია უკრაინის სახელმწიფოებრიობის მოსპობისაკენ, გვაკვირვებს ე.წ ეროვნულ-დემოკრატიული ძალების პოზიცია და განცხადებები, რომლებიც უკვე მზად არიან გახდნენ „რეგიონების პარტიის“ ბუქსირები. პარტია „ჩვენი უკრაინა“, უნპ, ჯგუფი „უკარინისათვის“ უკვე ღიად აწარმოებენ ვაჭრობას „რეგიონების პარტიასთან“.

უკრაინული იდეალების დათმობის აუცილებლობის ლოზუნგამოფარებულები, აწყობენ დამამცირებელ თავყრილობებს თანამდებობებისათვის და სხვა მატერიალური კეთილდღეობისათვის“, - ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ასეთი ქმედებები წარმოადგენენ ეროვნული დემოკრატიის იდეის, უკრაინულ უკრაინაზე პატრიოტთა ოცნების დისკრედიტაციის გაგრძელებას, ყველა პარტიის ერთ კოლმეურნეობაში შეყრის მცდელობით უკრაინის სახალხო რუხის განადგურების მცდელობას.

„უკარაინის სახალხო რუხი მოუწოდებს უარი ეთქვას ანტიუკრაინულ ნაბიჯს – რეგიონების პარტიასთან გაერთიანებას. დემოკრატიულ ძალებს აქვთ შანსი განამტკიცონ ახლანდელი კოალიცია პარლამენტში და არ მისცენ იანუკოვიჩს მისი ანტისახელმწიფოებრივი ინიციატივების განხორციელების შანსი.

დღეს უკრაინა განსაცდელშია! ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ეროვნულ-დემოკრატს და უკრაინის პატრიოტებს უკრაინის სახელმწიფოებრიობის საშიშროების წინააღმდეგ ერთიანი პლატფორმის ჩამოყალიბებისკენ. უნდა გავვერთიანდეთ! დროა ქვების მოგროვებისა!“ ხაზგასმულია უსრ-ის განცხადებაში.

პატრიარქი ფილარეტი: – მოსკოვის გენერალ-პატრიარქი გუნდიაევი არ არის მართლმადიდებელი

ფსბ-რმე-ს (რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია) მოსკოვის გენერალ-პატრიარქს გუნდიაევს, აგრეთვე ოპერატიული მეტსახელებით „მიახაილოვი“ და „პატრიარქი კირილე“ ცნობილი, სურს მართლმადიდებლური ეკლესია გარდაქმნას კატოლიკურის ნიმუშზე. ამის შესახებ განაცხადა კიევისა და სრულიად რუსი-უკრაინის უწმინდესმა პატრიარქმა ფილარეტმა თავის ინტერვიუში საეკლესიო ჟურნალისტებთან.

„მე ის მახსოვს ჯერ კიდევ არქიმანდრიტობიდან. ის მაშინაც, და ახლაც იმყოფება კათოლიკური ეკლესიის სიდიადის გავლენის ქვეშ, გარეგნული სიდიადის“, -თქვა პატრიაქმა ფილარეტმა.

უკრაინის პატრიარქის მტკიცებით, გუნდიაევს მოსწონს რომაელ-კათოლიკების ფართო ორგანიზაია და მოქნილი სტრუქტურა. „სწორედ კათოლიკური ეკლესიის ეს გარეგნულად მოქნილი და მტკიცედ ორგანიზაციული სტრუქტურა დიდ ხნიდან იზიდავს მას. ის აღფრთოვანებულია მისით, და სურს მის მსგავსად გარდაქმნას მართლმადიდებლური ეკლეისა“ – აღნიშნა ფილარეტმა.

ამავე დროს ის დარწმუნებულია, რომ თუ გენარალ-პატრიარქი გუნდიაევი „ამ სტრუქტურას შემოიტანს მართლმადიდებლურ ეკლეისაში, ის აღარ იქნება მართლმადიდებელი“.

„მაგრამ თუ ამ ერთიანობაზე ამ სახით ვისაუბრებთ, როგორც ამას კირილი ამბობს, მაშინ ეს გვახსენებს კათოლიკების იდეას. იმიტომ რომ ამგვარია კათოლიკური ეკლესია, მისი იდეოლოგია – მათ ერთი მეთაური ჰყავთ მთელ მსოფლიოში“, აღნიშნა უწმინდესმა პატრიარქმა ფილარეტმა. მისი სიტყვებით, „მართლმადიდებლობაში ეკლესიის აგებულობის სხვა სტრუქტურებია, და ყოველ ხალხს გააჩნია თავისი წინამძღოლი, თავისი ადგილობრივი ეკლესია“. „არ შეძლება ისე, რომ საყოველთაო მართლმადიდებლობის მთლიანობა ერთ კაცს დაექვემდებაროს. მაგრამ სწორედ ამაზე ოცნებობს კირილი – უმეთაუროს მთელს მართლმადიდებლობას, გახდეს „მართლმადიდებლობის პაპი“, - შეგვახსენა პატრიარქმა ფილარეტმა, აგრეთვე დაამატა მან, რომ ოდესმე „ბოლოს და ბოლოს, უკრაინის ეკლესია გაერთიანდება, თუნდაც იმთავითვე არ სცნოს ყველამ, მაგრამ ის ქნება არსით, სულიერებითა და ფორმით მართლმადიდებლური და უკრაინული“. „მაგრამ „მესამე რომის“, „მართლმადიდებლობის პაპობის„ ყველა ეს იდეოლოგემა გაქრება, როგორც მოჩვენებანი“, - აღნიშნა პატრიარქმა ფილარეტმა.

შეგახსენებთ, კიევისა და სრულიად რუსი-უკრაინის პატრიარქმა ფილარეტმა უარყო კირილის სიტყვა უკრაინაში ერთიანი ადგილობრივი ეკლესიის არსებობის შესახებ. „უკრაინაში ერთიანი სამოციქულო ეკლესიის არსებობის შესახებ საუბრისას, კირილეს მხედველობაში ჰქონდა „რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია“, მაგრამ უკრაინაში ჩვენ გვუსრს გვქონდეს ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესია, აღნიშნა უკრაინის პატრიარქმა.

http://russass.livejournal.com/11391.html

ამერიკაში მკაცრად განსაჯეს რუსეთის დანაშაულობანი კავკასიაში. მოსკოვი გაცოფებულია

რუსეთი გახდა მკაცრი კრიტიკის ობიექტი აშშ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურ მოხსენებაში მსოფლიოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში, რომელიც 11 მარტს გამოქვეყნდა, აღნიშნულია „სამართალდამცველებისა და რვა ჟურნალისტის მკვლელობები, მათ შორის გამოჩენილი ჟურნალისტისა და სამართალდამცველის ნატალია ესტემიროვასიც“.

ამერიკის ხელისუფლების მოწმობით, რუსეთის ხელისუფლების ქმედებებმა „შეასუსტეს აზრის გამოხატვისა და საინფორმაციო საშუალებების დამოუკიდებლობა რუსეთში სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის გზით; მთავარ საინფორმაციო საშუალებებზე დაწოლა იმ მიზნით, რომ უკანასკნელებმა თავი შეიკავონ კრიტიკული მასალებისაგან; ზოგიერთი ჟურნალისტის დაშინება, რამაც მიიყვანა თვითცენზურამდე“.

მოხსენებაში ნათქვამია იმის შესახებ, რომ რუსეთის ხელისუფალნი ცდილობენ შეზღუდონ არაკომერციული ორგანიზაციების მოღვაწეობა, პირველ რიგში კი უცხოური, მინიშნებულია დოკუმენტში.

მოსხენებაში მთავარი ყურადღება გადატანილია კავკასიაში არსებულ სიტუაციაზე. ამერიკის მთავრობა მიუთითებს, რომ გრძელდება ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუარესება ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსეთის ხელისუფალნი და ადგილობრივი მარიონეტული რეჟიმები „დაკავებულები არიან მკვლელობებით, წამებებით, ძალადობით, ადამიანების პოლიტიკურად მოტივირებული გატაცებებით“ – ნათქვამია მოხსენებაში.

„ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში არასასამართლო ანგარიშსწორებებმა და ადამიანების გაქრობამ აშკარად იმატა, ასევე, თავდასხმებმა ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებზე„ – აღნიშნულია დოკუმენტში.

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ადასტურებს, რომ

გაგრძელება მე-18 გვ.

უცხოეთის ამბები
დაიჯესტი

დასაწყისი გვ. 17

„არსებობს მრავალი სანდო ცნობა ძალოვანი ორგანოების მიერ წამების გამოყენების და დაკავებულთა მიმართ გამიზნული არაადამიანური მოპყრობის შესახებ, რათა მათგან მიაღწიონ დანაშაულისათვის აღიარებითი ჩვენებებს“.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოვიდა ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხსენების მიმართ მეტად მკვეთრი ოფიციალური კომენტარებით, იუწყება ბი-ბი-სი.

ანკარა. თურქეთმა შვეციიდან გამოიწვია ელჩი ამ ქვეყნის პარლამენტის მიერ ე.წ. „სომხების გენოციდის“ შესახებ რეზოლუციის მიღების შემდეგ.

თურქეთმა განაცხადა შვედეთიდან ელჩის გამოწვევის შესახებ მას შემდეგ, რაც შვედმა დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს „სომხების გენოციდის“ რეზოლუციას.

გარდა ამისა, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაიპ ერდოგანმა გადადო მომავალ კვირაში შვედეთში დაგეგმილი ვიზიტი.

„ჩვენი ხალხი და ჩვენი მთავრობა უარყოფს ასეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მცდარ მონაცემებზეა დაფუძნებული და არ გააჩნია საფუძველი“ – განაცხადა თურქეთის მთავრობის მეთაურმა შვედეთის პარლამენტის გადაწყვეტილების კომენტარისას.

შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა კარლ ბილდტმა დეპუტატების მიერ მიღებული რეზოლუცია დაახასიათა, როგორც შეცდომა, დაამატა რა, რომ ის გავლენას არ მოახდენს შვედეთის მთავრობის პოზიციაზე თურქეთის ევროკავშირში მიღების შესახებ.

შვედეთის პარლამენტში კენჭის ყრა მოხდა აშშ-ს წარმომადგენლობითი პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტში ანალოგიური კენჭისყრიდან ერთი კვირის შემდეგ, რომლის შემდეგაც თურქეთმა ასევე გამოიწვია ელჩი ვაშინგტონიდან.

დიუმა და ოსები

ოსები, რომლებიც ბინადრობენ საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად (1) აკეთებენ ბევრ ფულს, მაგრამ არიან მფლანგველები. მოთამაშენი და ლოთები, ამიტომ ყოველთვის ცუდად აცვიათ, ან, უფრორე, სულაც არ აცვიათ. ისინი მიწურებში, დანგრეულ კოშკებში ცხოვრობენ და მთელ თავიანთ შემოსავალს ხარჯავენ თამბაქოსა და არაყზე (2).

ძნელია მათ შორის მდიდრისა და ღარიბის გარჩევა, რადგან ყველას ერთნაირად ცუდად აცვიათ. ოსები, როგორც ინგუშები თამარ მეფის დროს ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ დღეს თვითონაც არ იციან რა რწმენისანი არიან.

მთელ დედამიწაზე ოკეანისა და შიდა აფრიკის წარმართებს შორისაც ვერ იპოვნი ველური იდეების და გაუგებარი რწმენის ასეთ ნაზავს.

თამარის მეფობიდან ასი წლის შემდეგ, ესე იგი მათი გაქრისტიანებიდან ორასი წლის შემდეგ, მონგოლებმა ორგზის მოსრეს კავკასიის ველები. ოსებმა თავი დააღწიეს ჯერ არნახულ საშიშროებას, შეიმალნენ მთებში და ამ დროიდან არ გამოსულან იქიდან. ამის შემდგომ მათ დაკარგეს ყოველგვარი კავშირი საქართველოსთან და თანდათან დაუბრუნდნენ ადრინდელ უმწეო ყოფას. ქრისტიანული რელიგიიდან მათ შეინარჩუნეს მხოლოდ ზოგიერთი ცერემონიალი, ცოდნა ღმერთისა და იესო ქრისტეს შესახებ, რომელთაც ისინი აიგივებდნენ მუხამედთან, როგორც ნათელმხილველთან. მათთან ერთად სწამთ ანგელოზებისა და სულებისა, მაგიისა მათში გავრცელებული ორქალობისა და ორკაცობის, და ასრულებენ მსხვერპლთშეწირვას.

ყიდულობენ ერთ, ორ, სამ და ოთხ ქალს, თუ შესაძლებლობა აქვთ. ფულს იხდიან, ეპყრობიან სასტიკად, და მათ აკისრებენ საშინაო და მინდვრის სამუშაოებს. თუ უკმაყოფილონი იყვნენ (ცოლებით), სახლიდან აგდებდნენ. ქალიშვილებს არ გააჩნდათ არავითარი უფლება მემკვიდრეობაზე, მათ არ აძლევენ მზითევებს, პირიქით, მათ ჰყიდიან, როგორც შინაურ ცხოველს. ამიტომ სრულიად უკმაკოფილონი არიან ისინი, როდესაც ჩნდება ქალიშვილი, და ხარობენ როდესაც იბადება ვაჟი.

„ქალის მკვლელობა ორჯერ ნაკლები დანაშაულია ვიდრე კაცისა. და მხოლოდ ერთი კანონი დარჩათ უცვლელი – სისხლიანი შურისძიება“. ეს დაწერა არა გამსახურდიას წინაპარმა, რომელიც როგორც ცნობილია, იყო აშკარა „ოსეტინოფობი“, არც ალექსანდრე ყაზბეგმა, რომელმაც ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე შეეხმიანა ოსებს, არამედ თვით დიდმა და საზარელმა ალექსანდრე დიუმამ, „სამი მუშკეტერის“ ავტორმა, პირმა, რომელიც სულაც არ იყო დაინტერესებული არსებულ სიტუაციაში გადაეჭარბებინა. თუმცა, საერთაშორისო ანტიოსური შეთქმულების სახით...

1. თქვენს ყურადღებას ვამახვილებთ მასზედ, რომ მწერალმა, რომელიც, როგორც ცნობილია, შეუდგა რა ოსებსა და ინგუშებზე თხრობას, უკვე იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და იქიდან გზაში თბილისისაკენ არასდროს აბორძიკებია ენა ცხინვალსა და ლენინგორზე.

2. აქ მე იძულებული ვარ გამოვექომაგო ოსებს. ყაბარდოელთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისას საშინელი იქნებოდა მდიდარი და ძლიერი ოსის დანახვა. თუმც ავტორისათვის ნათელია, რომ იმ დროისათვის ჩვენ იქ არ ვიყავით.

„პრობლემა პუტინში არ არის, არამედ იმაში რომ პუტინი – ეს თვით რუსებია“

ყველა ხალხი, მოხვედრილი საშინელი რუსული უღლის ქვეშ, შეუბრალებლად ნადგურდება. ქსელ-

ში გამოტანილი ცნობილი ფოტოგრაფის ვლადიმერ ლარიონნოვის ფოტო „სოფელი, რომელიც აღარ არსებობს. კარელიის მომაკვდავი სოფელი.

ალვნიშნავთ, რომ აღმოსავლეთ კარელიაში რუსები კლავენ სახელდობრ კარელ-ფინებს და არა თავისიანებს. ასე რომ, ფოტოზე რუსების მიერ დანგრეულ სახლებს გააჩნიათ ფინური არქიტექტურა.

რუსები ანადგურებენ არა მარტო კარელ-ფინებს, არამედ კაზაკებს. კაზაკეთში რუსებმა გაასამართლეს მოხუცი კაზაკი, ერთი წლის თავისუფლების აღკვეთით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, იმის გამო რომ მან თავის სამშობლოში კაზაკეთში, მდინარეში დაიჭირა 20 მანეთის ღირებულების 4 თევზი.

რუსული ტერორისტული ბანდა ფსბ განაგრძობს ტერორს უცხოელების წინააღმდეგ. იმის გამო, რომ ორ ყაზახ ახალგაზრდას, რომლებსაც აერიათ გზა და აღმოჩნდნენ სამხრეთ ურალში რუსეთის ტერიტორიაზე, ფსბ-შნიკებმა მათს თავი უკრეს ხუთი თვით თავიანთ გულაგში.

რუსული ტერორის მხეცობის მსხვერპლი გახდა დასავლეთ უკრაინის 1 მილიონზე მეტი მაცხოვრებელი. ეს არის მრავალი ასეული ათასი დახვრეტილი, გულაგის კონცლაგერებში ნაწამები, ციმბირულ გადასახლებებში დაღუპულნი.

რუსები, რომლებიც თავიანთ თავს დემოკრატებად, ანტიკომუნისტებად და ანტისტალინისტებად თვლიან, კიდევ განაგრძობენ სტალინური დამყაყებული პროპაგანდის ტრანსლიაციას ოუნა-უპა –ს ბანდების შესახებ. ბანდიტები იყვნენ და არიან ყველანი, ვინც ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება რუსულ ტერორს, მოწმობენ უკრაინის საინფორმაციო საშუალებები.

რუსი რევანშისტები, მიუხედავად კრიზისისა, აუმჯობესებენ მეხუთე კოლონის და მომავალი კოლონიალური ადმინისტრაციების რაოდენობას, რომლებიც უეჭველად გამოჩნდებიან, თუ ახლავე არ დაასამარებენ რუსეთს. ნახერხით გატენილი პუტინის სასაცილო თოჯინამ, გნომმა მენდელმა, გამოყო ფულები „დსთ-ს ქვეყნებიდან სტუდენტების უფასო სწავლებისათვის“ (სტუდენტები აანაზღაურებენ თავიანთის სულებით) მომაკვდავი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

თითოეული რუსი მეცნიერი მოვალეა ჰქონდეს შესაბამისი ეროვნება, სხვაგვარად „მეცნიერებაში„არ შეუშვებენ, და უნდა იყოს სზლ მცირე ფსბ-ს ჩამშვები მაინც, თუ არა ოფიცერი ან გენერალი. სანქტპეტერბურგის სახელმწიფო უნივერსისტეტში გაიხსნა „ექსტრემიზმის პრობლემების შემსწავლელი ცენტრი“. რუსი მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა – „ტესტების ექსპერტიზის ჩატარება, რომელიც ძირს უთხრის კონსტიტუციის საფუძვლებს“, მოგვითხრობენ ჩეკისტები.

რუსეთის ეკლესია – დასაწყისიდანვე ანტიქრისტესეულია. ადრე რუს ქრისტიან მღვდლებს ჰყავდათ ქრისტიანივე მონები, რაც წარმოუდგენელია ჭეშმარიტი ქრისტიანობისათვის. ამჟამად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია – დამნაშავე ვაჭრუკანების გიგანტური კორპორაციაა. ამას ადასტურებენ სპეციალისტები.

შემოკლებული თარგმანი

ალექსანდრე სანდუხაძის

რ ე ლ ი გ ი ა

რომელია ის სიკეთე, რომელიც იესო ქრისტემ მოგვცა თავისი სიკვდილით

ვიდრე ამაზე საუბარს დავიწყებდეთ, ვნახოთ რომელია ეს სიკეთე, რომელიც ჰქონდა ადამს სამოთხეში, სანამ ის შესცოდავდა და რომელია ის ბოროტება, რომელმაც დაიპყრო ადამი შეცოდების შემდეგ, და არა მარტო ადამი, არამედ სხვებიც.

პირველი ადამიანი, რომელიც თავის ხატად და მსგავსად შექმნა უფალმა, სანამ საკუთარი ნებით დაკარგავდა ღვთიურ სახეს, იყო ნეტარი, რადგან როგორც ღმერთს არა აქვს დასასრული და მარადიულია, ასეთივე უკვდავი იყო ადამი. ღმერთი არის ყოვლად სამართლიანი და ადამიც იყო უცოდველი და მართალი: ღმერთი არის ყოვლად ნეტარი და ადამიც ნეტარად იყო შექმნილი და მისი ნეტარება დღითიდღე უფრო და უფრო იზრდებოდა დაუსრულებლად. ადამი ცხოვრობდა შესანიშნავ სამოთხის ბაღში, რომელიც შექმნილი იყო თავად უფლის მიერ, სადაც ადამი ყველაფრით მადლიერი და ჯანმრთელი იყო და არ იცოდა არანაირი ავადმყოფობა. არ იცოდა რა იყო შიში, ყველა ცხოველი და ფრინველი მას ემორჩილებოდა, როგორც თავის პატრონს. იგი ვერ გრძნობდა, ვერც სიცივეს და ვერც სიცხეს, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობდა და ქმნიდა, მაგრამ ყოველივეს აკეთებდა სიამოვნებით და არ იცოდა დაღლა, სიმძიმე. სული და გული მისი სავსე იყო უფლისადმი სიყვარულით. იგი იყო ყოველთვის მშვიდი, მხიარული და არ იცოდა არანაირი უსიამოვნება, არც ნერვიულობა, და არც მწუხარება. ყველა მისი სურვილი იყო წმინდა, მართალი და მტკიცე, გონება, მეხსიერება–სრულქმნილი, მართალი და უცოდველი. ყოველთვის იყო ღმერთთან და საუბრობდა მასთან და ღმერთს უყვარდა ადამი, როგორც საყვარელი ძე. ადამი იყო სამოთხეში და სამოთხე იყო ადამში.

ადამს, რომ არ დაერღვია ცნება თავისი შემოქმედისა, მაშინ ის თავად იქნებოდა საუკუნოდ ნეტარი ყველა მისი შთამომავლობით. მაგრამ ადამმა შესცოდა უფლის წინაშე, დაარღვია მისი კანონი და ამიტომ უფალმა გაადევა იგი სამოთხიდან, რადგანაც ღმერთს არ შეუძლია ყოფნა ცოდვასთან და ცოდვილთან. ამის გამო ადამმა მაშინვე დაკარგა თავისი კეთილდღეობა, რომლითაც ის ტკბებოდა სამოთხეში. სული მისი დანაღვლიანდა, ფიქრები და სურვილები მისი აღშფოთდნენ; გონება და მეხსიერება დაუბნელდა; სიხარულისა და სულიერი სიმყუდროვის მაგიერ, მან მიიღო მოწყენა, სევდა, ნაღველი, სიღარიბე, მტანჯველი სიძნელეები და ყოველგვარი უსიამოვნებანი და ბოლოს, ავადმყოფური სიბერე ემუქრებოდა მას, ამის შემდეგ კი – სიკვდილი. მაგრამ ყველაზე საშინელება იყო ის, რომ ეშმაკს, რომელიც ხარობს ადამიანის ტანჯვით, ჰქონდა ძალაუფლება ადამზე. ყველა სტიქია, ე. ი. ჰაერი, ცეცხლი და სხვა, რომლებიც ემორჩილებოდა ადამს, გახდა მისადმი მტრული, ამის შემდეგ ადამი და მისი შთამომავლობა გრძნობდა სიცივეს, სიცხეს, ქარის და ამინდის ცვალებადობას. ცხოველებიც გახდნენ ბოროტები და ადამიანებს უყურებდნენ, როგორც მტერს და თავის მსხვერპლს. ამ დროიდან ადამიანებმა შეიგრძნეს გარეგანი და შინაგანი ტკივილები, რომლებიც დროთა განმავლობაში უფრო მტკივნეული ხდებოდა. მათ დაივიწყეს, რომ ისინი ძმები არიან და დაიწყეს თავდასხმა ერთი–მეორეზე, გაუჩნდათ ზიზღი, სიძულვილი და ერთმანეთის მოკვდინების გრძნობა. და ბოლოს, ყოველივე სიმძიმისა და საზრუნავის შემდეგ უნდა დაღუპულიყვნენ, ისინი როგორც ცოდვილნი, უნდა ყოფილიყვნენ ჯოჯოხეთში, სადაც საშინელი წამება ელოდათ.

არავის ძალუძს თვითონ დაიბრუნოს ის, რაც დაკარგა ადამმა და ვინ იცის რა მოგველოდა, რომ იესო ქრისტეს ჩვენდამი მოწყალებით არ გამოვესყიდეთ, რა მოელოდა კაცობრიობას...

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ!

ღმერთმა, რომელსაც იმაზე მეტად ვუყვარვართ, ვიდრე ჩვენ გვიყვარს ჩვენი თავი, თავისი უდიდესი მოწყალებით მოავლინა ძე თვისი იესო ქრისტე ჩვენი სულების გადასარჩენად და იესო ქრისტემ თავისი სწავლებით განდევნა უმეცრება ადამიანის გონებიდან, რის შემდეგაც მთელი სამყარო გაბრწყინდა სახარების ნათელით, და ეხლა ვინც მოინდომებს, შეუძლია შეიცნოს ნება უფლისა და გზა და საშუალება ნეტარებისათვის.

იესო ქრისტემ თავისი აღდგომით დაანგრია ჯოჯოხეთის კარები და გაგვიხსნა სამოთხის ბჭენი, რომელიც ადამის შთამომავლობისათვის დახშული იყო და გაიმარჯვა და დათრგუნა ძალა ბოროტისა და სიკვდილისა. ისინი, რომლებიც კვდებიან მაცხოვრის რწმენით და იმედით, მოსაწყენი და წუთიერი ცხოვრებიდან გადადიან ნათელ, საუკუნო ცხოვრებაში. ეშმაკის დათრგუნვისა და განდევნისათვის ჩვენ გვაქვს ჯვარი და ლოცვა. იესო ქრისტემ თავისი ამაღლებით დიდებით შემოსა ადამიანის მოდგმა, იგი სხეულით ამაღლდა ზეცას.

იესო ქრისტეს წყალობით და დამსახურებით ჩვენ შეგვიძლია შევიდეთ ცათა სასუფეველში და ვღებულობთ კიდეც მისგან ძალასა და დახმარებას ამ გზაზე. ე. ი. ჩვენ ყველას განურჩევლად შეგვიძლია მივიღოთ სული წმიდა, ვიმოქმედოთ მისით. სული წმიდის გარეშე არ შეგვიძლია ვიაროთ იმ გზაზე, რომლითაც იარა მაცხოვარმა.

რომ არ მოსულიყო იესო ქრისტე ამქვეყნად, ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებდა ცათა სასუფეველში შესვლას, რაც თითოეულს ეხლა თავისუფლად შეგვიძლია, მაგრამ იქ შესვლა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომლითაც იარა მაცხოვარმა. მაგრამ რა მოგვიმზადა უფალმა იქ, ზეცა – ამის თქმა და გაგება არავის ძალუძს. ამაზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ იესო ქრისტეს მორწმუნე და მისი მიმდევარნი სიკვდილის შემდეგ ზეცას იცხოვრებენ ანგელოზებთან, წმინდანებთან და მოციქულებთან და იხილავენ უფალს; იმხიარულებენ წმიდა, დაუსრულებელი და საუკუნო სიხარულით, არ ეცოდინებათ არც მწუხარება, არც ნაღველი, არც საზრუნავი, არც წამება და ტანჯვა. და სამყაროს დასასრულს აღსდგებიან სხეულით და იქნებიან მარადიული მეუფენი ქრისტესთან ერთად.

და ყველა ისეთ სიკეთეს იესო ქრისტე ანიჭებს არა ამა თუ იმ ხალხს, არამედ განურჩევლად ყველას, ვისაც სურს ამის მიღება. ამისათვის გზა ნაჩვენებია და ამასთან იესო ქრისტე ხელჩაკიდებული გვეხმარება ჩვენ ამ გზაზე სიარულში. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, არ შევეწინააღმდეგოთ მას და სრულად მივენდოთ მის ნებას.

აი, ხედავთ, როგორ ვუყვარვართ ჩვენ მაცხოვარს და რა სიკეთეს გვიძღვნის ის ჩვენ!

და, იესო ქრისტე რომ გვეჩვენოს ხილულად და გვკითხოს: შვილნო ჩემნო! გაქვთ თუ არა სიყვარული ჩემდამი იმის წილ, რაც მე თქვენ გაგიკეთეთ?გრძნობთ თქვენს გულებში მადლიერებას ჩემდამი? რომელი თქვენგანი ეტყვის მას: ო, ღმერთო! გვიყვარხართ და გმადლობთ!

და თუ გიყვართ იესო ქრისტე და მადლობთ მას, მაშინ აკეთებთ კი იმას, რასაც ის გავალებთ! რადგან ვისაც უყვარს და მადლობს მას, ის ყველაფერს გააკეთებს, რასაც მისი კეთილმყოფელი ინებებს. იესო ქრისტე თქვენგან მხოლოდ ერთს მოითხოვს, რომ მიჰყვეთ მას ზეციურ სასუფეველში.

იესო ქრისტემ ჩვენთვის ყველაფერი გააკეთა,

ნუთუ ჩვენ ერთ სურვილსაც არ შევუსრულებთ? იესო ქრისტე ჩვენი გადარჩენისათვის მოვიდა ზეცით, ნუთუ ჩვენ არ მოვინდომებთ მივსდიოთ მას? იესო ქრისტემ ჩვენთვის დაითმინა ყველა ტკივილი და ტანჯვა, ნუთუ ჩვენ მისთვის არ მოვინდომებთ მცირეოდენ ტანჯვათა დათმენას.

ნეტარია ის, ვინც მთელ თავის ცხოვრებას მიუძღვნის იესო ქრისტეს, რადგან ის აუცილებლად იქნება იქ, სადაც თავად მაცხოვარია.

ბედნიერი ის, ვინც ცდილობს მიემსგავსოს იესო ქრისტეს, რადგან ის მიიღებს დახმარებას მისგან.

მაგრამ უბედურია ის, ვისაც არა აქვს სურვილი მისდიოს იესო ქრისტეს, იმ მიზეზით, რომ ძნელია მისდიო მას, ანდა ამისათვის ძალა არ შესწევს, რადგან ასეთი ადამიანი საკუთარი ნებით კარგავს უფლის მადლს და კარგავს ქრისტეს დახმარებას, მაგრამ ვაი, მას, ვინც ეურჩება იესო ქრისტეს, განუდგება მას და აღდგება მის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ხვედრი ასეთებისა – საუკუნო ცეცხლია.

მიტროპოლიტი ინოკენტი

წიგნიდან „გზა ცათა სასუფევლისა“
წილკნის ეპარქიის გამოცემა, 1994.

ლეილა ქემაშვილის აპლიკაციური ნახატები

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: *http://ganmatavisuflebeli.webs.com*
ელ.ფოსტა: *ganmatavisuflebeli@yahoo.com*

რედაქტორი ლეილა ცომაია